პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეცხრე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექტ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებული, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

შაბათი, 26 ოქტომბერი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 248 (2594)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

- „როტე ფანე“-ს კონფისკაცია
- ფინ-იუი-სიანის მომხრე გენერლების შეტევა ნანკინის წინააღმდეგ
- „საბჭოთა ქვეყანა“ ჩაფრინდა ჩიკაგოში
- ჩეხო - სლოვაკიის მემაღაროეთა გაფიცვა
- კონტრ - რევოლიუციონური ორგანიზაციების ლიკვიდაცია ჩრდილოეთ - კავკასიაში

მემარჯვენეთა უკანასკნელი უბადრუკი ცდები

ამას წინად ჩვენ აღვნიშნავდით ძმებ მატვეევების ოპორტუნისტულ ფრაქციულ გამოსვლას მოსკოვის ერთ ერთ პარტიულ კრებაზე. უკვე ამ გამოსვლებიდანაც აშკარა იყო, რომ მემარჯვენეები, რომელთაც სინამდვილე სასტიკად დასცხა და, რომელიც გარიყულნი აღმოჩნდნენ პარტიულ მასისაგან, გადადიან ფრაქციულ ბრძოლის გზაზე. უკანასკნელად კი ამის ახალი მჭერმეტყველური საბუთი მოგვცა მემარჯვენე გადახრის ერთ-ერთ თვალსაჩინო იდეოლოგმა, ბუხარინის სკოლის ახალგაზრდობის წარმომადგენელმა სლეპკოვმა, რომელიც ქალაქ სამარის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კოლექტივის კრებაზე ორჯერ გამოვიდა დემაგოგიური ოპორტუნისტული კრიტიკით პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ.

სლეპკოვის გამოსვლაში ახალი არსებითად არაფერი ყოფილა. ჩვეულებრივი ფრაქციული ორპიროვნობა: ერთი მხრივ, თვალთმაქცური განცხადება იმის შესახებ, რომ ის თითქოს იზიარებს პარტიის გენერალურ ხაზს და თავის პრაქტიკულ მუშაობაში მთლიანად ამ ხაზს ეყრდნობა, ხოლო, მეორე მხრივ, უტიფარი გალაშქრება პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების წინააღმდეგ და იმ დადგენილებების გაბიაბრუება, რომელნიც მიიღო საკავშირო კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და კომუნისტურ ინტერნაციონალმა მემარჯვენე გადახრის სულისჩამდგმელის ბუხარინის წინააღმდეგ. მემარჯვენეების აშკარა თეთრი ძაფით ნაკერი ფრაქციული ტაქტიკა უკვე საკმაოდ ძველი და საყოველთაოდ ცნობილია.

ბოლშევიკური პარტიის მთელი წარსული მოწმობს, რომ ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელო უთანხმოება პარტიის ძირითად პრინციპიალურ ხაზთან, თუ ეს უთანხმოება, დროზე ძირში არ იქნა მოკვეთილი, პირდაპირი გზით ვითარდება ჩამოყალიბებულ ანტიპარტიულ მიმდინარეობად. სწორედ ამიტომ ლენინი, რომელიც დაუნდობელი იყო ბოლშევიკურ პრინციპების სიწმინდისათვის ბრძოლაში, ყოველ ღონეს ხმარობდა დახმარებოდა გზა-აბნეულ ამხანაგებს შეცდომების დროზე გამოსწორებაში და ამავე დროს ულმობლად ააშკარავებდა მათი პოზიციის ანტიპროლეტარულ ბუნებას. ცხოვრების ეს გარდუვალი კანონი მეორდება მემარჯვენე ოპორტუნისტულ გადახრის მიმართ. პარტიამ თავიდანვე გაჰკიცხა მემარჯვენე გადახრა, როგორც წვრილ - ბურჟუაზიული ოპორტუნისტული მიმდინარეობა, პარტიამ დაუნდობლად გამოაშკარავა მემარჯვენეთა უიმედობისა და იჭვიანობის ფილოსოფიის სოციალური ფესვები და სამართლიანად გამოაცხადა ეს მიმდინარეობა, როგორც ეხლანდელი პერიოდის მთავარი საფრთხე. მემარჯვენე გადახრის იდეოლოგების ერთი ჯგუფი ბუხარინისა და მის თაყვანისმცემელ სლეპკოვის, მარეცკის, ცეიტლინის და სხვათა სახით, იმის ნაცვლად, რომ გამოფხიზლებულიყო, რომ ის იმ ერთსულოვან განაჩენიდან, რომელიც გამოუტანა პარტიამ მემარჯვენე გადახრას, შესაფერი დასკვნა გამოეტანა და შეცდომები გამოესწორებია, ეხლაც მოურიდებლად განაგრძობს თავის ანტილენინურ შეხედულებათა დაცვას. ისინი ლოღიკური თანამიმდევრობით მიექანებიან იმ ფრაქციულ გზით, რომელიც გაიარა ტროცკისტულ ოპოზიციამ.

ბუხარინელ მარეცკის თავხედობა იქამდე მიდის, რომ ის ეხლაც განაგრძობს თავის იმ ერთ-ერთ შეცდომის გამართლებას, რომელიც მან დაუშვა საბჭოთა დიდ ენციკლოპედიაში. მარეცკიმ აქ დაბეჭდა ბუხარინის შესახებ მონოგრაფია, რომელშიაც ბუხარინს სახავს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის იდეის პიონერს და ამავე დროს უსინდისოთ ამახინჯებს ლენინის კლასიკურ, მარქსისტულ შრომას „სახელმწიფო და რევოლიუცია“-ს. მარეცკის ეყო გამბედაობა ბუხარინის შესახებ დაწერილი მონოგრაფიაში განეცხადებია, თითქოს ლენინი სცდებოდა საკითხში სახელმწიფოს შესახებ და თითქოს მან ეს შეცდომა ბუხარინის მითითებათა შემდეგ გამოასწორა. მაგრამ ეს შემთხვევითი არაა. ბუხარინის თაყვანისმცემლების იდეოლოგიურ გზა-აბნეულობამ მკაფიო და აშკარა ანტილენინური ხასიათი მიიღო. სლეპკოვი, მარეცკი და კომპანია მუდამ და ყოველთვის მზად არის თავგამოდებით დაიცვას ბუხარინის მთელი რიგი უდაო შეცდომები, რომელნიც არა ერთხელ ყოფილა გამომჟღავნებული და უკუგდებული პარტიულ ორგანოების მიერ.

თავის უკანასკნელ სიტყვაში სლეპკოვი უყოყმანოდ აცხადებს: „მე მთლიანად ვეთანხმები ბუხარინის საუცხოვო წიგნს — „გზა სოციალიზმისაკენ და მუშურ - გლეხური ბლოკი“, მე ვიზიარებ ბუხარინის შეხედულებას იმაზე, თუ რა ადგილი უკავიათ და რა როლს თამაშობენ კოოპერაციის სისტემაში კულაკური კოოპერატიული ბუდეები“.

ამრიგად, სლეპკოვი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ის მთლიანად იზიარებს ბუხარინის უკვე საკმაოდ ცნობილ აშკარა ანტილენინურ, აშკარა ოპორტუნისტულ თეორიას კულაკების სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის შესახებ. ეს ნიშნავს შეგნებულად ხელის დაფარებას იმ გამწვავებულ კლასობრივ ბრძოლაზე, რომლის მოწმენიც ჩვენ ეხლა ვართ, ეს ნიშნავს ბოლშევიკურ, ლენინურ თეორიისა და პრაქტიკის პირუკუღმა გაგებას სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

თავის ყალბ დებულებათა გასამაგრებლად ბუხარინის ახალგაზრდობის სკოლა ეძებს „ფაქტებს“. მაგრამ, რაკი ჩვენი სინამდვილე მათ გასამართლებელ საბუთებს არ იძლევა, ისინიც მოურიდებლად მიდიან უფრო ადვილი გზით და მიმართავენ ფრაქციული ბრძოლისათვის მუდამ დამახასიათებელ საშუალებას — უსირცხვილო ცილისწამებას პარტიის მიმართ და ფაქტების თავდაყირა დაყენებას. ამ მხრივ დამახასიათებელია იმავე სლეპკოვის ზემოხსენებული სიტყვა. სლეპკოვი კვლავ უტიფრად აცხადებს: „განა თქვენ არ იცით, რომ ჩვენში სოფლად ადგილი აქვს მარცვლეული კულტურის შემცირებას?“.

საიდან და როგორ გამოიტანა სლეპკოვმა ასეთი დასკვნა? ცნობილია, რომ ფაქტი ჯიუტი რამ არის. სინამდვილე აქაც სასტიკად დასცინის მემარჯვენეებს. ციფრები ამის შესახებ წინააღმდეგს მოწმობენ. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში მარცვლეული კულტურა შეუჩერებლად იზრდება და, რაც მთავარია, ეს ზრდა ფრიად თვალსაჩინოა განსაზოგადოებულ სექტორში. პურის მწარმოებელ ძველი მემამულისა და კულაკის ადგილს იჭერს ღარიბ და საშუალო გლეხკაცობის გაერთიანებული მეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობები. თუ 1928 წელს მარცვლეული კულტურის პროდუქცია შეადგენდა 726,7 მილიონ ცენტნერს, 1929 წელს ეს ციფრი გაიზარდა 762,5 ცენტნერამდე, მარცვლეული კულტურის საერთო განვითარება უდრის 4,9 პროცენტს. 1930 წლისათვის კი მისი ზრდა განზრახულია 16,7 პროცენტით. უკვე არის იმის ურყევი ნიშნები, რომ ეს ამოცანა წარმატებით იქნება გადაწყვეტილი. ამავე დროს ჩვენში ადგილი აქვს მარცვლეული კულტურის შეკვეცას. ამ შემთხვევაში სლეპკოვი მართალია, მაგრამ, თუ ასე დავსვამთ საკითხს, მაშინ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარცვლეული კულტურა ეცემა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ - კულაკურ სექტორში. კულაკის სოციალიზმში მშვიდობიანად შეზრდის თეორეტიკოსებისათვის ეს გარემოება დამაღონებელია, სწორედ ამაში თუ შეიძლება ვეძებოთ ბუხარინის ახალგაზრდობის სკოლის თავაწყვეტილ დემაგოგიურ გამოსვლების მიზეზები.

და ყოველივე ამის შემდეგ სლეპკოვსა და კომპანიას ჰყოფნის გამბედაობა განაცხადოს, რომ ისინი იზიარებენ პარტიის ძირითად ხაზს. სლეპკოვი ამასთანავე იმის განმარტებასაც კი იძლევა, თუ რატომაა აუცილებელი მისთვის ეს დეკლარატიული თვალთმაქცობა. მისი სიტყვით, სხვანაირად შეუძლებელიცაა, პარტიის გენერალური ხაზის გაზიარება ერთ და იმავე დროს **„არის პარტიაში ყოფნის საკითხიც“**-ო. ეს ზედმეტი გაფრთხილებაა ჩვენთვის. კომუნისტური პარტია, რომელიც გაიზარდა და გამოიბრძმედა იდეოლოგიურ მტრებთან ბრძოლაში, შესაფერ დასკვნას გამოიტანს მემარჯვენეების დეზორგანიზატორულ, ოპორტუნისტულ გამოსვლებიდან. ის არავის მისცემს ნებას აწარმოოს ანტილენინური მუშაობა პარტიის რიგებში. მემარჯვენე გადახრის იდეოლოგებმა საბოლოოდ ჩამოიხსნეს ნიღაბი. ისე როგორც ყოველთვის, პარტია ამ შემთხვევაშიაც ერთსულოვნად და ბოლშევიკური ულმობელობით უკუაგდებს მემარჯვენეების უბადრუკ ცდას გადაახვევინონ მას სწორ ლენინურ ხაზიდან. ჩვენ განვაგრძობთ მემარჯვენე ოპორტუნისტების ლიკვიდატორული ბუნების დაუზოგავ მხილებას და იმავე დროს შეუპოვარ ბრძოლას ვაწარმოებთ მათი ფრაქციული გამოსვლების ძირშივე აღსაკვეთად.

თავის დროზე ავიღოთ საჭირო ტემპი

მრეწველობის განვითარების იმ უდიდესი მასშტაბის განხორციელება, რომელიც გათვალისწინებულია 1929 — 30 წლის საკონტროლო ციფრებით, ბევრად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად წარმატებით გადაჭრება თვითღირებულების შემცირება 11 პროცენტით. მატერიალური ეფექტი, რომელიც მიღებულ უნდა იქნას ასეთი შემცირების შედეგად, უდრის მრეწველობის მთელ კაპიტალურ დაბანდებათა თითქმის ნახევარს. ფინანსიური გეგმით, თვითღირებულების შემცირების საქმეში მოცემული დავალების ყოველი პროცენტი შეადგენს ისეთ თანხას, რომელიც დაახლოებით უდრის ისეთი გუმბერაზების აგების ღირებულებას, როგორიც არის „მაგნიტსტროი“, „კუზნეცკსტროი“ და სხვ.

ეჭვს გარეშეა, რომ მრეწველობას დაკისრებული აქვს უაღრესად ძნელი, რთული და პასუხსაგები დავალება. მაგრამ ამ საკითხის არაერთხელ განხილვამ ყველა ორგანოსა და ინსტანციაში ცხადჰყო, რომ ეს დავალება სავსებით რეალურია და მისი შესრულება ჩვენს ძალღონეს შეეფერება.

წარსული წლების გამოცდილება გადაჭრით გვაკარნახებს, რომ ახალი სამეურნეო წლის დასაწყისშივე დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ დასახული ამოცანის შესრულებას. შარშანდელი კამპანია თვითღირებულების შემცირების საქმეში დამახასიათებელია არა მარტო იმით, რომ, გეგმით დასახული 7 პროცენტის ნაცვლად, შემცირებამ მხოლოდ 4,6 პროცენტს მიაღწია. იგი დამახასიათებელია შარშანდელი წლის პირველი ნახევრისა და მეორე ნახევრის შედეგების შეფარდებითაც: წლის პირველ ნახევარში შემცირება მხოლოდ 3 პროცენტს უდრიდა, მეორე ნახევარში კი — 9 პროცენტს. ეს თვალსაჩინოდ მოწმობს, თუ რამდენად დიდი დრო დაიკარგა ასამოძრავებლად. სავსებით უეჭველია შემდეგი: წლის დასაწყისშივე რომ ყურადღების ცენტრში მოგვექცია მასების მობილიზაცია ამ საქმის ირგვლივ სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის საშუალებით, ჩვენ შევსძლებდით სავსებით შეგვესრულებია მოცემული დავალება. ამას მოწმობენ წლის მეორე ნახევრის შედეგები.

რა თქმა უნდა, ბრძოლას თვითღირებულების შემცირებისათვის ახალ წელს ჩვენ ვიწყებთ ბევრად უფრო ძლიერნი და ორგანიზაციულად დარაზმულნი. კაპიტალური მშენებლობის უკიდურესი ზრდა წლითი-წლობით იწვევს ძირითადი კაპიტალის თანდათან უფრო განახლებას, აუმჯობესებს მის ორგანიულ სტრუქტურას, ახორციელებს მექანიზაციას სხვადასხვა რაციონალიზატორულ ღონისძიებებში და სხვ. მიმდინარე წელს უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს წარმოების გადიდება 32 პროცენტით, რაც ემყარება წუებათა ცვლის გადიდებას, განუწყვეტელი საწარმოო კვირის შემოღებას და არსებული მოწყობილობის უკეთ გამოყენებას. ყოველივე ამან გავლენა უნდა იქონიოს წარმოების ხარჯების ცალკე ელემენტთა შემცირებაზედაც. რაც შეეხება ეგრედწოდებულ საკონიუნქტურო ფაქტორებს, რომელნიც მრეწველობაზე არ არიან დამოკიდებულნი (გადასახადები, გამოსაღებები, რკინის გზის ტარიფები), ისინი 1929 — 30 წელს წინა წლის დონეზე რჩებიან და, მაშასადამე, არ ჰქმნიან დამატებით ხარჯებს თვითღირებულებისათვის.

გადამწყვეტი უპირატესობა, შარშანდელთან შედარებით, მდგომარეობს იმაში, რომ პარტიისა და მოწინავე მუშათა საუკეთესო ნაწილის მედგარ ღონისძიებათა მეოხებით მიღწეულია საფუძვლიანი გარდატეხა მთელ საწარმოო მუშაობაში. შრომის ამ ფრონტზე სათავე დაედო ფართო სოციალისტურ შეტევას სამუშაოს გაცდენის, ლოთობის, მტაცებლობის, ვიწრო ამქრულ განწყობილებისა და უყაირათობის წინააღმდეგ. სოციალისტური მშენებლობის აღფრთოვანება მოედო მუშათა კლასის უფართოეს ფენებს და ამან წლის მეორე ნახევარში გადამწყვეტი როლი ითამაშა თვითღირებულების შემცირების საქმეში.

მთელი მიღწევა და მთელი დაგროვილი გამოცდილება მთლიანად უნდა გადავიტანოთ და განვავრცოთ ახალ კამპანიაში და, რაც უმთავრესია, თავის დროზე გავაკეთოთ ეს. ეხლავე, დაუგვიანებლივ, სათანადოდ უნდა ჩავჭიდოთ ხელი ყველა იმ ბერკეტს, რომელზედაც დამოკიდებულია წარმოების ხარჯების დონის შემცირება.

მიმდინარე წლისათვის თვითღირებულების შემცირების საქმეში მოცემული დავალების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება 23,4 პროცენტით. ამის განხორციელება მართლაც უდიდესი ამოცანაა. ასეთი განსაკუთრებით დიდი ზრდა შეუძლებელია განხორციელდეს თავისთავად, ეს მოხდება რაციონალიზაციის მეოხებით, ძირითადი კაპიტალის განახლების შედეგად და სხვ. ეს მოითხოვს, უწინარეს ყოვლისა, შრომის რეჟიმის შემდგომ გაჯანსაღებას, სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, უფართოესი პროლეტარული მასების შემოქმედებითი ენერგიისა და აღფრთოვანების გაღვივებას.

წარსული წლის გამოცდილება მეტად საგულისხმოა შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეში. ჩვენ არა თუ მოწმენი გავხდით იმისა, რომ გეგმით მოცემული დავალების შესრულებას 3,8 პროცენტი დააკლდა (13,2 პროცენტი 17 პროცენტის ნაცვლად), არამედ მეტად დიდი განსხვავებასაც ვხედავდით მრეწველობის სხვადასხვა დარგებს შორის. ეს იმას მოწმობს, რომ ჩვენში ყველგან როდია საქმე სათანადოდ დაყენებული. შრომის ნაყოფიერებაზე შარშან ისიც ახდენდა გავლენას, რომ აშკარად ცუდად იყო დაყენებული ახალი მუშა - ხელის ჩაბმის საქმე. მუშა - ხელის გადიდება 8,8 პროცენტით, რაც გეგმით იყო გათვალისწინებული, გადაჭარბებულ იქნა მეტად თვალსაჩინოდ (50.000-ზე მეტი მუშა გეგმის გარეშე).

შრომის ნაყოფიერების საქმეში მოცემული დავალების შესრულება მიმდინარე წელს შეიძლება მხოლოდ ერთი გზით — უნდა განვაგრძოთ სოციალისტური შეტევა შრომის ხარისხობრივ მაჩვენებელთა ფრონტზე. შრომის დისციპლინისა და შრომის რეჟიმის საკითხები გუმბერაზულ პრობლემად იქცევიან.

ცნობილია, რომ ახალი მუშების უდიდესი რაოდენობის ჩაბმა უკანასკნელ წლებში იწვევს მუშათა კლასის შემადგენლობის შეცვლას. დამოკიდებულება სოციალისტური შეჯიბრებისადმი სისწორით გამოხატავს წვრილმესაკუთრულ სულისკვეთებას მუშათა მასის გამოუბრძმედავ ფენებში. ჩვენი საწარმოო ტემპები ბევრად არიან დამოკიდებულნი იმაზე, თუ რამდენად სწრაფად შეითვისებენ ეს ფენები მუშათა სახელმწიფოს საერთო ინტერესებს. აქედან წარმოსდგებიან ახალი ამოცანები, რომლებიც პროფკავშირების წინაშე დგანან. პროფმოძრაობის დაახლოება წარმოებასთან პროფკავშირთა მცირე ნაწილის მემარჯვენე უკლონისტების ტრედიუნიონისტური გეზის მხილება, მუშათა ფართო მასების მობილიზაცია და ამოძრავება, მათი შემოქმედებითი აღფრთოვანება ხუთწლიანი გეგმის სიძნელეთა დასაძლევად, — აი, ის კატეგორიული მოთხოვნები, რომლებსაც პარტია ყოველ პროფმუშაკს და მთელ პროფაქტივს უდგენს. პროფკავშირები სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ ეტაპზე უნდა დადგნენ წარმოების ტემპებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში. მუშათა კლასის აქტიობის გაშლა, გზის გაკაფვა მუშათა ინიციატივისათვის, ბრძოლის გაძლიერება ბიუროკრატიზმთან და ბიუროკრატებთან საწარმოო ფრონტზე, ენერგიული დახმარება დამკვრელ ბრიგადებს, რომელთა რიცხვი ათი ათასობით განისაზღვრება, ამ ბრიგადების მუშაობის ფართოდ გაშლა, ასი ათასობით ახალი მუშების ჩაბმა ბრიგადების მუშაობაში, — აი, პროფკავშირთა მუშაობის ლენინური ბოლშევიკური შინაარსი სოციალისტური მშენებლობის პირობებში.

ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ასაწევად გადაჭრით მოითხოვს, რომ უდიდესი ყურადღება მიექცეს მუშების ყოფა - ცხოვრების საჭიროებათა მაქსიმალურად უზრუნველყოფას. სურსათის მიწოდებამ, განაწილების ტექნიკამ, ყოფა - ცხოვრების იმ საჭიროებათა აღრიცხვამ, რომლებიც განუწყვეტელ კვირაზე გადასვლასთან არიან დაკავშირებულნი (ვაჭრობის საათები, ტრამვაიების, სასადილოების, ბაგების, საავადმყოფოების, კლუბების მუშაობა) შეიძლება თვალსაჩინო როლი ითამაშონ მუშათა შემოქმედებითი ძალების დაუქსაქსავად და მიზანშეწონილად გამოყენებაში.

მეტად დიდი საპასუხისმგებლო ფუნქციები ეკისრებათ მეურნეობის ხელმძღვანელებს ახალ პირობებში. ერთმმართველობა მეტად სერიოზული იარაღია სოციალისტური მშენებლობისათვის. მაგრამ სამეურნეო მუშაკებმა ეს იარაღი ბოლშევიკურად უნდა გამოიყენონ. ეს არის დეკრეტი, რომელიც განსაზღვრავს ხელმძღვანელთა არა მარტო უფლებებს, არამედ მოვალეობებსა და პასუხისმგებლობასაც. ხელმძღვანელობის შეთავსება ძალთა სისწორით განაწილებასთან, მუშათა ინიციატივის გათვალისწინება და მისი თავის დროზე რეალიზაცია, სრული კონტაქტის დამყარება საწარმოო თათბირებთან, დახმარების გაწევა დამკვრელი ბრიგადებისათვის, — ასეთია ერთმმართველობის ამოცანები.

თვითღირებულების წარმატებით შემცირება მოითხოვს ყოველი ორგანოს, ყოველ მუშაკის მკაფიო პასუხისმგებლობას მუშაობის იმ ფრონტისათვის, რომელიც მას ეკისრება. ყველა პარტიული ორგანიზაციის ამოცანას უნდა შეადგენდეს ისეთი ხელმძღვანელობა, მეთვალყურეობა და კონტროლი, რომელიც სისწორით შეათავსებს ამ მეტად მნიშვნელოვანი დავალების სხვადასხვა მომენტებს.

ყოველ ცალკე საწარმოს, ყოველ მის ამქარსაც კი უნდა მიეცეს კონკრეტული დავალება თვითღირებულების საქმეში. ყოველ ქარხანაში უმოკლესი ვადის განმავლობაში უნდა შემუშავდეს სავსებით სწორი გეგმა იმის შესახებ, თუ რომელი ელემენტების ხარჯზე უნდა მოხდეს წარმოების ხარჯების შემცირება. ქარხნის პარტიულმა უჯრედებმა ენერგიული მონაწილეობა უნდა მიიღონ ამ გეგმის შემუშავებაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მუშათა მასამ მკაფიოდ დაინახოს, თუ წარმოების რომელ დარგშია ყველაზე ცუდი მდგომარეობა და სახელდობრ, რა ზომები უნდა იქნას მიღებული თვითღირებულების შემცირების გეგმის შესასრულებლად.

თვითღირებულების შემცირების პრობლემის ირგვლივ დროზე უნდა დავრაზმოთ მუშათა კლასის საუკეთესო ძალები. მუშათა მთელი მასის ჩაბმა ამ საქმეში უზრუნველჰყოფს ამ საკითხის წარმატებით გადაჭრას. მიუხედავად იმისა, რომ ოპორტუნისტები სცდილობენ შეაფერხონ მუშაობა, მიუხედავად მათი წინასწარმეტყველობისა, ეჭვს გარაშეა, რომ მუშათა კლასი ყველა პარტიული ორგანიზაციის, დაწყებული ქვედა საფეხურის ორგანიზაციებით, შემოქმედებითი მონაწილეობით ენერგიულად გაუძლვება თავის ამოცანების გადაწყვეტას სოციალისტური მშენებლობის ახლანდელ მორიგ ეტაპზე.

„პრავდა“, 25 ოქტომბერი.

მოლაპარაკება მთავრობის შედგენის შესახებ საფრანგეთში

პრეზიდენტი დუმერგი მოლაპარაკებას აწარმოებს რადიკალებთან და სოციალისტებთან

ჩინელ ხუნხუზების ახალი თავდასხმა საბჭოთა საკონსულოს შენობაზე ტიან-ძინში

ფინ-იუი-სიანის მომხრე გენერლების ჯარების შეტევა ხანკოუზე

მთავრობის კრიზისი საფრანგეთში

სოციალისტ ბონკურის კანდიდატურა

პარიზი, 24 ოქტომბერი. დღევანდელ გაზეთებს შესაძლებლად მიაჩნიათ სოციალისტის ბონკურის წამოყენება იმ მთავრობის თავმჯდომარედ, რომელშიაც შევლენ სოციალისტები, რადიკალები და ლუშერის მომხრენი. ბონკურმა განაცხადა, რომ, თუ კაბინეტის შედგენა მას მიენდობა, იგი შეეცდება ბრიანს მონაწილეობა მიაღებინოს მთავრობაში.

ბონკური მიიღო პრეზიდენტმა დუმერგმა.

მემარცხენე ბურჟუაზიული გაზეთები იმედს გამოსთქვამენ, რომ სოციალისტური პარტია ცენტრალური კომიტეტის მომავალ პლენუმზე დაადგენს—მიიღოს მონაწილეობა მთავრობაში (ადს).

სოციალისტური პარტიის მანიფესტი

პარიზი, 25 ოქტომბერი. საფრანგეთის სოციალისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი „მუშათა კლასისა და დემოკრატების მიმართ“. მანიფესტი გაკვრით აღნიშნავს, რომ შესაძლებელია მთავრობის შედგენა სოციალისტების მიერ ან სოციალისტების მონაწილეობა „მემარცხენე მთავრობაში“. „გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად“ მანიფესტი აცხადებს, რომ სოციალისტებმა ბრიანის კაბინეტის წინააღმდეგ ხმა მისცეს არა იმიტომ, რომ მის საგარეო პოლიტიკას არ ენდობიან, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ბრიანმა უარი სთქვა მოეცა ახსნა-განმარტება მთავრობის საგარეო პოლიტიკური ხაზის შესახებ, რომლის ირგვლივაც უთანხმოება იყო კაბინეტის შიგნით (ადს).

რადიკალ-სოციალისტები წინააღმდეგნი არიან მემარჯვენეებთან თანამშრომლობისა

პარიზი, 24 ოქტომბერი. რადიკალ-სოციალისტების კონგრესმა რეიმსში მიიღო რეზოლიუცია, რომელიც უარყოფს ყოველგვარ თანამშრომლობას მემარჯვენეებსა და მათ მოკავშირეებთან და რომელსაც საჭიროდ მიაჩნია მემარცხენე ბლოკის შექმნა. რეზოლიუციაში აღნიშნულია, რომ რადიკალ-სოციალისტები ოპოზიციაში დარჩებიან, თუ შესდგება ისეთი ახალი მთავრობა, რომელიც მემარჯვენე უმრავლესობას დაეყრდნობა.

რადიკალი დალადიე—კანდიდატი პრემიერ-მინისტრობაზე

პარიზი, 24 ოქტომბერი. პარტიულ ლიდერებთან თათბირის შემდეგ, **საფრანგეთის პრეზიდენტმა დუმერგმა მოიწვია რადიკალების ლიდერი დალადიე ახალი მთავრობის შედგენის შესახებ მოსალაპარაკებლად.**

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება

პარიზი, 24 ოქტომბერი. საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება აღნიშნავს, რომ **მთავრობის კრიზისი მოასწავებს ბურჟუაზიის ძალების ახალ კონცენტრაციას.** ბურჟუაზია სცდილობს, გააფართოოს თავისი პოზიციები რადიკალების და სოციალისტების ჩაბმით მთავრობაში. სოციალისტები მხარს დაუჭერენ ახალ მთავრობას, თუნდაც რომ არ შევიდნენ მის შემადგენლობაში. ბურჟუაზიის პოზიციების გასაძლიერებლად, სოციალისტურმა პარტიამ წამოაყენა იძულებითი არბიტრაჟისა და სამრეწველო მშვიდობიანობის ლოზუნგები. **იმ მიზნით, რომ ბოლო მოუღოს მუშათა რევოლიუციონური მოძრაობის ზრდას, ბურჟუაზია დასახმარებლად იწვევს სოციალ - დემოკრატიას** და გამოჰყავს იგი საფრანგეთის კომპარტიისა და რევოლიუციონურ პროფკავშირთა წინააღმდეგ.

საფრანგეთში იქმნება ახალი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელსაც ახასიათებს ერთის მხრივ, იმპერიალისტური ომის საფრთხის მოახლოვება, ხოლო მეორეს მხრივ — მუშათა კლასის ბრძოლის უნარიანობის ზრდა.

საფრანგეთის კომპარტია საწარმოებში, ყაზარმებში და სამხედრო გემებზე მყოფ მშრომელთ მოუწოდებს — გააძლიერონ ბრძოლა ბურჟუაზიული ხელისუფლებისა და მისი სოციალ - ფაშისტური აგენტების წინააღმდეგ, აგრეთვე გააძლიერონ საბჭოთა კავშირის დაცვა (ადს).

პილსუდსკის მომხრეთა პრესის დასკვნები

ვარშავა, 24 ოქტომბერი. პილსუდსკის მომხრეთა პრესას ბრიანის დაცემა მიაჩნია იმის ახალი საბუთად, რომ პარლამენტარიზმი ხელს უშლის სახელმწიფოს ნორმალურ განვითარებას. პრესას აქედან სათანადო დასკვნები გამოჰყავს პოლონეთის საშინაო მდგომარეობისათვის (ადს).

მდგომარეობა ავღანისტანში

ჰენდერსონის დეპეშა ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრს

ლონდონი, 24 ოქტომბერი. როგორც საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება, მან ქაბულიდან მიიღო ოფიციალური ცნობა ახალი მთავრობის შედგენის შესახებ. ჰენდერსონმა ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია, რომ „ძლიერი და დამოუკიდებელი ავღანისტანის მშვიდობიანი არსებობისა და გაერთიანების შესახებ ამჟამად აღძრული იმედები შეიძლება მალე განხორციელდესო“. ნათქვამია აგრეთვე, რომ „ორივე ქვეყნის შორის ძველი მეგობრული ურთიერთობა გაგრძელდებაო“.

„დეილი ტელეგრაფ“-ის აზრით, ეს დეპეშა არ შეიძლება ჩაითვალოს ავღანისტანის ახალი მთავრობის ფორმალურ ცნობად (ადს).

ასანთის მონოპოლია გერმანიაში

კურციუსის „განმარტებანი“

ბერლინი, 24 ოქტომბერი. ცენტრის პარტიის ორგანოს „გერმანია“-ს ცნობებით, სახალხო მეურნეობის მინისტრმა კურციუსმა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელს კრესტინსკის დაწვრილებით გააცნო ასანთის მონოპოლიის შესახებ წარმოებული მოლაპარაკების შინაარსი. მან აღნიშნა, რომ **შეთანხმება არ არის მიმართული საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და რომ მისი მიზანია დაეხმაროს გერმანიის ასანთის მრეწველობას, რომელიც მძიმე მდგომარეობას განიცდის** (ადს).

ჩეხო-სლოვაკიის მემაღაროეთა გაფიცვა გრძელდება

პრაღა, 24 ოქტომბერი. რეფორმისტების ჩაგონებით, ჩრდილოეთ ჩეხიის ნახშირის რაიონის ზოგიერთ მაღაროში მუშებმა განაახლეს მუშაობა, მაგრამ 6.000 მემაღაროე მაინც განაგრძობს გაფიცვას. ბრუხის რაიონში ხელისუფლებამ ფაქტიურად საგანგებო დაცვის წესები შემოიღო. ბრუხში თავი მოუყარეს ჟანდარმებისა და პოლიციის საგრძნობ ძალებს. სწარმოებს მასიური ჩხრეკა. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი, მათ შორის კომპარტიის ორგანოს, „რუდე პრავო“-ს რედაქტორი ფუჩიკი და ჩეხიის კომპარტიის ც. კ.-ის წევრი შვერმა. გაფიცულმა მემაღაროეებმა გამოსცეს გაზეთი „გაფიცვა“ (ადს).

ინგლისი და ინდოეთი

მეფის მოადგილის დეკლარაციის გარშემო

ლონდონი, 24 ოქტომბერი. ინდოეთიდან გადმოცემული ცნობით, იქ მოელიან მეფის მოადგილის იმ დეკლარაციის გამოქვეყნებას, რომელიც შეიცავს ინგლისის მთავრობის სამოქმედო პროგრამას ინდოეთისათვის თვითმმართველი დომინიონის უფლებათა მინიჭების საქმეში. ფიქრობენ, რომ დეკლარაცია გამოქვეყნებული იქნება ინდოეთის საქმეთა მინისტრის ვეჯვუდ ბენის დეკლარაციასთან ერთად.

ინდოეთის საქმეთა ყოფილმა მინისტრმა ბოლდუინის მთავრობაში ლორდმა ბირკენჰედმა „დეილი ტელეგრაფ“-ის რედაქციას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც აცხადებს, რომ მან მიიღო „საშიში ცნობები“—ვითომ მაკდონალდის მთავრობას განზრახული აქვს არ დაუცადოს მთავრობის იმ კომისიის ანგარიშს, რომელიც ლიბერალი საიმონის მეთაურობით ინდოეთის მდგომარეობას ეცნობოდა, და ამ ანგარიშის გარეშე გამოაქვეყნოს დეკლარაცია ინდოეთის შესახებ. ბირკენჰედი აცხადებს, რომ მთავრობის ჩარევა იმ საქმეებში, რომლებიც მიენდო პარლამენტის ყველა სამი პარტიის მიერ არჩეულ კომისიას, „მეტის მეტად საშიში და დამღუპველია“ (ადს).

შეთანხმება ამერიკულ ფირმასთან
ტექნიკური დახმარების შესახებ

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს სამშენებლო კომიტეტსა და ამერიკის უდიდეს სამშენებლო ფირმას „ალბერტ კან“-ს შორის მიღწეულ იქნა წინასწარი შეთანხმება საბჭოთა კავშირში ახალ მსხვილ ნაგებობათა პროექტების შედგენის დროს ტექნიკური დახმარების შესახებ. ხსენებული ფირმა მოსკოვში მოაწყობს საპროექტო კანტორას, სადაც საბჭოთა ინჟენერები, ამერიკელ მშენებელ - ინჟენრების ხელმძღვანელობით, იმუშავებენ პროექტების შედგენაზე. (ადს).

ჩინეთ-საბჭოთა კონფლიქტი

შორეულ აღმოსავლეთის ბანკის ლიკვიდაციის ირგვლივ

ტოკიო, 24 ოქტ. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, ხელისუფლების მიერ შორეულ-აღმოსავლეთის ბანკის სალიკვიდაციოდ დანიშნულმა კომისიამ, აქციონერთა კრებისაგან არჩეული სალიკვიდაციო კომისიის გაძევების შემდეგ, ხელში ჩაიგდო ბანკის ქონება და ფული და მოსთხოვა გერმანიის ბანკის წარმომადგენელს შულცს, რომელიც დაკავშირებულია შორეულ აღმოსავლეთის ბანკის ლიკვიდაციასთან, ჩაებარებია ბანკის საქმეები. შულცმა ამ მოთხოვნის საპასუხოდ განაცხადა, რომ შორეულ-აღმოსავლეთის ბანკმა არსებობა შესწყვიტაო. შულცი დაპატიმრებულია თავის ბინაზე.

გერმანიის გენერალურმა კონსულმა შტობემ, რათა თავიდან აიცილოს გერმანიის ბანკის წარმომადგენლობის დაკავება ჩინეთის ხელისუფლების მიერ, გერმანიის ბანკის სადგომი და მისი მაგიდები საკონსულოს ბეჭდით დაბეჭდა (ადს).

დაპატიმრებული საბჭოთა მოქალაქეების ცოლების განცხადება

ტოკიო, 24 ოქტომბერი. როგორც ხარბინიდან იუწყებიან, **დაპატიმრებულთა 500 ცოლმა გერმანიის კონსულ შტობეს განცხადება წარუდგინა.** ისინი სთხოვენ კონსულს, ყურადღება მიაქციოს იმას, რომ სიცივეების დადგომის გამო, საჭიროა დაპატიმრებულთა გადაყვანა შესაფერად მოწყობილ ბინებში. წინააღმდეგ შემთხვევაში დაპატიმრებულთ სიცივისაგან სიკვდილი მოელით (ადს).

ახალი თავდასხმა საბჭოთა საკონსულოზე ხარბინში

ტოკიო, 24 ოქტომბერი. როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება, 24 ოქტომბერს ხარბინში პოლიცია თავს დაესხა საბჭოთა საკონსულოს შენობას. დააპატიმრეს 5 საბჭოთა მოქალაქე. ჩხრეკამ 4 ნახევარ საათს გასტანა. ჩინეთის ხელისუფლებამ ჩხრეკისა და დაპატიმრების ამბავი გერმანიის კონსულს მხოლოდ თავდასხმის შემდეგ აცნობა. იგი შეეცადა მიეღო კონსულის სანქცია.

თავდასხმით აღშფოთებული გერმანიის კონსული შტობე წინადადებას იძლევა — სასწრაფოდ გაიმართოს კონსულთა კორპუსის თათბირი.

თავდასხმა მოხდა იმ უაზრო საბაბით, რომ უნდა აღმოეჩინათ „კომუნისტური შეთქმულება“ და რომ „შეთქმულნი“ იმალებოდნენ საბჭოთა საკონსულოს შენობაში, რომელიც ჩინეთ - საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, როგორც ვიცით გერმანიის საკონსულოს გადაეცა (ადს).

უკმაყოფილონი არიან ნანკინის პოლიტიკით

პეკინი, 24 ოქტომბერი. როგორც რეიტერის სააგენტო იუწყება, **მუკდენელებს განზრახული აქვთ უშუალოდ დაიწყონ მოლაპარაკება საბჭოთა კავშირთან.** სააგენტო იტყობინება, რომ ამას განსაკუთრებით მოითხოვდა გირინის გუბერნატორი ჩან-ძო-სიანი. მუკდენში გამართულ სამხედრო კონფერენციაზე ჩან-ძო-სიანმა აღნიშნა, რომ ის მოლაპარაკება, რომელიც ნანკინს მოსკოვთან ჰქონდა, სრული მარცხით დამთავრდა. „ნორტ ჩაინა დეილი მეილ“-ი აღნიშნავს, რომ, როგორც ეტყობა, მუკდენელებს მოსწყინდათ ნანკინელთა საქმეების კეთება. გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ მოლაპარაკება მუკდენსა და მოსკოვს შორის ახლო მომავალში დაიწყება, რასაც შედეგად საკითხის დამაკმაყოფილებლად მოგვარება მოჰყვება (ადს).

სამოქალაქო ომი ჩინეთში

ნანკინელი გენერლების მანიფესტი

შანხაი, 24 ოქტომბერი. გენერლებმა ტან-ენ-კაიმ, ხუ ხან-მინმა და სხვებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიაც აღნიშნავენ, რომ შექმნილი მდგომარეობა უაღრესად სერიოზულია. გენერლები უჩივიან „მასების გულგრილობას“ და მოუწოდებენ ხალხს — „დაეხმაროს მთავრობას რეაქციონერების წინააღმდეგ“ (ადს).

გომინძიუნის შეტევა

შანხაი, 24 ოქტომბერი. ჩენჯოუს სექტორში (ხენანის პროვინცია) **გომინძიუნის ძალები სერიოზულ შეტევაზე გადავიდნენ მთავრობის ჯარის წინააღმდეგ.** როგორც სიმბუნ რენგოს სააგენტო იტყობინება, მთავრობის ჯარის სარდალმა ტან შენ-ჩიმ მოიგერია შეტევა, მაგრამ „ივნინგ პოსტ“-ი იუწყება, რომ გომინძიუნის ძალებმა გაარღვიეს ნანკინელთა ფრონტი ჩენჯოუს მხარეზე. ისინი ხანკოუს მიმართულებით მიიწევენ (ადს).

რიკშების დაპატიმრება პეიპინში

პეიპინი, 24 ოქტომბერი. პეიპინელ რიკშების მღელვარების გამო, **დააპატიმრეს 1.200 კაცი, რომელთა შორის არის პროფკავშირთა ფედერაციის აღმასკომის წევრი ჩენჩიო. იგი არეულობის ხელმძღვანელად მიაჩნიათ.**

ტრამვაის მუშათა ყვითელმა კავშირმა იდღესასწაულათ თავისი „გამარჯვება“ რიკშებზე ამ მიზნით მან მოაწყო კავშირის წევრთა დემონსტრატიული მგზავრობა ტრამვაის ვაგონებით.

22 ოქტომბრიდან, ღამ-ღამობით ქალაქში სამხედრო წესებია გამოცხადებული.

რიკშების კავშირის გარდა, ხელისუფლებამ დაშალა სამი პროფკავშირი—მეეზოვეების, სანიტარული მუშების და ქვაფენილების შემკეთებელი მუშებისა, რომელნიც მხარს უჭერენ რიკშებს. (ადს).

მენშევიკები ეხმარებიან მრეწველებს

პოლონეთის სოციალისტური პარტია შლის პოლონელ მემაღაროეთა გაფიცვას

ვარშავა, 24 ოქტომბერი. პოლონეთის ქვანახშირის რაიონებში მდგომარეობა თანდათან უფრო სერიოზული ხდება. მემაღაროეთა სადელეგატო კრებები უარყოფენ ზემო-სილეზიის რაიონის საარბიტრაჟო კომისიის მიერ წარმოდგენილ წინადადებას ხელფასის 4 პროცენტით გადიდების შესახებ. **პროფკავშირთა წარმომადგენლებმა აგრეთვე უარჰყვეს მაღაროების პატრონთა ხელმეორე წინადადება ხელფასის 5 პროცენტით გადიდების შესახებ.**

მთავრობა ზეგავლენას ახდენს პოლონეთის სოციალისტურ პარტიაზე და, რათა გაფიცვა არ დაუშვას, აცხადებს, რომ **გაფიცვას პოლიტიკურ გამოსვლად ჩასთვლის.** ამავე დროს, რათა გააფართოვოს პოლონეთის სოციალისტური პარტიის სამოქმედო ასპარეზი, **ხელისუფლება მასიურად აპატიმრებს მემარცხენე პროფმოძრაობის მოღვაწეებს და იმ მუშებს,** რომლებსაც კომუნისტებისადმი თანაგრძნობას აბრალებენ (ადს).

გერმანიის სოციალ - დემოკრატების ღალატი

ბერლინი, 24 ოქტომბერი. პრუსიის ლანდტაგის კომფრაქციამ მოითხოვა ბერლინის მილების გამყვანთა დაპატიმრებული საგაფიცვო კომიტეტის დაუყონებლივ განთავისუფლება. **სოციალ - დემოკრატებმა ჩაშალეს ეს მოთხოვნა** (ადს).

ავსტრიის კომპარტიის მოწოდება

ამხილებენ მენშევიკების ფარისევლობას

ვენა, 24 ოქტომბერი. ავსტრიის რეფორმისტული პროფკავშირების თავმჯდომარეთა კონფერენციის დადგენილების თანახმად, ყოველმა პროფკავშირმა უნდა მოიწვიოს სრულიად ავსტრიის კონფერენცია „ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობის განსახილველად, აგრეთვე ავსტრიის პროლეტარიატის უფლებათა შელახვის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა შესამუშავებლად“.

ამასთან დაკავშირებით, ავსტრიის კომპარტიის ც. კ.-მა „როტე ფანე“-ში გამოაქვეყნა მოწოდება სოციალ-დემოკრატ მუშებისა და მუშა-ქალებისადმი. მოწოდებაში ნათქვამია:

„რადიკალური ფრაზებით სოციალ-დემოკრატიული პარტია ფარავს თავის თანამშრომლობას შობერის ფაშისტურ მთავრობასთან, იმ შობერის მთავრობასთან, რომელსაც იგი „ავსტრიის მხსნელს“ უწოდებს“.

მოწოდება მიმართავს მუშებს—დაუყონებლივ მიიღონ გადაწყვეტილება ბრძოლის კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ, ამ მოწოდების დაბეჭდვისათვის დააკავეს „როტე ფანე“-ს ნომერი. დააპატიმრეს გაზეთის პასუხისმგებელი რედაქტორი მიკში (ადს).

„როტე-ფანე“-ს კონფისკაცია

ვენა, 24 ოქტომბერი. „როტე ფანე“-ს 24 ოქტომბრის ნომერს კონფისკაცია უყვეს იმის გამო, რომ ამ ნომერში დაბეჭდილი იყო ავსტრიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდება სოციალ - დემოკრატ მუშებისა და მუშა - ქალების მიმართ. „როტე ფანე“-ს რედაქტორი დააპატიმრეს. მას სახელმწიფო ღალატს აბრალებენ (ადს).

„საბჭოთა ქვეყანა“ შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 24 ოქტომბერი. „საბჭოთა ქვეყანა“ 24 ოქტომბერს ჩიკაგოში დაეშვა. აეროდრომზე ავიატორებს მიესალმენ ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის, საბჭოთა კავშირის მეგობართა საზოგადოების, უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოებისა და სხვადასხვა საავიაციო საზოგადოებათა წარმომადგენელნი.

ექს-მინისტრების თათბირი

კონსერვატორები სპეკულიაციას ეწევიან უმუშევრობის საკითხზე

ლონდონი, 24 ოქტომბერი. ბოლდუინმა მოიწვია კონსერვატიული მთავრობის ყოფილ წევრთა თათბირი იმ ტაქტიკის განსახილველად, რომელსაც უნდა დაადგეს კონსერვატიული ფრაქცია თემთა პალატაში. თათბირზე განხილულ იქნა საგარეო პოლიტიკის საკითხები, კერძოდ, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის საკითხი, მაგრამ მთავარი ყურადღება შინაგანი პოლიტიკის საკითხებს ექცეოდა. თათბირმა გადასწყვიტა — მოეთხოვოს მთავრობას, რათა მან დანიშნოს კამათი უმუშევრობის საკითხის გამო. **თუ მთავრობის ახსნა-განმარტება ამ საკითხის შესახებ დამაკმაყოფილებლად არ იქნა ცნობილი, კონსერვატორები შეიტანენ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების ვოტუმს** (ადს).

750 მილიონის ნაცვლად 1 მილიარდი

დამატებითი ხელისმოწერა ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე

ხარკოვი, 25 ოქტომბერი. **მოსკოვის დინამოელთა წინადადებას ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის თანხის გადიდების შესახებ სრული თანაგრძნობით ხვდებიან ხარკოვის მუშები.** „სერპი მოლოტ“-ის ქარხნის საზეინკლო ამქარი წინადადებას აძლევს საკავშირო მთავრობას—გაადიდოს სესხი ერთ მილიარდ მანეთამდე.

კრების დამთავრებისთანავე მუშებმა მოაწყვეს დამატებითი ხელისმოწერა სესხზე.

უცხოელ მუშათა დელეგაციების ჩამოსვლა
ოქტომბრის ზეიმზე დასასწრებლად

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. საკავშირო პროფსაბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომისიამ მიიღო ცნობა, რომ ოქტომბრის თორმეტი წლის თავზე მოსკოვში ჩამოვა ამერიკის მუშათა დელეგაცია 31 კაცის შემადგენლობით. დელეგაციაში შედიან მუშათა თავდაცვის რაზმების, საგანმანათლებლო და კოოპერატიულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, აგრეთვე სამხრეთ გასტონიაში გაფიცულ ფეიქართა წარმომადგენელნი (ადს).

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. 5 ნოემბერს მოსკოვში ჩამოვა გერმანიის მუშათა დელეგაცია 90 კაცის შემადგენლობით. დელეგატების მესამედს ქალები შეადგენენ (ადს).

კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციების ლიკვიდაცია

მებრძოლი მონარქისტული ორგანიზაცია ჩრდ. კავკასიაში

დონის როსტოვი, 25 ოქტომბერი. გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტსამმართველომ ჩრდილოეთ კავკასიაში აღმოაჩინა მებრძოლი მონარქისტული ორგანიზაცია, რომელიც არსებობდა ბერ-მონაზონთა რელიგიური სექტის „იმიასლავცი“-ს სახით. პოლიტსამმართველომ უკვე მოახდინა ამ ორგანიზაციის ლიკვიდაცია. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შეიარაღებული ბრძოლის საშუალებით. ორგანიზაცია წარმოიშვა გაჩაღებული სამოქალაქო ომის დროს, როდესაც კონტრ-რევოლიუციის გამარჯვების იმედი მცირედა იყო. ორგანიზაციის მოქმედების ცენტრს წარმოადგენენ შავი ზღვის პირის, ყუბანის, მაიკოპის, არმავირის და ყარაჩაი-ჩერქეზეთის მთაგორიანი და ტყიანი რაიონები. ორგანიზაცია ემზადებოდა შეიარაღებული აჯანყებისათვის, იძენდა იარაღს, ვითომ დათვებზე სანადიროდ. ორგანიზაციის მეთაურები, ძმები გრიგოროვიჩები, **„თორმეტთა საბჭოს“ მახლობელი თანამშრომელნი და წევრნი დახვრეტილ იქნენ, დანარჩენი ბრალდებულნი გაიგზავნენ საკონცენტრაციო ბანაკში 5—10 წლის ვადით.**

ბანდიტური კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის ლიკვიდაცია

კრასნოდარი, 25 ოქტომბერი. ყუბანის გაერთიანებულმა სახელმწიფო პოლიტსამმართველომ ლიკვიდაცია უყო კონტრ-რევოლიუციონურ ბანდიტურ ორგანიზაციას, რომელშიაც შედიოდნენ ყოფილი ოფიცრები, თეთრგვარდიელები, მწვანერაზმელები და კულაკები. ორგანიზაციის მიზანი იყო საბჭოთა ხელისუფლების ღონისძიებათა ჩაშლა. ორგანიზაციამ გამოჰყო ბანდა, რომელშიაც შედიოდა 18 კაცი. ეს ბანდა, რომელსაც ჰქონდა იარაღი და ყალბი დოკუმენტების ფაბრიკა, მიმართავდა ტერორს საბჭოთა მუშაკების წინააღმდეგ, სძარცვავდა მატარებლებს, ბანკებს და სხვა დაწესებულებებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელნი და აქტიური მონაწილენი დახვრეტილ იქნენ (ადს).

პანაიტ ისტრატის ნამდვილი სახე

ბაქო, 25 ოქტომბერი. ბაქოში ამჟამად მყოფმა, რევოლიუციონურ მწერალთა საერთაშორისო ბიუროს დელეგაციის თავმჯდომარემ, ბიუროს პასუხისმგებელმა მდივანმა ბელა ილეშმა ამ.-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს პანაიტ ისტრატის გამოსვლის შესახებ განაცხადა:

„პირველად პანაიტ ისტრატის მე შევხვდი 1927 წლის დამლევს პროლეტარულ და რევოლიუციონურ მწერალთა პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე. მაშინ, ისტრატის უკიდურესი მემარცხენე პოზიცია ეჭირა. ის ენერგიულ პროტესტს აცხადებდა ბიუროში თანამგზავრ მწერალთა მიღების წინააღმდეგ.

1927 წლის 7 ნოემბერს მოსკოვში, სამხედრო აღლუმის შემდეგ, რომელსაც ისტრატი დაესწრო, მან გამოაქვეყნა განცხადება — წითელი არმია შეიარაღებული მუშათა კლასია და ყველა ის, ვინც წითელ იმპერიალიზმზე ლაპარაკობს, ცრუ და მოღალატეა.

1928 წლის მაისში, პროლეტარულ მწერალთა პირველ ყრილობაზე ისტრატი ცხარე პროტესტს აცხადებდა იმის წინააღმდეგ, რომ მას გორკის ადარებდნენ: მე, ისტრატი, მე-3 ინტერნაციონალის პოზიციაზე ვდგევარ, ხოლო გორკი არ არის პროლეტარული მწერალიო.

ისტრატიმ რამდენჯერმე გაილაშქრა იმის წინააღმდეგ, რომ ბარბიუსი ბიუროს წარმომადგენლად ყოფილიყო საფრანგეთში, ის შემარიგებელს ეძახდა ბარბიუსს, ხოლო რომენ როლანს, რომელთანაც საერთაშორისო ბიუროს კავშირის გაბმა სურდა, ძალიან აგინებდა.

1928 წლის ზაფხულში ისტრატიმ ხელი მოაწერა ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხზე — 500 მანეთის რაოდენობით. ამასთან მან დემონსტრატიულად ითხოვა — ამ ფულით იარაღი შეიძინეთ წითელი არმიისთვისო.

ისტრატი ყოველთვის „რადიკალი“ იყო, მაგრამ ყველაზე უფრო რადიკალი იგი იყო მაშინ, როდესაც საქმე ჰონორარს შეეხებოდა. ის არასოდეს არ იყო კმაყოფილი იმ ჰონორარით, რომელსაც მას აძლევდნენ საბჭოთა გამომცემლობანი მისი ლიტერატურული შრომებისთვის. ყოველი განცხადების შემდეგ, რომ ის „საბჭოთა კავშირის მეგობარია“, ისტრატი სვამდა საკითხს ჰონორარის გადიდების შესახებ. და როდესაც საბჭოთა გამომცემლობანი უარს ეუბნეოდნენ „მეგობრობისათვის“ ფულის მიცემაზე, ისტრატი რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში აცხადებდა — უკრაინაში ფული არ მომცესო, ხოლო უკრაინაში — რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში არ მომცესო.

სამწუხაროდ, ეს ამბავი ბიურომ გაიგო ისტრატის წასვლის შემდეგ, ისევე, როგორც შემდეგ გაიგო მან ის ამბავი, რომ ისტრატიმ მოსკოვში ვალიუტით სპეკულიაციაც კი სცადა.

საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ ისტრატიმ მოსკოვში წამოაყენა ორი წინადადება: ერთი, — რომ ის დაეკავშირებიათ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან, მას უნდოდა ეკისრა არალეგალური მუშაობა საფრანგეთში, ხოლო მეორე, — რომ მისთვის მიეცათ ფული პარიზში საბჭოთა კავშირის თანამგრძნობი დიდი გაზეთის გამოსაცემად.

როდესაც ისტრატიმ ორივე შემთხვევაში უარი მიიღო, მაშინ მან წინადადება მისცა რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის სახელმწიფო გამომცემლობას მისი მომავალი წიგნის „რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვება“-ს შეძენის შესახებ. ამხ. ხალათოვმა, რომელიც პირადად ელაპარაკებოდა ისტრატის, იგრძნო, რომ აქ რაღაც სხვანაირად იყო საქმე, რომ ისტრატი გვპირდებოდა იმაზე მეტს, რაც ჩვენ გვჭირდება. სახელმწიფო გამომცემლობამ არ მოისურვა ისტრატისთან საქმის დაჭერა. მაგრამ რადგან ბიურო კარგ ლიტერატურულ - პოლიტიკურ განწყობილებაში იყო ხალათოვთან, ისტრატიმ მიაღწია იმას, რომ ამხ. ხალათოვმა ავანსის სახით მისცა ფული მისი მომავალი წიგნის ანგარიშში.

დასასრულ, უკანასკნელ დღეს, საბჭოთა კავშირიდან გამგზავრების წინ ისტრატიმ თხოვნით მიმართა საერთაშორისო ბიუროს—მიეცათ მისთვის მანდატი საფრანგეთში ბიუროს წარმომადგენლობაზე. ისტრატიმ აქაც უარი მიიღო. მაგრამ ბიურომ ისტრატის გადასცა ფული ფრანგულ ჟურნალ - გაზეთების გამოსაწერად და წიგნების შესაძენად. ისტრატიმ ფული მიიღო და გაემგზავრა. მას შემდეგ მისგან არაფერი მიგვიღია.

რევოლიუციონურ მწერალთა საერთაშორისო ბიუროს ჯერ კიდევ ექნება მსჯელობა ისტრატის შესახებ. მაგრამ იმ ფაქტებიდანაც, რომლებიც მე მოვიყვანე, ცხადია, რომ ისტრატის უნდოდა თავი მიეყიდა საბჭოთა კავშირისათვის. მაგრამ რადგან საბჭოთა კავშირში ადამიანების მოსყიდვას არ მისდევენ, ისტრატიმ მონახა სხვა მყიდველები — საბჭოთა კავშირის მტრები“. (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი
(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთის მთავრობა გადადგომის წინ

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. ვარშავიდან მიღებული ცნობების თანახმად, პოლონეთის მმართველ წრეებში მოუხშირეს ლაპარაკს კონსტიტუციის გადასინჯვისა და მთავრობას ახალი შემადგენლობის არჩევის შესახებ. ახლო მომავალში მოელიან დეკრეტს სეიმის მოწვევის შესახებ. სვიტალსკის კაბინეტის გადადგომა ყველას გადაწყვეტილად მიაჩნია. უკვე ლაპარაკობენ მომავალ მთავრობის პრემიერის კანდიდატებზე. ასახელებენ **მატუშევსკის, სოსნოვსკის და პატეკს.**

ოფიციოზი „გლოს პრავდი“ სწერს, რომ საბოლოოდ მომწიფდა კონსტიტუციის გადასინჯვის საკითხი. გაზეთის სიტყვით, სეიმი თავის მუშაობის განახლების პირველ დღეებშივე განიხილავს კონსტიტუციას, მასში საჭირო ცვლილებების შესატანად.

მემარჯვენე გადახრის პრაქტიკა

მოსკოვი, 25 ოქტომბერი. „პრავდა“-ს დღევანდელ ნომერში გამოქვეყნებულია ვოლოგოდის პარტიულ ორგანიზაციის გამოკვლევების შედეგები. გამოირკვა, რომ ვოლოგოდის საოლქო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობა ვერ ახორციელებდა მტკიცე პროლეტარულ ხაზს, ფარავდა კლასობრივ ბრძოლას სოფლად, აშკარა მემარჯვენე - ოპორტიუნისტული პრაქტიკა ვოლოგოდის გუბერნიაში იქამდე განვითარდა, რომ სიტყვა კულაკი განდევნილი იყო. საგადასახადო პოლიტიკაში უხეშად მახინჯდებოდა კლასობრივი ხაზი.

იმის გამო, რომ ორგანიზაცია ვერ ახორციელებდა გარკვეულ პარტიულ ხაზს, ის მშვიდობიანად შეეგუა კულაკს, რომელმაც თავის გავლენის ქვეშ მოაქცია ხელისუფლების აპარატი სოფელში და მაზრაშიაც კი. გათამამებული კულაკები გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ პარტიის წინააღმდეგ. მთავარი იერიში მათ მიჰქონდათ კოლმეურნეობათა წინააღმდეგ. ადგილი ჰქონდა კოლმეურნეობებში გაერთიანებულ ღარიბ გლეხების მასიურად ცემა-ტყეპას და მკვლელობასაც კი. პარტიისა და სასამართლოს ორგანოები კულაკობის ტერორს უყურებდნენ, როგორც ჩვეულებრივ ხულიგნობას.

კომუნისტი
მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფონი 8—81.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხ. მრავიანის გარდაცვალების გამო

ამხ. მრავიანის ხსოვნის აღსანიშნავად

ერევანი, 25 ოქტომბერი. სომხეთის კომპარტიის (ბ) ც. კ.-მა, ერევნის კომიტეტმა და ცაკმა გამოუშვეს მოწოდება სომხეთის მუშებისა, შრომელებისა და კომკავშირის წევრებისადმი. მოწოდებაში დახასიათებულია ამხ. მრავიანის მოღვაწეობა.

24 ოქტომბერს საღამოთი გაიმართა სომხეთის ცაკის, სახკომსაბჭოს, კომკავშირის, კომპარტიის ც. კ.-ის, ერევნის კომიტეტის, პროფსაბჭოს და ქალაქის საბჭოს გაერთიანებული სამგლოვიარო სხდომა, რომელმაც დაადგინა ამხ. მრავიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად:

1) მრავიანის სახელი ეწოდოს სახალხო სახლს, რომელიც ერევანში შენდება, ახალ ბულვარს სახალხო სახლის შენობის წინ და ლენინაკანის პედაგოგიურ ტექნიკუმს.

2) განათლების სახ. კომისარიატის თანხებიდან გამოიყოს მრავიანის სახელობის ფონდი ხელოვნებისა და ლიტერატურის დარგში მომუშავეთათვის პრემიების მისაცემად.

3) სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში დაარსდეს ამხ. მრავიანის სახელობის სტიპენდიები;

4) წინადადება მიეცეს ქალაქის საბჭოს — ერევნის ერთ - ერთ ქუჩას უწოდოს მრავიანის სახელი. (ადს).

ერევანი, 25 ოქტომბერი. ხელოვნების მუშაკთა კავშირმა კოლექტივების სურვილის თანახმად, გადასწყვიტა აღძრას შუამდგომლობა — სახელმწიფო თეატრს და სამხატვრო ტექნიკუმს ეწოდოს ამხ. მრავიანის სახელი და დაკრძალვის დღიდან ერთი კვირის შემდეგ გაიმართოს სამგლოვიარო საღამო მისი ხსოვნის აღსანიშნავად. ამხ. მრავიანის ცხედარის გადატანა უნივერსიტეტიდან კულტურის სახლის დარბაზში მოხდება 25 ოქტომბერს, დღის 4 საათზე. (ადს).

ერევანი, 25 ოქტომბერი. სომხეთის ლიტერატურულმა გაერთიანებებმა გადასწყვიტეს — გამოუშვან სპეციალური კრებული, რომელიც მიეძღვნება ამხ. მრავიანის ხსოვნას (ადს).

ერევანი, 25 ოქტომბერი. თეატრის მუშაკთა თათბირი სასურველად სცნობს ამხ. მრავიანი დაკრძალულ იქნეს სახალხო სახლის მოედანზე. (ადს).

ლენინაკანი, 25 ოქტომბერი. ამხ. მრავიანის გარდაცვალების გამო გუშინ დაიხურა ყველა გასართობი და გაიმართა სამგლოვიარო საღამოები მასწავლებელთა, უფროსი ჯგუფების მოწაფეთა, მუშფაკების მსმენელთა და ტექნიკუმების მოსწავლეთა მონაწილეობით. სამძიმრის დეპეშები გაეგზავნა სომხეთის კომისართა საბჭოს და განათლების კომისარიატს. მზადდება მუშათა, მასწავლებელთა, მოწაფეთა და სტუდენტთა დელეგაციები დასაფლავებაში მონაწილეობის მისაღებად. (ადს)

ბაქო, 25 ოქტომბერი. სომხეთის განათლების სახალხო კომისრის ამხ. მრავიანის გარდაცვალებამ ღრმა მწუხარება გამოიწვია ბაქოში. ცაკმა და სახკომსაბჭომ სამძიმარი გამოუცხადეს სომხეთის მთავრობას. ბაქოს გაზეთები ხვალინდელ ნომერში ათავსებენ ამხ. მრავიანის ნეკროლოგებს და სახსოვარ წერილებს. (ადს)

—:—

ერევანი, 25 ოქტომბერი. სომხეთის ცაკის პრეზიდიუმმა სომხეთის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობათა შესრულება დროებით დააკისრა სომხეთის სახ. მეურნ. საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ესაიანს. (ადს).

სამძიმარის დეპეშები

საქ. სახ. კომისართა საბჭოსაგან

საქართველოს ს. ს. რ.—ის სახ. კომისართა საბჭო ღრმა თანაგრძნობას უცხადებს სომხეთის ს. ს. რ.—ის მშრომელებს ძველი რევოლუციონერის, ნამდვილი ლენინელის, ბოლშევიზმის გზაზე დამდგარი სომხეთის უკეთესი მუშაკის, ამხ. მრავიანის გარდაცვალების გამო. ის გზა, რომელიც ამხანაგმა მრავიანმა განვლო, სომხეთის მშრომელების შემდგომი გამარჯვების უტყუარი საწინდარია ქვეყნის ეკონომიური და კულტურული აღორძინების გზაზე.

საქართველოს ს. ს. რ.—ის სახ. კომისართა საბჭო.

ოზურგეთის სამაზრო აღმასკომისაგან

ოზურგეთი, 25 ოქტომბერი. ოზურგეთის სამაზრო პარტკომი და აღმასკომი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძველი ბოლშევიკის ამხ. მრავიანის უდროოდ გარდაცვალების გამო.

აღმასკომის თავმჯდომარე თ. დოლიძე.

—:—

ერევანი, 25 ოქტომბერი. ამხ. მრავიანის გარდაცვალების გამო კვლავ მოდის მრავალი სამგლოვიარო დეპეშა. დეპეშები გამოგზავნეს შემდეგმა ამხანაგებმა: ორჯონიკიძემ, მიქოიანმა, ელიავამ, ორახელაშვილმა, ენუქიძემ, მუსაბეკოვმა, კოსტანიანმა, კახიანმა, ნაზარეტიანმა, ტერ - გაბრიელიანმა, მახარაძემ, სტურუამ, ჰუსეინოვმა, გიკალომ, ტატიევმა და სხ.

აზერბეიჯანის კომპარტია ასწორებს ძველი ხელმძღვანელობის შეცდომებს

ბაქო, 25 ოქტომბერი. აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ბაქოს კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმების შეერთებულმა გაფართოებულმა სხდომამ, სარაიონო კომიტეტების მდივანთა, სამეურნეო მუშაკთა და პროფმუშაკთა მონაწილეობით, მოისმინა ამხ. ზიკალოვის მოხსენება იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ აზერბეიჯანის ორგანიზაციის შესახებ გამოტანილ გადაწყვეტილებათა შესრულების საქმე. სხდომა აღიარებს, რომ აზერბეიჯანის, კერძოდ, ბაქოს ორგანიზაციის მთელი მუშაობა უკანასკნელი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა იმ გადაწყვეტილებათა შესრულების ნიშნის ქვეშ, რომლებიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა აზერბეიჯანის ორგანიზაციის მოხსენების გამო.

თვითკრიტიკის ტალღამ, რომელიც ფართოდ გაიშალა საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, ღრმა გაჯანსაღება შეიტანა პარტიული, საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა ორგანიზაციების ყველა ნაწილში და თავიდან ბოლომდე მოსპო მათ მუშაობაში შინაურულობის, ერთმანეთის დაფარვის, თვითკრიტიკის ჩახშობის და მასებისაგან მოწყვეტის ელემენტები.

ჩატარებულ იქნა უდიდესი მუშაობა მუშათა ახალი კადრების დაწინაურების საქმეში. თვითკრიტიკის დიდი და, საერთოდ, სრულიად ჯანსაღი გაშლის დროს დაშვებული ცალკე გადამლაშებანი, შეცდომები და გადახრები, რომელთაც მთელ რიგ შემთხვევაში საკმაოდ იჩინეს თავი, თავის დროზე იქნა გამოსწორებული აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, ბაქოს კომიტეტის და სარაიონო კომიტეტების ჩარევით. მომავალში განუხრელად უნდა გაგრძელდეს მუშათა დაწინაურება და შემოქმედებითი თვითკრიტიკის გაშლა, რაც მიმართული უნდა იყოს პარტიისა და მუშათა კლასის წინაშე მდგომი სოციალისტური მშენებლობის ამოცანების შესრულებისაკენ; ასეთი ამოცანებია: ხუთწლიანი გეგმის შესრულება, თვითღირებულების შემდგომი შემცირება, შრომის ნაყოფიერების აწევა, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა და კაპიტალიზმის ფესვების აღმოფხვრა ჩვენს ქვეყანაში.

საჭიროა „მასების გულისყურობის" უფრო ძლიერად მიმართვა წარმოების ჯერ კიდევ საკმაოდ მნიშვნელოვან ნაკლთა წინააღმდეგ, შრომის ნაყოფიერების დაბალი დონის და წარმოებაში არსებული წვრილბურჟუაზიული დაუდევრობის წინააღმდეგ. საჭიროა მუდმივი დახმარება გაეწიოთ დაწინაურებულ მუშებს მათ მუშაობაში და შემდგომშიაც გაგრძელდეს სისტემატიური მუშაობა მუშაკების, განსაკუთრებით თურქ მუშაკების, დაწინაურების საქმეში.

კრება აღნიშნავს, რომ თანდათან იხპობა ის შემთხვევები, რომლებსაც აზერბეიჯანში ჰქონდა ადგილი თვითკრიტიკის ფართოდ გაშლისა და განვითარების დროს, განსაკუთრებით პირველ ხანებში, და რომლებიც გამოიხატებოდა იმაში, რომ ილაშქრებდნენ ძველი კადრების წინააღმდეგ და უყურადღებოდ ეპყრობოდნენ პარტიის წლობით შექმნილ კადრებს. შემდგომში ორგანიზაცია გადაჭრით უნდა შეებრძოლოს ამგვარ არა ჯანსაღ განწყობილებას.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ძირითად ადგილობრივ ეროვნებათა კადრებს. საჭიროა გაგრძელდეს და გაძლიერდეს სამეურნეო მშენებლობის ამოცანათა პრაქტიკული გატარება ცხოვრებაში (ერთმმართველობის განხორციელება, განუწყვეტელ წარმოებაზე გადასვლა) და ბრძოლა გამოცხადდეს ყოველგვარ მანქანალურ განწყობილებას, სპეცთმამობას, სამეურნეო კადრების მნიშვნელობის შეუფასებლობის და სხვას.

კრება აღნიშნავს იმ დიდ მუშაობას, რომელიც ჩატარებულ იქნა უკანასკნელ პერიოდში სოფლად საბჭოთა და პარტიული ორგანოების განმტკიცებისა და გაჯანსაღების და კულაკური ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. აზერბეიჯანის პროლეტარიატის იმ დახმარებამ, რომელიც მან აზერბეიჯანის საშუალო და ღარიბ გლეხობას და კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებს გაუწია მრავალრიცხოვანი ბრიგადების გაგზავნით და სხვა გზით, უკვე იქონია დადებითი გავლენა, და საგრძნობლად განამტკიცა პროლეტარიატის კლასობრივი პოზიციები სოფლად. დაუცხრომელი ტემპით უნდა გაგრძელდეს საწარმოო კავშირობის და საგლეხო მეურნეობების სოციალისტური გარდაქმნის შემდგომი გაღრმავება, როგორც სოფლად პროლეტარიატის გავლენის განმტკიცებისათვის საჭირო უმნიშვნელოვანესი მუშაობა.

გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში კონტრ - რევოლუციონური და ნაციონალისტური ელემენტები ჩვენი ქვეყნის შიგნით აძლიერებენ თავიანთ მავნებლურ მუშაობას. ძირშივე უნდა აღიკვეთოს მუსავატელთა, იტიხადელთა, დაშნაკთა და სხვა კონტრ - რევოლუციონური პარტიების მოქმედების ყოველგვარი საშუალება. საჭიროა უფრო მეტად გაძლიერდეს მუშებისა და გლეხების ინტერნაციონალური აღზრდა, განმტკიცდეს ყველა ერის მშრომელთა მუდმივი ძმური თანამშრომლობა სოციალიზმის მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა ორგანოების დაწყებული წმენდა უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იქნება საბჭოთა აპარატის განმტკიცებისა და გაჯანსაღებისათვის და საშუალებას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ კლასობრივი ხაზის გამრუდების შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვთ ქალაქისა და სოფლის საბჭოთა ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში და, რომლებიც განსაკუთრებით საშიშარნი არიან გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის დროს. საჭიროა უაღრესად გაძლიერდეს საბჭოების და კოოპერატიული საზოგადოებრივობის მასიური მუშაობა. კერძოდ, ეს მუშაობა მიმართული უნდა იყოს მუშათა მომარაგების საქმის გაუმჯობესებისაკენ.

აზერბეიჯანის კომკავშირის ორგანიზაციამ სხვადასხვა პოლიტიკური კამპანიის დროს (ინდუსტრიალიზაციის დღე, მოსავლის და კოლექტივიზაციის დღე და სხვა) უდიდესი აქტივობა და შემოქმედებითი აღფრთოვანება გამოიჩინა. მაინც საჭიროა დაჩქარდეს აზერბეიჯანის კომკავშირის მთელი მუშაობის გადაქმნა იმ მითითებათა ნიადაგზე, რომლებიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, საბჭოთა კავშირის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და ამიერ - კავკასიის ახალგაზრდათა კომკავშირის ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ გამოიმუშავეს. მუშაობის ამ გადაქმნის დროს პირველი და უსაჭიროესი ის არის, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა (აზერბეიჯანის კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა, ბაქოს კომიტეტმა, რაიკომებმა, უჯრედის ბიუროებმა და სხვ.) განამტკიცონ თავიანთი ნამდვილი და ყოველმხრივი ხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციების მიმართ.

კრება აღნიშნავს, რომ პროფესიონალური კავშირები მეტად ნელა და არა საკმაოდ უფარდებენ თავიანთ მუშაობას იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოიტანეს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა. მრეწველობის სოციალისტური რეკონსტრუქციის ამოცანები, მეურნეობის მართვა-გამგეობის მოწესრიგების აუცილებლობა და სამეურნეო განვითარების სწრაფი ტემპი ავალებს პროფესიონალურ კავშირებს — გადაქმნან მთელი თავიანთი მუშაობა იმ მხრივ, რომ მაქსიმალურად დაუახლოვონ იგი წარმოების ამოცანებს. მუშათა მასების სოციალისტური შეჯიბრის, შრომის დისციპლინის ამაღლება, და შრომის ნაყოფიერების გადიდება პროფკავშირთა მუშაობის მთავარ ყურადღებას უნდა იქცევდეს, ყველაფერმა ამან ხელი უნდა შეუწყოს პროფესიონალური კავშირების ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცეული მასების კლასობრივი შეგნების ამაღლებას. ამ მიზნით, პროფკავშირები თავიანთ მუშაობაში გადაჭრით უნდა შეებრძოლონ ამქრულ სულისკვეთების და აპოლიტიურობის ნაშთებს, აგრეთვე მუშათა ჩამორჩენილი ჯგუფების მეშჩანურ და მანქანალურ განწყობილებას, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სპეციალურ მუშაობას მუშათა ახალ ფენებში, რომლებიც კლასობრივი ბრძოლის გამწვავების პირობებში ზოგჯერ კლასობრივად უცხო გავლენათა მატარებელნი არიან მუშათა წრეში. საბჭოთა, პროფესიონალურმა, კოოპერატიულმა და სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა დააჩქარონ თავიანთი მუშაობის გადაქმნა რეკონსტრუქციის პერიოდის ამოცანათა გადაჭრისა და საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების ნიადაგზე. მთელმა ორგანიზაციამ უდიდეს ამოცანად უნდა დაისახოს პარტიის დირექტივების შესრულების სისტემატიური შემოწმება ყველა ორგანიზაციაში, თავიდან ბოლომდე.

კრებამ საჭიროდ მიიჩნია საკავშირო კომპარტიის (ბ) ამიერ - კავკასიის სამხარეო კომიტეტის როლის და ამიერ - კავკასიის პარტორგანიზაციებში მისი ხელმძღვანელი გავლენის შემდგომი განმტკიცება, თანახმად იმ მითითებებისა, რომლებიც საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აზერბეიჯანის ორგანიზაციის შესახებ მოსმენილ მოხსენებაზე გამოიმუშავა. კრება არწმუნებს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს, რომ აზერბეიჯანის ორგანიზაცია გადაჭრით დასძლევს ყველა დაბრკოლებას, რომელიც მისი მუშაობის გადაქმნის ეღობება, და, მუშათა ფართო მასების დახმარებით, აუცილებლად გაატარებს ცხოვრებაში საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ყველა გადაწყვეტილებას და, ლენინური ცენტრალური კომიტეტის გამოცდილი ხელმძღვანელობით, მოიპოვებს ახალ მიღწევებს და გამარჯვებებს, სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე.

პარტიული რიგების განმტკიცება, პარტიის წმენდა, ბრძოლა ამჟამად ყველაზე უფრო საშიშარი მემარჯვენე გადახრის, შემარიგებლობის და „მემარცხენე" გადახრის ყოველგვარი გამოვლინებების წინააღმდეგ, პარტორგანიზაციის შემდგომი შემჭიდროება პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გენერალური ხაზის ირგვლივ, — ყოველივე ეს ძირითადი პოლიტიკური პირობაა სოციალისტური მშენებლობის შემდგომი წარმატებისათვის და პროლეტარული დიქტატურის ყველა ნაწილის განმტკიცებისათვის.

აზერბეიჯანის ორგანიზაცია მტკიცედ სდგას პარტიის გენერალური ხაზის სადარაჯოზე, დაუნდობლად ებრძვის ყველა უკლონინებს და უეჭმანოდ უჭერს მხარს საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტს მის ორ ფრონტზე ბრძოლაში — მემარჯვენე გადახრისა და შემარიგებლობის წინააღმდეგ, თეორიაში და პრაქტიკაში და „მემარცხენე" ტროცკისტული და ნახევრად ტროცკისტული განხრების ყოველგვარი გამოვლინებების წინააღმდეგ.

დახმარება დამშეულ რაიონებს

ბაქოს მუშები ეხმარებიან დამშეულებს

ბაქოს მუშები შეუდგნენ ფულის შეკრებას დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ ოსეთის დაზარალებულ გლეხობის დასახმარებლად

ბაქო, 25 ოქტომბერი. ბაქოს მუშები მხურვალედ გამოეხმაურნენ მოწოდებას დასავლეთ საქართველოს, აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ-ოსეთის მშრომელი გლეხობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

გუშინ დაწყებული შეწირულებათა შეგროვება ლენინის და საქარხნო-საფაბრიკო რაიონების მუშათა შორის დღეს მთელ ქალაქს მოედო. წინასწარი ვარაუდით, ჯერჯერობით შეგროვდა 10.000 მანეთი. შეწირულებათა შეგროვება გრძელდება.

გარდა ამისა, მუშებს განზრახვა აქვთ, ერთი ზედმეტი საათი იმუშაონ და ხელფასი დახმარების ფონდს გადასცენ. კომკავშირელები მოაწყობენ ახალ შაბათობას პურის გადასატვირთავად და ხელფასს გადასდებენ ძმური რესპუბლიკების გლეხთა დასახმარებლად. აზერბეიჯანის სახალხო კომისართა საბჭომ დახმარების ფონდში გადასდო 50.000 მანეთი.

ადგილებზე უნდა მოეწყოს დამხმარე კომიტეტები

სამი წლის მოუსავლობამ უკიდურეს გაჭირვებაში ჩააყენა დასავლეთ-საქართველოს, აფხაზეთ-აჭარისტანის და სამხრეთ -ოსეთის მოსახლეობა. ამ რაიონებში ამჟამად შიმშილის ნიადაგზე გავრცელებულია ავადმყოფობა პელაგრა, რომლითაც დაავადებულია დამშეული რაიონების მოსახლეობის საგრძნობი ნაწილი.

მოუსავლიანობის ამ მწვავე შედეგების ლიკვიდაცია მოითხოვს დიდძალ სახსრებს და დიდ ენერგიას. მთავრობა პრაქტიკულად შეუდგა ამ სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლას. გამოყოფილია დამშეულთა დამხმარე მთავრობის კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა შიმშილობასა და პელაგრასთან ბრძოლის გეგმა და შეუდგა მის განხორციელებას. მაგრამ მარტოოდენ მთავრობის ღონისძიებები საკმარისი არ იქნება და მთავრობასთან ერთად შიმშილობასთან და პელაგრასთან საბრძოლველად ამოძრავებული უნდა იქნეს მთელი საბჭოთა საზოგადოებრივობა. ამ მიზნით დამშეულთა დამხმარე რესპუბლიკანურმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა ავტონომიურ რესპუბლიკების და ოლქებისა და მაზრების ხელისუფლებას დაჩქარებით მოაწყონ ადგილებზე დამშეულთა დამხმარე კომიტეტები, საბჭოთა, პარტიულ, პროფესიონალურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობით. კომიტეტებმა ადგილებზე უნდა იკისრონ დახმარების საქმის ორგანიზაცია. ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ თანხების შეგროვებას; ყოველი ღონე უნდა იხმარონ, რომ დამშეულთა დახმარების საქმეში მთელმა საბჭოთა საზოგადოებრივობამ მიიღოს აქტიური მონაწილეობა.

შეგროვილი ფული და საკვების პროდუქტი აღრიცხული უნდა იქნას დაუყოვნებლივ. დამშეულთა დასახმარებლად შეგროვილი ფული პერიოდულად და რაც შეიძლება დაჩქარებით უნდა გადაიგზავნოს კომუნალურ ბანკში საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიმდინარე ანგარიშზე (№ 1005) და ამის შესახებ ეცნობოს სახკომსაბჭოს და ეკონომსაბჭოს საქმეთა მმართველობის საფინანსო განყოფილებას.

დამშეულთათვის შეკრებილი საკვები პროდუქტები შენახული უნდა იქნან საქართველოს წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარ მთვარის საზოგადოების უახლოეს საწყობში. სადაც საწყობი არ არის, პროდუქტები უნდა ინახებოდეს ადგილობრივი კომიტეტის განკარგულებაში.

რესპუბლიკანურ დამხმარე კომიტეტს სისტემატიურად უნდა ეცნობოს როგორც შეგროვილ ფულის, აგრეთვე სურსათ-სანოვაგის რაოდენობა და მათი შენახვის ადგილი.

პელაგრით დაავადებულთა კვების გასაუმჯობესებლად

პელაგრით დაავადებულ მოსახლეობის კვების გასაუმჯობესებლად დამშეულთა დამხმარე კომიტეტმა მიმართა ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულს საქართველოში —ნება დართოს ცეკავშირს დაჩქარებით შეიძინოს და შეზიდოს დამშეულ რაიონებში 60 ვაგონი პურის ფქვილი, 10.000 ფუთი ლობიო, 10.000 ფუთი ბრინჯი, 40.000 ფუთი კარტოფილი, 1.000 ფუთი ერბო და 2 ვაგონი შაქარი.

გარდა ამისა კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია დასავლეთ საქართველოში შეწყვეტილ იქნეს კვერცხების დამზადება საექსპორტოდ, ვინაიდან ახლო მომავალში კომიტეტი შეუდგება კვერცხების დამზადებას პელაგრით დაავადებულთათვის.

ზემოხსენებულ პროდუქტებს ცეკავშირი დამშეულ რაიონებში გაანაწილებს კომიტეტის მითითებით.

შემოწირულება

დამშეულთა დასახმარებლად რესპუბლიკანურ დამხმარე მთავრობის კომიტეტის სახელზე, გუშინდლამდე სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან მიღებული იყო 50.230 მანეთი.

წებელდის კულაკების პროცესი

ბრალდებულთა დაკითხვა

სოხუმი, 24 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს, წებელდის პროცესზე დაკითხეს თამბაქოს ფარდულებისათვის ცეცხლის წამკიდებელთა ჯგუფს. პირველად დაკითხულ იქნა მიღრან არუთინისძე თოფჩიანი. მნახველთა ჩვენებით მტკიცდება ის ფაქტი, რომ მიღრანმა ცეცხლი წაუკიდა თამბაქოს ცალიერ ფარდულს. მან თამბაქო წინასწარ ცხენებით გადაზიდა სოფელ ოლგინსკოეში. ამ საქმეში მონაწილეობა მიიღეს მისმა ძმებმა, მათ შორის კარაპეტ არუთინისძემ, რომელიც მაშინ წებელდის სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ იყო. იმ მიზნით, რომ მალე მიეღო დაზღვევის ჯილდო, მიღრან თოფჩიანმა დახმარება სთხოვა თავის ნათესავ მარკოზს და, როდესაც 5 დღის შემდეგ სახდაზღვევისაგან 4.770 მანეთი მიიღო, „მადლობის" ნიშნად 320 მანეთი გაუზიარა მარკოზს. გარდა ამისა, მიღრანი ერთ - ერთი იმ პირთაგანია, რომელნიც თავს დაესხნენ ფაფაზიანს.

— გადმოგცათ თუ არა თქვენ თქვენმა ძმამ კარაპეტმა ფაფაზიანზე თავდასხმის წინ ორი ნაგანი, ერთი თქვენთვის და ერთი თქვენი ძმის ვაღარშაკისათვის? — ეკითხება მიღრან თოფჩიანს თავმჯდომარე.

— მე და ფაფაზიანი 1910 წლიდან მეგობრები ვართ, — უპასუხებს სასამართლოს მიღრანი. შემდეგ იგი ამბობს: — იმ დროს, როდესაც მოხდა თავდასხმა ფაფაზიანზე, მე კისლოვოდსკში ვიყავი და იქ გაზეთებიდან გავიგე ფაფაზიანის დაჭრა.



ამხ. ფაფაზიანი

წებელდის კომუჯრედის მდივანი, რომელსაც მოკვლას უპირებდნენ ბრალდებულები

—:—

ბელუკ - ბაშიანი ადგილიდან ადასტურებს ნაგანის გადაცემის ფაქტს.

სასამართლო არკვევს, რომ ფაფაზიანზე თავდასხმის შემდეგ მიღრან თოფჩიანი გაემგზავრა კისლოვოდსკში, სადაც მას შეუერთდა ლევონ თოფჩიანი. კისლოვოდსკში ორივე თოფჩიანი ლოთობისათვის შეიპყრო სისხლის სამართლის მილიციამ. სისხლის სამართლის მილიციაში დაკითხვის დროს ლევონს აღმოაჩნდა პასპორტი გალუსტ იატაკიანის სახელზე. პასპორტის სიყალბე მაშინვე გამოირკვა და ორივე დააპატიმრეს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე — იცნობთ თუ არა გალუსტ იატაკიანსო, — მიღრანი უპასუხებს, იატაკიანი არასოდეს არ მინახავსო. ეს პასუხი მთელი დარბაზის სიცილს იწვევს.

მიღრანის შემდეგ დაკითხეს თოფჩიანის მახლობელ პირს ავეტის ავეტისიანს. ა. ავეტისიანთან დიდხანს იმალებოდა გრიგოლ თოფჩიანი, რომელიც ამჟამად გაქცეულია. ამ გარემოებას ავეტისიანი დაეინებით უარჰყოფს. (ადს).

პროცესის მთავარი „გმირის" დაკითხვა

სოხუმი, 25 ოქტომბერი. საღამოს სხდომა მთლიანად მოუნდა წებელდის პროცესის ცენტრალური ფიგურის—მეთამბაქოების ბატონ-პატრონის, სამანუფაქტურო სააქციო საზოგადოების დირექტორის, თამბაქოს ფარდულების გადაწვის ხელმძღვანელის, სხვადასხვა ტერორისტული აქტების ორგანიზატორის, მოჯამაგირე ქალების მკვლელის და სინდის გარეცხილი პროვოკატორის მარკოზ აკოფის ძე თოფჩიანის დაკითხვას.

მარკოზი მჭერმეტყველი ორატორი და სისხლის სამართლის საქმეებში გამოცდილი კაცია. მას თავმომწონედ უჭირავს თავი. მარკოზი ჯერ სცდილობს ბრალდებულად კი არ გამოიყვანოს თავი, არამედ პირველხარისხოვან ლექტორად. მისი ვრცელი ავტობიოგრაფია სავსეა სხვადასხვა დიდი „რევოლიუციონური" ღვაწლის ყოველგვარი მომენტებით. მარკოზი მიმართავს მარჯვე ხერხს—თავის პროვოკატორულ მოქმედებას 1918—19 წლებში აფუჩეჩებს ათარბეგოვის, სევა კუხალეიშვილის და სხვათა სახელებით, რომლებიც მას ვითომ სავსებით ენდობოდნენ.

მაგრამ იგი ვერ მალავს თავის მონაწილეობას მენშევიკების დამსჯელ რაზმში, რომელთან ერთადაც იგი თავს დაეცა წებელდას. საქართველოს კომპარტიის წევრობის დროს იგი იარაღს ართმევდა რევოლიუციონურად განწყობილ გლეხობას, ხოლო ვინც ურჩობას უწევდა და იარაღს არ ანებებდა, მას, მარკოზის ბრძანებით, სცემდნენ, 1918 წ. ბოლშევიკების სოხუმში შესვლის წინ, თოფჩიანმა პროვოკაცია გაუწია მათ და ამას შედეგად მოჰყვა წითლების რაზმის დამარცხება. მარკოზი გულახდილად ამბობს, რომ რევოლიუციამდე მას 37.000 მანეთის კაპიტალი ჰქონდა.

მის კომპანიონს ფართლის საქმეში კარაპეტს შესწორება შეაქვს: მარკოზს 100.000 მანეთის კაპიტალი ჰქონდაო.

— სად არის თქვენი კაპიტალი?—ეკითხება თავმჯდომარე.

— მთლად მეგობრებსა და ამხანაგებს დავურიგე,—უპასუხებს მარკოზი.

ბევრი რამის შესახებ მარკოზი უარს აცხადებს და არაფერს ამბობს, ემყარება რაღაც განსაკუთრებულ დავალებებს და მოითხოვს სასამართლოს კარის დახურვას.

მარკოზი ყველა ბრალდებას უარჰყოფს. წებელდის კულაკების კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა სოხუმიდან მოსული მარკოზი, ის ხსნის თავისი მამის სიკვდილით. მაშინ კრება კი არ იყო, სამძიმრის გამოცხადება,—ამბობს მარკოზი; ჩვენ ასეთი ჩვეულება გვაქვს: მიცვალებულის სახლში ხალხი იკრიბება, ჭირისუფლებს სამძიმარს უცხადებენ და ქელეხს მართავენ. ამ ქელეხის დროს, როგორც მარკოზი ამბობს, თამბაქოს დამზადების საქმესთან დაკავშირებულ საკითხებზე მსჯელობდნენო.

ამ „ქელეხს" არც მესროფი უარჰყოფს. ის ამბობს—ეს არც ქელეხი იყო, არც თათბირი, არც კრება—არამედ უბრალო შეკრებაო.

მარკოზი უარჰყოფს თავის გაძევებასაც აფხაზეთიდან 1925 წელს.

— მე არავის გაუძევებივარ, მე წაველ როსტოვს პარტიაში სამუშაოდო.

თითქმის ყოველ კითხვაზე იგი „არას" ამბობს. მარკოზი უარჰყოფს აგრეთვე თავის განზრახვას—დაეჭრათ კარაპეტა, რომ ის თბილისში წასულიყო აფხაზეთის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ლაკობას სანახავად, მოეტყუებინა იგი და დაერწმუნებინა, რომ ფაფაზიანის მოკვლის განზრახვა თოფჩიანებს კი არა, კასიანებს და მანასიანებს ჰქონდათ.



ბრალდებულთა ჯგუფი

მარცხნიდან მარჯვნივ:

მარკოზ თოფჩიანი, არშუმ თოფჩიანი, ხედრაკ კარახანიანი და პოლოს თოფჩიანი

—:—

მარკოზის ვარაუდით, თოფჩიანების ხროვაში მხოლოდ ხუთი კულაკია. არც ერთი მათგანისათვის გადასახადი არ შეუწერიათ. მარკოზის წყალობით თოფჩიანები დაბეგვრისაგან თავს იძვრენდნენ წინათაც და ახლაც. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ მარკოზი იძულებულია ეს აღიაროს.

ფაფაზიანის შესახებ მარკოზი განსაკუთრებული პატივისცემით ლაპარაკობს და მარჯვე ხრიკებით ცდილობს ლაქა მოსცხოს მის მიერ მოკლულ სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს თანამშრომელ კანდახჩიანს. მარკოზს ეტყობა, სძულს სახელმწ. პოლიტ. სამმართველოს თანამშრომლები აფხაზეთის სახ. პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის ნაჭყებიას გარდა.

მარკოზი უარჰყოფს ფაფაზიანთან გასწორების სურვილს, უარჰყოფს მონაწილეობას აფხაზეთის სახ. პოლიტ. სამმართველოს თანამშრომლის კანდახჩიანის მოკვლაში.

ის ჯერ ცდილობს დაამტკიცოს, რომ კანდახჩიანი ცოცხალია, მაგრამ ეს ვერსია მაშინვე გაბათილებულ იქნა. როდესაც ლაპარაკი ჩამოვარდა მარკოზის მიერ თავმოკვეთილ მოჯამაგირე ქალზე, რომელიც ერთ ხევში იპოვეს და რომელსაც მან ათიშანი შეჰყარა, მარკოზმა ასეთი ლათაიები დაიწყო: „ის ქალი ცოცხალია, სადღაც დრანდაში სცხოვრობს. მას ნადღედა ჰქვიან, უკვე გათხოვდაო" (ადს).

ხანძარი ბათომში

ბათომი, 25 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს, ბათომიდან 30 კილომეტრის დაშორებით, ცეცხლი გაუჩნდა ბაქო - ბათომის ნავთსადენის გამსკდარი მილიდან გადმოსულ ნავთს. ბათომის ნავთსადგურის ბაქანიდან სჩანს ავარდნილი ბოლი.

შემთხვევის ადგილას გაემგზავრნენ ნავთსინდიკატის, აზნავთმშენის, ნავთსადგურის და ქალაქის ორივე სახანძრო რაზმები. ხანძრის მიზეზებს არკვევენ. (ადს).

ბათომი, 25 ოქტომბერი. 24 ოქტომბერს, ქობულეთ - ნატანების უბანზე ნავთსადენის მილი გასკდა. ნავთი მოედო კილომეტრ ნახევრის მანძილს. სულ დაიღვარა 250 ტონაზე მეტი ნავთი. ხანძრის მიზეზი — ცეცხლის წაკიდებაა. ცეცხლის წამკიდებელნი დაპატიმრეს. ხანძრის ჩაქრობა მოხერხდა საღამოთი, 24 ოქტომბერს. ნავთსადენი უმნიშვნელოდ დაზიანდა. ახალი ხანძრის თავიდან ასაცილებლად მატარებლები გასაფრთხილებელ ზომებს იღებენ. 25 ოქტომბერს დილით ხანძარი კვლავ გაჩნდა და ცეცხლი ნავთიან ადგილებს მოედო. მიღებულია ზომები ცეცხლის ჩასაქრობად. გაიგზავნა სამხედრო ნაწილი იმ მიზნით, რომ ცეცხლმოდებულ ადგილს ალყა შემოარტყას. (ადს).

ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის მდგომარეობა და ამოცანები*)

კაპიტალური აღმშენებლობის და რეკონსტრუქციის ხუთწლიანი გეგმა

ჭიათურის შავი ქვის წარმოების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მრეწველობის დღევანდელი მდგომარეობის ძირიანფესვიანად შეცვლა, მისი გარდაქმნა სრულიად ახალ საფუძველზე. ხუთი წლის განმავლობაში უნდა მოხდეს მრეწველობის ყველა დარგის ტექნიკური რეკონსტრუქცია. გარდა არსებული საწარმოების რეკონსტრუქციისა, უნდა მოეწყოს მთელი რიგი ახალი საწარმოები. სულ კაპიტალურ აღმშენებლობაზე შავი ქვის მრეწველობაში უნდა დაიხარჯოს 34,190 ათასი მანეთი, ის რაც უნდა გაკეთდეს ჭიათურაში ამ ახლო წლებში, არ გაკეთებულა შავი ქვის მრეწველობის არსებობის 50 წლის განმავლობაში. ეს შესაძლებელია იმ მოსკოვის დახმარებით, რომელსაც, მენშევიკურ „ბრძოლა"-ს აზრით, სურს ჭიათურის გაძარცვა.

კაპიტალური ხარჯები ცალკე დარგების მიხედვით ასე ნაწილდება: ფერო-მარგანეცის ქარხნის აღმშენებლობა—11,125 ათასი მანეთი, სარეცხი ქარხნების აგება და რეკონსტრუქცია—5.221 ათასი მან., მაღაროების და მაღაროს შიგნით კაპ. რემონტი—410 ათასი მან., მაღაროების კაპიტალური სამუშაოები—480 ათასი მან., მაღაროების ინვენტარის შეძენა—711 ათასი მან., ამოღების მექანიზაცია და მაღაროების მოწყობილობის შეძენა—1.661 ათასი მან., ტრანსპორტის მექანიზაცია ჭიათურაში—1.772 ათასი მან., გადამტვირთავის აშენება ფოთში—1.200 ათასი მან., ელექტრო-აღმშენებლობა და მაღაროების და ქარხნების ელექტროფიკაცია—850 ათასი მან., საბინაო აღმშენებლობა—4.120 ათასი მან., წყალსადენები—850 ათასი მან., რიონჰესის აღმშენებლობაში მონაწილეობის მიღება—4.500 ათასი მან., გეოლოგიური და სამეცნიერო კვლევითი მუშაობა—680 ათასი მან., ქარხნების კაპიტალური შეკეთება და მექანიკური სახელოსნო—407 ათასი მან., შრომის დაცვის ზომები—280 ათასი მან., კულტდაწესებულებათა აღმშენებლობა—200 ათასი მან., გზების, შენობების შეკეთება და ტელეფონის ქსელის მოწყობა—273 ათასი მანეთი.

ყველაზე მეტი ხარჯები მოდის ხუთწლედის პირველ წლებზე, ვინაიდან მთავარი სამუშაოები, როგორიცაა: ფერო-მარგანეცის და ცენტრალური სარეცხი ქარხნის აგება, ტრანსპორტის მექანიზაცია, ელექტროფიკაცია, ამოღების მექანიზაცია, საბინაო აღმშენებლობა და ქარხნების და მაღაროების სამუშაოების შეკეთება უნდა ჩატარებულ იქნას პირველ წლებში.

1928—29 წელში დაიხარჯება—2.569 ათასი მანეთი, 1929—30 წ.—9.887 ათასი მან., 1930—31 წ.—9.541 ათასი მან.; 1931—32 წ.—7.258 ათასი მანეთი; 1932—33 წ. 4.938 ათასი მანეთი.

მიუხედავად იმისა, რომ კაპიტალურ აღმშენებლობისათვის ასე დიდი თანხის დახარჯვაა გათვალისწინებული, ჩვენ ხუთწლიანი აღმშენებლობის გეგმა მაინც უნდა გადავსინჯოთ. ჩვენ მასში უნდა შევიტანოთ ის ახალი ობიექტები, რომლის გათვალისწინებაც თავიდან ვერ შევძელით, მაგრამ, რომელიც აუცილებლობა გამოწვეულია მსოფლიო და შინაურ ბაზრის მოთხოვნილებით. ჩვენ უნდა დამატებით შევისწავლოთ მთელი რიგი საკითხები. მაგალითად, დღეს მსოფლიო ბაზარი მოითხოვს ნატეხ ქვას, ბაზრის ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება, თუ ჩვენ არ მოვაწყვეთ სააგლომერაციო ქარხანა ძნელია და თითქმის შეუძლებელია, ბაზარი მოითხოვს უმაღლესი ხარისხის პეროქსიდს. დაფქვილი პეროქსიდი ბაზარზე ბევრად მეტად ფასობს, ვიდრე ჩვეულებრივი, თუნდაც უმაღლეს ხარისხისა. ამიტომ უნდა მოვაწყოთ პეროქსიდის საფქვავი და გადასამუშავებელი ქარხანა. საჭიროა ამასთანავე გავითვალისწინოთ გეგმაში მარგანეცის სალებავების, მარგანეცის მჟავე მარილების და მთელი რიგი სხვა ქიმიურ პროდუქტების დამმუშავებელი წარმოებათა მოწყობა.

ამოღების მექანიზაცია და სამთო სამუშაოები

მთავარი ყურადღება სამთო სამუშაოებში უნდა მიექცეს ქვის მარაგის რაოდენობას, მის რაიონებათ დანაწილებას და ხარისხის გამოკვლევას. შემდეგ უნდა შედგენილ იქნას დამუშავება-ამოღების და საერთოდ სამთო სამუშაოთა გენერალური გეგმა. ეს მუშაობა დღეს უკვე სწარმოებს გამოჩენილი სპეციალისტების მონაწილეობით. საცდელმა სამუშაოებმა, რომელიც უკანასკნელ წელში სწარმოებდა, დაამტკიცა, რომ ჭიათურაში შეიძლება ჩატარდეს ქვის ამოღება-დამუშავების მექანიზაცია. მექანიზაციის წესით დამუშავებულ მადნის რაოდენობა, რომელიც 1928—29 წელში ერთ ნახევარ პროცენტს შეადგენდა, 1932—33 წელს უნდა ავყვანილ იქნას 60 პროცენტამდე. ცხადია, ჩვენ ყოველივე ზომებს უნდა მივმართოთ იმისთვის, რომ მექანიზაციის საშუალებით ამოღებული და დამუშავებული მადნის რაოდენობა კიდევ უფრო გავადიდოთ, ვიდრე ეს გეგმით არის გათვალისწინებული.

გარდა დამუშავება-ამოღების მექანიზაციისა, განზრახულია მაღაროებში დატვირთვის საქმის მექანიზაციაც. ეს აუცილებელია მექანიზაციაქმნილ მაღაროების ნორმალური მუშაობისათვის. ამას თან მოჰყვება მაღაროს შიგნითა ტრანსპორტის მექანიზაცია, შემდეგ ტარდება მაღაროს პირიდან ქარხნებამდის—მიწათან ტრანსპორტის მექანიზაცია. ურემს ადგილი მაღაროდან ქარხნამდის, და ქარხნებიდან რკინის გზის პლატფორმამდე ქვის გადატანის საქმეში უნდა დაიკავოს მექანიკურმა ტრანსპორტმა. ჩვენ თავი უნდა დავაღწიოთ ურმის ტყვეობას, ვინაიდან, გარდა იმისა, რომ ურმების ნაკლებობას განვიცდით, ამ წესით ქვის გადატანა ძალიან ძვირიც ჯდება. გასულ წელში ტონა ქვის ურმით გადაზიდვა 1 მან. 50 კაპ ჯდებოდა იმ დროს, როდესაც საბაგირო გზით ჯდება არა უმეტეს 30 კაპეიკისა, სწორედ ამიტომ ჩვენ უკვე მოვაწყვეთ ბევრი ქარხნებიდან და ეხლაც ვაწყობთ საბაგირო (დაკიდებულ) გზებს. ამასთანავე უნდა მოხდეს ქვის ვაგონებზე დატვირთვის სრული მექანიზაცია.

სარეცხი ქარხნები

რაც შეეხება ქვის გარეცხის საქმეს, ამ დარგშიაც სრული გადატრიალებაა საჭირო. პირველ ყოვლისა უნდა მოხდეს წარმოების თანდათანობითი, მაგრამ სრული კონცენტრაცია. ნაცვლად 34 ქარხნისა, მთელი მუშაობის თავი უნდა მოუყაროთ 3—4 ქარხანაში. დანგრეული ქარხნების მაგივრად უნდა ავაგოთ ახალი და გამოვიყენოთ ის ძველი ქარხნები, რომელთა რეკონსტრუქცია ხელსაყრელია. რაც მთავარია, ქვის გარეცხის საქმეში ჩვენ უნდა ვეცადოთ ბოლო მოუღოთ სახალხო სიმდიდრის წყლის ტალღებისთვის გატანებას. არსებულ ქარხნებში გარეცხის დროს წყალს მიყვება და იკარგება გასარეცხი ქვის 40—50 პროც. ჩვენ უკვე ვაწარმოებთ ცდებს საკავშირო და უცხოეთის სპეციალური დაწესებულებასა და ფირმების საშუალებით ქვის გარეცხის ისეთ წესის გამოსანახავად, რომელიც საგრძნობლად შეამცირებს მარგანეცის დაკარგვას რეცხვის დროს, ამისდამიხედვით უნდა აშენდეს ახალი ქარხნები და მოხდეს ძველების რეკონსტრუქცია. ახალ ქარხნებში რეცხვის დროს დაკარგვა არ უნდა აღემატებოდეს 20 პროცენტს. გარდა ამისა ჩვენ უნდა გამოვძებნოთ ნალექის დაჭერის და გამოყენების საშუალება. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას ახალი ქარხნების გეგმის შედგენის დროს.

წელს ჩვენ აუცილებლივ უნდა დავასრულოთ ქარხანა № 25-ის რეკონსტრუქცია და ცენტრალური ქარხნის აგება. პარალელურად უნდა ვაწარმოოთ მუშაობა იმის გამოსარკვევად, თუ არსებულ ქარხნებიდან, რომლის გამოყენება შეიძლება და რამდენად ხელსაყრელია მისი რეკონსტრუქცია.

ფერო-მარგანეცის ქარხანა

ყველაზე დიდი მნიშვნელობა ჩვენი მეურნეობისათვის აქვს ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებას. ფერო-მარგანეცის ქარხანა აახლოვებს ამიერ-კავკასიაში მეტალურგიულ ქარხნის აგებას. ფერო-მარგანეცის ქარხანას თან მოსდევს მთელი რიგი სხვა წარმოებათა მოწყობა-გაფართოებაც.

ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების საკითხის შესწავლას სახკომსაბჭოს სპეციალური კომისია ჯერ კიდევ 1924 წელში შეუდგა. დღეს კი ქარხნის აგების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. უნდა აგებულ იქნას ქარხანა, რომელიც ჯერჯერობით წლიურად მოგვცემს 40—50 ათას ტონა ფერო-მარგანეცს. ქარხანა უნდა დასრულდეს და ამუშავდეს 1931—32 წელს. შემდეგ კი ქარხანა უნდა გაფართოებულ იქნას ისე, რომ ხუთი წლის ბოლოს მისი პროდუქცია 150 ათას ტონამდე ავიდეს.

ფერო-მარგანეცის მოთხოვნილება მსოფლიოში წლიურად აღწევს ერთ მილიონ ტონამდე. მისი მთავარი მწარმოებლები არიან ინგლისი და ნორვეგია. აღსანიშნავია, რომ არც ერთ მათგანს არ გააჩნია საკუთარი ქვა. მათ მარგანეცი შემოაქვთ სხვა ქვეყნებიდან, ამუშავებენ და შემდეგ ფერო-მარგანეცი გააქვთ ყველა ქვეყნებში.

ფერო-მარგანეცის წარმოება მეტად რენტაბელური და მომგებიანი არის. იმ დროს, როდესაც შავი ქვის ფასები უკანასკნელ წლებში დიდათ დაეცა, ფერო-მარგანეცის ფასი თითქმის უცვლელი რჩება. ჩვენში ფერო-მარგანეცის წარმოების განვითარება შეიძლება გაცილებით უფრო ხელსაყრელ პირობებში, ვინაიდან ყოველივე ის, რაც საჭიროა ფერო-მარგანეცის წარმოებისათვის, მოგვეპოვება. ჩვენ გვაქვს მარგანეცი, ელექტროენერგია, კოქსი, რკინის მადანი, ცეცხლგამძლე თიხა, კირი და სხვ.

თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებას, გარდა იმისა რომ ამით ჩვენ გავადიდებთ ექსპორტს, ამას გვიჩვენებს შემდეგი: 50 ათასი ტონა ფერო-მარგანეცის დამზადებისთვის საჭიროა—შავი ქვა—105 ათ. ტონა, კოქსი (ნახშირი)—35 ათასი ტონა, რკინის მადანი—6 ათასი ტონა, კირი—7 ათასი ტონა, ელექტროდი—2 ათასი ტონა, ელექტროენერგია—200 მილ. კილოვატ საათი. გარდა ამისა საჭიროა წითელი აგური და სხვ. მასალები.

ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებამ გადასჭრა საკითხი ზაჰესის გაფართოებისა და რიონჰესის ერთბაშათ მთელი სიმძლავრით დამთავრების შესახებ. არ იყო განზრახული რიონჰესის მთელი სიმძლავრით დამთავრება, ზაჰესის გაფართოება კი სულ არ იყო გათვალისწინებული ხუთწლიანი გეგმით. ეხლა კი, ვინაიდან ფერო-მარგანეცის ქარხანა ორივე სადგურს აძლევს სრულ დატვირთვას, 1929—30 წლისთვის გადადებულია 15 მილიონამდე მანეთი იმისთვის, რომ ორივე სადგური ამუშავებულ იქნას მთელი სიმძლავრით 1931 წლის ოქტომბრისათვის.

გარდა ამისა ფერო-მარგანეცის ქარხნის გაფართოების მიზნით, ამ ხუთ წელში, საჭირო გახდება ახალი მძლავრი სადგურის აგება. ამიტომაც დაჩქარებით მიმდინარეობს თოფარავანის სადგურის ტექნიკური გეგმის შედგენა.

ჩვენ ვსწავლობთ საკითხს ტყიბულის ნახშირიდან საჭირო კოქსის მიღების შესახებ. ცდები კარგ შედეგს იძლევა. დღეს ჩვენს წინაშე სდგას ტყიბულის ნახშირისათვის საკოქსო ღუმელების დადგმის ამოცანა. ეს კი სწყვეტს საკითხს ტყიბულის მაღაროების მძიმე მდგომარეობიდან გამოყვანის შესახებ.

რა მდგომარეობაშია დღეს ქარხნის აგების საქმე? ადგილი უკვე არჩეულია—ზესტაფონი. ეს ადგილი შერჩეულია გერმანელ და საბჭოთა კავშირის გამოჩენილ სპეციალისტების მიერ, როგორც უფრო მოხერხებული და წარმოებისათვის ხელსაყრელი, ქარხნის გეგმა გადაცემული აქვს „სიმენსი"-ს ფირმას (გერმანია). ეხლა ჩვენ დაჩქარებით უნდა შევქმნათ სპეციალური სამმართველო, რომელიც შეუდგება წინასწარ სამუშაოთა მზადებას იმისათვის, რომ გაზაფხულ-ზაფხულის სეზონში უკვე დაწყებულ იქნას ქარხნის აგება.

დღეს ჭიათურაში მხოლოდ მაღაროა განათებული ელექტრონით. ქარხნები კი მოტორებით მუშაობენ. გეგმით გათვალისწინებულია წარმოების სრული ელექტროფიკაცია. ამ მიზნით ტრესტის ხელში გადავიდა ჭიათურის ქალაქის სადგური. შენდება ახალი სადგური 1200 ცხენის ძალით. განზრახულია გადამცემი ხაზის მოწყობა და ჭიათურის სამრეწველო რაიონის—რიონჰეს-ზაჰესის გადამცემ ხაზთან შეერთება. გამოკვლევითი მუშაობა ამ მხრივ უკვე სწარმოებს და მუშავდება გადამცემ ხაზის პროექტი, შედგენილია აგრეთვე ქარხანა, მაღაროების ელექტროფიკაციის გეგმა.

რკინის გზა

შავი ქვის მრეწველობის განვითარების ნორმალური მსვლელობისათვის საჭიროა რკინის გზის ტრანსპორტი დაუბრკოლებლად ემსახურებოდეს მას. დღეს რკინის გზა სრულებით ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. თეთრი ტვირთი: საჭირო მასალები, სურსათ-სანოვაგე და სხვა საქონელი, თვეების განმავლობაში ყრია შორაპანის სადგურზე ასეულ ვაგონობით და უცდის რიგს. ეს გარემოება ხშირად აბრკოლებს წარმოებას. სამგზავრო მიმოსვლა ჭიათურის შტოზე მთლად არ შეწყვეტილა, მაგრამ საშინლად გაუარესდა. ვაგონების და ორთქლმავლების დღევანდელი რაოდენობა ვერ აუდის ტვირთის გადატანას. ასეთია მდგომარეობა დღეს, როდესაც გასულ წელს პატარა გეგმა გვქონდა და დიდი კაპიტალური სამუშაოები არ იყო დაწყებული. მით უფრო უნდა ვიფიქროთ, რომ რკინის გზა გადაიქცევა ჭიათურის განვითარების მუხრუჭად თუ რკინის გზათა სამმართველომ დროზე არ მიიღო საჭირო ზომები. საჭიროა დაჩქარებით შესწავლილ და გადაწყვეტილ იქნას საკითხი ჭიათურის შტოზე ფართო ლიანდაგის მოწყობის ან და გზის ახალი ვარიანტით გაყვანის შესახებ. მანამდე კი უნდა გადიდდეს ორთქლმავლების და ვაგონების რიცხვი და გაუმჯობესებულ საქონლის, მასალის და სურსათ-სანოვაგის გადაზიდვა და სამგზავრო მიმოსვლა. ტრესტმა და რკინის გზამ უნდა შეისწავლონ შორაპანში ქვის გადატვირთვის მექანიზაციის საკითხი.

განზრახულია ფოთში გადამტვირთავის მოწყობა, რომლის საშუალებით მარგანეცი პირდაპირ ვაგონებიდან უნდა ჩაიტვირთოს გემებში. გადამტვირთავის ესკიზო პროექტი უკვე დამტკიცებულია, ეხლა სწარმოებს საბოლოო გეგმის შედგენა. გადამტვირთავი დასრულდება ორ წელში.

პროდუქციის ზრდა

საერთოდ მადნის ამოღება ხუთ წელში 650 პროცენტით გაიზარდება. ნაცვლად 347 ათასი ტონისა 1927—28 წელში, 1932—33 წელს ამოღებული იქნება 2.290 ათასი ტონა. სულ ხუთ წელში ამოღებულ იქნება 8.262 ათასი ტონა. აქედან 85 პროც. წავა გასარეცხ ქარხნებში:

საექსპორტოთ დამზადებული იქნება: ჩვეულებრივი მარგანეცი—1.250 ათასი ტონა, გარეცხილი—4.700 ათასი ტონა და ფერო-მარგანეცი—90.000 ტონა.

პროდუქციის ასეთი რაოდენობისათვის ბაზრის მოსაპოვებლად ცხადია, ჩვენ დაგვჭირდება ფასების და თვითღირებულების საგრძნობლად შემცირება. მარტო გასულ და მიმდინარე წელში თვითღირებულება ეცემა 30 პროცენტზე მეტს, საბაზრო ფასები—31 პროცენტს.

შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 160 პროც., ხელფასი—44 პროცენტით. მიმდინარე წელში განზრახულია ხელფასის 11 პროცენტით გადიდება.

წარმოების მმართველობა და შრომის ორგანიზაცია

დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოებისათვის ცალკე რაიონების და საწარმოო ერთეულთა სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანას, რომელიც ტარდება პირველ ოქტომბრიდან. მთელი რიგი დეფექტები, წარმოებაში აღმოიფხვრება, ვინაიდან ცალკე რაიონებს სათავეში ჩაუდგება უფლებამოსილი ადმინისტრაცია, რომელიც ახლოს იქნება წარმოებასთან, ვიდრე ტრესტი. გარდა რაიონებისა, სამეურნეო ანგარიშზე გადავა ცალკე საწარმოო ერთეულები: ქარხნები, მაღაროები და სხვ. რაიონების სათავეში სდგანან დაწინაურებული მუშები. საჭიროა ამ მუშებისათვის მეტი ყურადღების მიქცევა და დახმარების გაწევა, რომ მათ შესძლონ მძიმე საქმის ადვილად დაძლევა.

წარმოების წინაშე მიმდინარე წელს დაისვა საკითხი საწარმოო გეგმის გადასინჯვისა და გადიდების შესახებ. ნაცვლად ერთი მილიონი ტონა შავი ქვისა, ჩვენ უნდა დავამზადოთ 1 მ. 250 ათასი ტონა. აქედან ერთი მილიონი 100 ათასი უნდა იყოს გარეცხილი ქვა.

შეგვიძლია თუ არა შევასრულოთ ასეთი გეგმა? შეგვიძლია. მხოლოდ ამისათვის საჭიროა ჩატარებულ იქნას წარმოების კონცენტრაცია. 21 ქარხანა-მაღაროს ნაცვლად ჩვენ უნდა დაგვრჩეს მხოლოდ 16 ქარხანა და მაღარო.

პირველ ნოემბრიდან წარმოება უნდა გადაყვანილ იქნას განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე და ყველგან შემოღებულ იქნას 3 და 2 ცვლიანი მუშაობა. ამ გზით ჩვენ შევსძლებთ გადიდებული გეგმის შესრულებას. განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლა უნდა ჩავატაროთ ისე, როგორც ეს საერთოდ სამთო წარმოებებში ხდება: ჩვენ გადავალთ 6 დღიან სამუშაო კვირაზე.

წარმოებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის რაციონალურ ორგანიზაციას. ამ მხრივ მუშაობა ჭიათურაში მოიკოჭლებს. 7 საათიანი სამუშაო დღე ფაქტიურად არ სრულდება. ნორმალური მუშაობა არ აღემატება 4—4 ნახ. საათს. საჭიროა აგრეთვე წარმოება განიტვირთოს ზედმეტი მუშა ხელისაგან, მაღაროებში და ქარხნებში უნდა დარჩეს მუშების მხოლოდ გეგმით გათვალისწინებული რაოდენობა.

შემდეგ, საჭიროა ყველა საწარმოების მთლიანად ნარდ მუშაობაზე გადაყვანა. ამ ღონისძიებამ უნდა მოგვცეს დიდი ეფექტი დისციპლინის განმტკიცებისა და შრომის ნაყოფიერების აწევის მხრივ. გასულ წელში ნარდმა მუშაობაზე გადასვლამ არ მოგვცა საჭირო შედეგი. ამის მიზეზი იყო ტრესტის და კავშირის შეუთანხმებელი მუშაობა. შემდგომში ნარდ მუშაობის შემოღებას და ნორმების დაწესებას გაცილებით უფრო სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

გასულ წელს ხშირი იყო წარმოების გაცდენა იმის გამო, რომ ფერხდებოდა საწყობებისა და მასალის მიწოდება. მიუხედავად იმისა, რომ ძნელია საერთოდ მასალის შოვნა, ყოველივე ზომები უნდა იქნას მიღებული მასალების დროზე მოსამარაგებლად. გარდა ამისა უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ დიდი სიძნელით მიტანილი მასალა ხშირად რაციონალურად და მიზანშეწონილად არ ნაწილდება. ზოგჯერ სულ უბრალო საქმეზე ხმარობენ საუკეთესო ღირსების მასალას, არც უვლიან ხელსაწყოებს, სათბობი მასალა იხარჯება არა ეკონომიურად და სხ.

ტექნიკური პერსონალი და მუშების კვალიფიკაციის აწევა

ტრესტის აპარატში და წარმოებაში ჩვენ არა გვყავს საკმაო ტექნიკური პერსონალი. საჭიროა საჩქარო ზომები წარმოების საკმაო კვალიფიციურ უმაღლეს და საშუალო ტექნიკური პერსონალით უზრუნველსაყოფად. ჭიათურაში ცხოვრების პირობები ძალიან ცუდია და თუ არ უზრუნველვყავით სპეციალისტები ხელფასით, ბინით და სხვა ნორმალური პირობებით, ისე ჩვენ ვერ ვიშოვით საჭირო ძალებს. თბილისში ინჟინერს საშუალება აქვს იმსახუროს რამოდენიმე ადგილას შეთავსებით ან და აასრულოს სამსახურის გარეშე სამუშაოები. ჭიათურაში კი ცხოვრების გაცილებით უარეს პირობებში მან მხოლოდ თავის ხელფასს უნდა უცქიროს.

ტრესტის მუშაობის პირველ წელში შესაფერი ყურადღება არ ქონდა მიქცეული მუშების კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალი კვალიფიციური კადრების მომზადებას. არ იყო მოწყობილი სათანადო გადასამზადებელი კურსები, სამთო-საქარხნო სკოლასაც საშინელ პირობებში უხდებოდა მუშაობა. მიმდინარე წლისათვის სკოლა ტრესტს ხელში გადმოეცა და ამ უკანასკნელმა იგი ბინით, სწავლის და მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ, ნორმალურ პირობებში უნდა ჩააყენოს. წელსვე უნდა მოეწყოს მთელი რიგი გადასამზადებელი კურსები [illegible] მემანქანეებისათვის და სხ.

მუშების დაწინაურება ადმინისტრატიულ სამეურნეო თანამდებობაზე შესაძლებელია მხოლოდ წარმოების სახელმწიფოს ხელში გადმოსვლის შემდეგ. ჭიათურის მუშებს ამ მხრივ არა აქვს ტრადიცია, ამიტომ საჭიროა რაც შეიძლება მეტი მუშა იქნეს წაყვანილი ადმინისტრატიულ სამეურნეო თანამდებობაზე. მეტადრე საჭიროა ახლო ხანში გადაისინჯოს დაბალი ადმინისტრაციის შემადგენლობა, მოიხსნას უცხო ელემენტები და მათ ადგილას წამოყენებულ იქნენ მუშები, რომელთათვისაც უნდა მოვაწყოთ სპეციალური გადასამზადებელი კურსები.

ახლო ხანში შავი ქვის მრეწველობაზე უნდა მოვიწვიოთ რამოდენიმე უცხოელი სპეციალისტი. რამოდენიმე ინჟინერი ჩვენ წელსაც გვყავდა მოწვეული ცალკე საკითხების შესასწავლად. ამასთანავე, კვალიფიკაციის აწევის მიზნით, ჩვენ უნდა გავაგზავნოთ რუსეთში და საზღვარგარეთ ინჟენერ-ტექნიკოსები და კვალიფიციური მუშები. ამ საქმისათვის საჭირო თანხები ტრესტის მიერ უკვე გათვალისწინებულია.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კაპიტალურ სამუშაოთა დროზე მომზადებას, მათ დაწყებას და დამთავრებას, სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს უწესრიგობას, უყაირათობას, საჭიროა პროექტების დროზე დამუშავება. ამ მიზნით უნდა გაძლიერდეს საპროექტო ბიუროს მუშაობა, რისთვისაც აუცილებელია მთელი რიგ სპეციალისტების მოწვევა. ამასთანავე უნდა გაუმჯობესდეს კაპიტალურ სამუშაოთა ტექნიკური ზედამხედველობა. ცალკე დიდი სამუშაოები, რომლებიც გადაცემული აქვს სპეციალურ ორგანიზაციებს, სრულდება დაგვიანებით, ეს ნაკლი უნდა გამოსწორდეს.

ყოფა-ცხოვრების საკითხები

მეტად მწვავედ სდგას ჭიათურაში ბინის საკითხი. ტრესტს ძალიერ ცოტა ბინები აქვს და რაც აქვს, იგიც ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნილებას (კანალიზაციის უქონლობა, უსუფთაობა და სხვა). წარმოების მუშების თითქმის მთელი რაოდენობა ცხოვრობს სოფლებში, მაღარო - ქარხნებიდან 24 კილომეტრის დაშორებით. მუშები სამუშაოს მიდიან დაღლილ - დაქანცულები, რის გამოც ძნელია შრომის ნორმალური ნაყოფიერების მიღწევა.

მუშათა შემადგენლობის ცვალებადობა დიდია, რაც აფერხებს წარმოებას. უბინაობის გამო ძნელი ხდება მუდმივი კადრის შექმნა, ამიტომ ყოფა - ცხოვრების საკითხებიდან ბინების აღმშენებლობაა მთავარი საკითხი ჭიათურისათვის. გეგმით ხუთი წლის ბოლოს ტრესტის ბინებით ისარგებლებს მუშების 62 პროცენტი, მთელი ბინების 25 პროც. უნდა აშენდეს ცალკე ოჯახიან მუშებისათვის.

გასულ წელს საბინაო აღმშენებლობისათვის გადადებული იყო 500 ათასი მანეთი, წელს გადადებულია ერთი მილიონი. გარდა ამისა წელს ჩვენ ყოფა - ცხოვრების ფონდში გვექნება 200 ათასი მანეთი. ასე, რომ საბინაო მშენებლობის თანხებით უზრუნველყოფილი ვართ.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ გასულ წელში საბინაო აღმშენებლობა გვიან დაიწყო, ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს და სახლებიც ძვირი ჯდება. სიძვირე გამოწვეულია იმით, რომ სახლები შენდება მთა-გორაზე, სადაც ურმებით და ხშირად ვირებით ააქვთ წყალი და მასალა. საჭიროა ბინების მშენებლობის ტემპის გაძლიერება, ბინების პროექტების გადასინჯვა და სახლების უფრო რაციონალური და იაფი ტიპის გამონახვა. აგრეთვე აუცილებელია შენობების დასადგმელი ადგილების უფრო მიზანშეწონილად შერჩევა. საჭიროა გამოინახოს დამატებითი თანხები საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად. ამასთანავე მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ეხლანდელი საბინაო ფონდის მოვლა - შენახვას და სახლებში სისუფთავის დაცვას.

მთელ რიგ ქარხნებში და მაღაროებში მეტად ცუდი შრომის პირობებია, აქვს ადგილი უბედურ შემთხვევებსაც. ამიტომ საჭიროა შრომის დაცვისათვის გადადებული თანხები დროზე იქნას გამოყენებული დანიშნულებისამებრ.

ჭიათურაში ძალიან ცუდათ არის დაყენებული კოოპერაციის მუშაობა. რაიონებში თითქმის არ არის სასადილოები, მუშები მოკლებული არიან ცხელ კერძს. იქ, სადაც არის სასადილო, ეს უკანასკნელი უფრო ცუდ სამიკიტნოს გავს, ვიდრე სასადილოს. ცუდათ არის დაყენებული პურის მიწოდების საკითხი, რაიონებში არ არის ფურნეები, მუშებს პურის საყიდლად რამოდენიმე კილომეტრის მანძილზე უხდებათ სიარული.

მოუწესრიგებელია სხვა სურსათ - სანოვაგის და საქონლის მიწოდებაც. შესაფერი ორგანოები ამ საკითხს არ ეპყრობიან სათანადო ყურადღებით, ჭიათურა კი ასეთი უყურადღებობის ღირსი არ არის.

საჭიროა უპირველეს ყოვლისა წარმოებასთან მოეწყოს სასადილოები და რაიონებში ფურნეები. პურის და ცხელი კერძის მიწოდების საკითხი აუცილებლად დაჩქარებით უნდა გადაიჭრას. საერთოდ კი უნდა გაუმჯობესდეს ჭიათურისათვის სურსათ - სანოვაგის და სხვა საქონლის მიწოდება.

ვერ არის საჭირო სიმაღლეზე სამკურნალო საქმე. ჭიათურას აქვს საუკეთესოდ მოწყობილი საავადმყოფო, მაგრამ იგი დღეს უკვე ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ვინაიდან წარმოება გაიზარდა. რაიონული ამბულატორიები სუსტად მუშაობენ.

საავადმყოფო და საერთოდ სამკურნალო საქმე განიცდის დიდ მატერიალურ გაჭირვებას. ამავე დროს სპეციალურად ამ მიზნისათვის დანიშნული თანხები შორაპნის მაზრის აღმასკომმა სულ სხვა საჭიროებებს მოახმარა. ნაცვლად 230 ათასი მანეთისა, რომელიც უნდა მიეღო საავადმყოფოს და სხვა სამკურნალო დაწესებულებებს, გასულ წელს ამ საქმისათვის გადადებულ იქნა მხოლოდ 150—160 ათასი მანეთი. ეს ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა მომავალში ამგვარი თანხები მოხმარებულ იქნას დანიშნულებისამებრ. წელს უნდა გაფართოვდეს სამკურნალო დახმარება რაიონებში. სამკურნალო საქმე უნდა იქნეს აღმასკომის ხელში და ჯანმრთელობის კომისარიატის განსაკუთრებულ მეთვალყურეობის ქვეშ. ეხლავე უნდა გაუქმდეს დამზღვევი სალაროს განკარგულება, რომლის ძალითაც ექიმებს და ამბულატორიებს არა აქვთ ორი - სამი დღის შვებულების მიცემის უფლება, რის გამოც ავადმყოფი მუშა, ჭიათურაში ჩამოსვლას, ხშირად მუშაობას ამჯობინებს. ასეთი ეკონომია ავადმყოფებზე ყოვლად დაუშვებელია.

ძნელია რაიონებში კულტურული მუშაობის წარმოება. ამის მთავარი მიზეზია შესაფერი შენობების უქონლობა კლუბებისა და კულტ დაწესებულებებისათვის. ამიტომ ტრესტმა უნდა ააგოს სათანადო შენობები, რისთვისაც საჭირო თანხები გეგმაში გათვალისწინებულია. საერთოდ კი ყოფა - ცხოვრების საკითხების მოწესრიგებისათვის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სამეურნეო, პროფესიონალურ, პარტიულ და სხვა ორგანიზაციების მხრივ.

გ. ჟურულაშვილი.

---

*) გაგრძელება, იხ. „კომ". № 247.

შეცდომის გასწორება

ამხ. გ. ჟურულაშვილის წერილის „ჭიათურის შავი-ქვის მრეწველობის მდგომარეობა და ამოცანები", პირველ ნაწილში, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში იყო მოთავსებული, გაიპარა შეცდომა. უკანასკნელ აბზაცში დაბეჭდილია: „ჭიათურის ტრესტის წარმოებებში პირველ ოქტომბრისათვის მუშაობს მაღარო-ქარხნებში 8.100 მუშა. ამას გარდა მტვირთველთა და სახელოსნო მუშების რიცხვი უდრის 9.285-ს"; უნდა იყოს „ჭიათურის ტრესტის წარმოებებში პირველ ოქტომბრისათვის მუშაობდა სულ 9.285 მუშა, აქედან 8.100 კაცი მუშაობდა მაღარო-ქარხნებში, დანარჩენ რიცხვს კი შეადგენდნენ მტვირთავები, მშენებლები და სახელოსნოს მუშები".

ნავთის მრეწველობის პერსპექტივები საქართველოში

პროფ. გოლუბიატნიკოვის მოხსენება საქ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში

ამ ერთი კვირის წინად საქართველოს ნავთიანი ადგილების შესასწავლად და საქართველოს ნავთის მრეწველობის პერსპექტივებთან გასაცნობად ჩამოვიდა სპეციალური კომისია, ცნობილი სპეციალისტის პროფ. გ. გოლუბიატნიკოვის ხელმძღვანელობით. კომისიამ ჩამოიარა და დაათვალიერა შირაქის, გურიის ნავთიანი ადგილები.

კომისიის დაბრუნების შემდეგ ს. მ. უ. ს. სამთო განყოფილებაში გაიმართა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ ს. მ. უ. ს. სპეციალისტები და კომისიის მთელი შემადგენლობა.

საქართველოს ნავთის მრეწველობის პერსპექტივების შესახებ თათბირზე მოხსენება გააკეთა პროფ. გოლუბიატნიკოვმა. მან აღნიშნა, რომ ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის განხორციელებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანოების წინაშე დაისვა ნავთის პროდუქციის გადიდების საკითხი. ამ მიზნით საბჭოთა კავშირის უმაღლესი ორგანოების დავალებით სწარმოებს მთელი რიგი გამოკვლევები ნავთის ახალი წყაროების აღმოსაჩენად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში.

ნავთის ახალი წყაროების არსებობა დადასტურებულ იქნა მხოლოდ ნავთისჭალის რაიონში და ყარაჩუხურის რაიონში.(აზერბეიჯანშია). საბჭოთა კავშირის დანარჩენი რაიონებიდან ყურადღებას იქცევს აგრეთვე ურალი, სადაც დაწვრილებითი გამოკვლევები მხოლოდ ამჟამად მიმდინარეობს.

საქართველოს ნავთიან რაიონებს [illegible] კომისიის აზრით ყველაზე უფრო დიდი იმედი ნავთის მიღების მხრივ არის შირაქში. შირაქის ნავთიანი ადგილების უარყოფით თვისებას წარმოადგენს მხოლოდ ის გარემოება, რომ იქ ნავთის წყაროების შემცველი ფენა მდებარეობს მიწის ზედაპირთან და ამიტომ ნავთი თავისით [illegible] და იღვრება.

კომისიამ ამასთანავე დაადასტურა, რომ შირაქში რამოდენიმე ასეული მეტრის სიღრმეზე მოიპოვება ნავთის უფრო ძლიერი ფენები, რაც საშუალებას მოგვცემს ამ რაიონში ფართო ნიადაგზე დავაყენოთ ნავთის მრეწველობა. თავისი გეოლოგიური ხასიათით შირაქის ველის განსაკუთრებით ერთი რაიონი მირზაანის აგარაკი, სავსებით მიაგავს ბალახანა-საბუნჩის რაიონს (ბაქო).

გურიის ნავთიანი წყაროების შესახებ პროფესორმა გოლუბიატნიკოვმა სთქვა, რომ საბოლოო დასკვნის გამოტანა ამ რაიონში ნავთის მრეწველობის განვითარების შესახებ ამჟამად ძნელია, რადგან ჯერ კიდევ არაა დამთავრებული საჭირო გეოლოგიური გამოკვლევები.

კომისიის აზრით, მიმდინარე წლის განმავლობაში შირაქის ველზე უნდა იქნეს ამოღებული ექვსი საცდელი და ორი საექსპლოატაციო ჭაბურღილი. ნავთის ექსპლოატაცია მიმდინარე წელს დაწყებული უნდა იქნას მირზაანის აგარაკზე.

კომისია თავის დასკვნებს საქართველოში ნავთის მრეწველობის პერსპექტივების შესახებ წარადგენს საკავშირო ს. მ. უ. ს. ნავთის დირექტორატში.

ოთხშაბათს, ა. წ. ოქტომბრის 30, გლეხის ცენტრალურ სასახლეში

მოწვეულია

საბჭოების წევრ მუშა და გლეხ-ქალების სრ. საქართ. რესპუბლიკანური მე-2 ყრილობა

დღის წესრიგი:

1. მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ.
2. საბჭოთა მორიგი ამოცანები და ქალების მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში
3. ხუთწლიანი გეგმა კულტურული მშენებლობისა საქართველოში.
4. კოლმეურნეობრივი მშენებლობის მდგომარეობა საქართველოში და ხუთწლიანი გეგმა.
5. გლეხურ მეურნეობათა საწარმოო კოოპერაციაში გაერთიანების ხუთწლიანი გეგმა.

ს.ს. ცაკის საორგანიზაციო განყოფილება.

ერთმმართველობა განამტკიცებს სოციალისტურ მრეწველობას

ფართოდ გავშალოთ კამპანია ერთმმართველობის მნიშვნელობის გასაშუქებლად

მუშები იწონებენ დადგენილებას ერთმმართველობის შემოღების შესახებ წარმოებაში

> „დამყარებული უნდა იქნას წარმოების მმართველობის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებაში ჩაბმულ თვითეული პირის, — დირექტორიდან დაწყებული უბრალო მუშამდე, — დაქვემდებარებას და მინდობილი საქმისათვის პასუხისმგებლობას, შემოღებულ უნდა იქნას ისეთი წესი, რომლის დროს ადგილი არ ექნება უპასუხისმგებლობას, არევ-დარევასა და ფაქტიურ უმეთაურობას, რაც ერთი ორგანოს ფუნქციებში მეორე ორგანოს ჩარევისაგან გამომდინარეობს". (საკავშირო კომპარტიის (ბ) ცეკას დადგენილებიდან)

ერთმმართველობა გააუმჯობესებს წარმოებას

(საუბარი ამხ. ბ. მახაიძესთან)

საქართველოს პროფსაბჭო,—სთქვა ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. ბ. მახაიძემ,—განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს ერთმმართველობის შემოღებას წარმოებებში. ერთმმართველობა არის ერთ-ერთი საშუალება წარმოების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

ამ საკითხის ფართოდ გაშუქების მიზნით ჩვენ საქ. კპ. (ბ) ცეკას დადგენილება ერთმმართველობის შესახებ გამოვცეცით ცალკე წიგნად ქართულ და რუსულ ენებზე და წინადადება მივეცით პროფკავშირებს ამ დადგენილების დამუშავება დაეკავშირებიათ საკავშირო პროფსაბჭოს უკანასკნელ დირექტივებთან (სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შემოწმება, კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია და სხვ.).

ცალკე კავშირები უკვე შეუდგნენ ამ საკითხის დამუშავებას. ერთმმართველობის შემოღების საკითხის დამუშავება სწარმოებს საწარმოო თათბირების სხდომებზე. აღსანიშნავია რომ პროფკავშირებს ნათლად არ აქვთ წარმოდგენილი ამ საკითხის მნიშვნელობა. ზოგიერთი ცალკე პროფმუშაკები ფიქრობენ, რომ ერთმმართველობის შემოღება ამცირებს ადგილობრივ პროფორგანიზაციების მნიშვნელობას.

მაგალითისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ერთი ფაქტი. ერთ-ერთი კავშირის ცენტრალური გამგეობის ხელმძღვანელმა ერთ პარტიულ კრებაზე განაცხადა, რომ ერთმმართველობის შემოღებით კავშირებს აღარაფერი რჩებათ გასაკეთებელი.

რასაკვირველია, ეს შეცდომაა. პროფორგანიზაციებმა წარმოებებში რეგულიარულად უნდა მოისმინონ ადმინისტრაციის საანგარიშო მოხსენებები, უნდა შეისწავლონ წარმოება, წამოაყენონ თავისი წინადადებები, მაგრამ არ უნდა ჩაერიონ წარმოების უშუალო ხელმძღვანელობაში და მით უმეტეს არ უნდა იკისრონ ადმინისტრაციის ფუნქციები; მათ ყოველი ღონე უნდა იხმარონ ერთმმართველობის გასატარებლად, ყოველმხრივ ხელი უნდა შეუწყონ წარმოების ზრდა-განვითარებას და ამით მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

რა მიზანს ისახავს ერთმმართველობის შემოღება? ერთმმართველობის მიზანია მეტი წესრიგის და პასუხისმგებლობის შეტანა წარმოების გაძღოლის საქმეში. ჩვენში აქამდი სისწორით განსაზღვრული არ არის ფუნქციები და მოვალეობა საქარხნო ორგანიზაციებს შორის, დირექტორისა, ქარხკომისა და პარტუჯრედს შორის, ჯერ კიდევ ადგილი აქვს პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოების ჩარევას ქარხნების საოპერაციო-საწარმოო მუშაობაში.

ამიტომ საჭიროა შემოღებული იქნეს წარმოების მმართველობის ისეთი წესი, რომელიც უზრუნველყოფს წარმოებაში ჩაბმულ თვითეულ პირის პასუხისმგებლობას მასზე მინდობილ საქმისათვის და აღმოფხვრის უპასუხისმგებლობას, არევ-დარევას და უთავბოლობას წარმოებაში, რაც შედეგია ერთი ორგანოს მეორეს ფუნქციებში ჩარევისა.

ყველაფერი ეს ნათლად უნდა გაითვალისწინონ პროფორგანიზაციებმა და ამ თავითვე გაშალონ მუშაობა ამ მეტად სასარგებლო დადგენილების დაწვრილებით დასამუშავებლად და გასატარებლად.

იწონებენ პარტიის დადგენილებას ერთმმართველობის შესახებ

საღ. ნავთლუღის კომუჯრედის ღია სხდომაზე, რომელსაც 140 მუშა-მოსამსახურე დაესწრო, გულდასმით იქნა მოსმენილი ამხ. ყმარაულის მოხსენება საქ. კპ. (ბ) ცეკას დადგენილებაზე ერთპიროვნული მმართველობის შესახებ. მომხსენებელს აუარებელი შეკითხვები მისცეს იმის შესახებ, თუ რა მუშაობაა ჩატარებული მუშათა კადრების მოსამზადებლად და დასაწინაურებლად, რას უდრის დაწინაურებულ მუშათა პროცენტი, როგორი დამოკიდებულება არსებობს დაწინაურებულ მუშებისა და ადმინისტრაციის შორის, რამდენად გააუმჯობესებს და ხელს შეუწყობს წარმოების მუშაობას ერთპიროვნული მართველობის შემოღება და სხვ. ყველა შეკითხვებზე მომხსენებელმა ამომწურავი პასუხი გასცა.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა გაცხოველებული კამათი. კამათში ცხოველი მონაწილეობა მიიღეს მუშებმა.

ამხ. მგალობლიშვილი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საწარმოო თათბირების უდიდესი მნიშვნელობისა, ადმინისტრაცია მაინც არ ღებულობს საჭირო ზომებს საწარმოო თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. ამხ. მგალობლიშვილს საჭიროდ მიაჩნია საერთოდ ერთპიროვნული მმართველობის შემოღება და ადმინისტრაციისათვის სათანადო უფლებების მინიჭება წარმოების მუშაობის უფრო გაუმჯობესების მიზნით.

ამხ. კახაძემ აღნიშნა, რომ ჯერ კიდევ არ სწარმოებს დამაკმაყოფილებელი მუშაობა მუშათა კადრების მოსამზადებლად, რასაც აუცილებლად უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება. ერთპიროვნული მმართველობა წარმოებაში აუცილებელი პირობაა სოციალისტური მშენებლობის ტემპის დასაჩქარებლად.

ამხ. ჯანიზაშვილი—ადმინისტრაციასა და პროფორგანიზაციების შორის კონფლიქტების მოგვარება ხშირად ძნელდება. ამიტომ სათანადო ზომები უნდა იქნეს მიღებული პროფორგანოებსა და ადმინისტრაციის შორის კარგი დამოკიდებულების დასამყარებლად. ამასთანავე მიღებული უნდა იქნეს ზომები იმისათვის, რომ ერთპიროვნული მმართველობის დროს არ შეფერხდეს მუშათა დაწინაურების საქმე.

ამხ. კაკაურიძე—ჩვენ უნდა მივესალმოთ პარტიის დადგენილებას ერთპიროვნული მართველობის შემოღების შესახებ. ეს ღონისძიება მიმართულია წარმოება-დაწესებულებათა მუშაობის უფრო მეტად გაღრმავების და განმტკიცებისაკენ. უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ დღემდე მუშათა მასები არ არიან გარკვეული ერთპიროვნული მმართველობის შემოღების ამოცანებში, რისთვისაც ამ მიმართულებით უნდა გაძლიერდეს მუშაობა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხ. ხუნდაძემ, ლაფერაშვილმა და სხვ.

დასასრულ მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც კრება სავსებით იწონებს პარტიის დადგენილებას ერთპიროვნული მართველობის შემოღებას წარმოებაში და საჭიროდ სცნობს მის ცხოვრებაში გატარებას.

დამსწრე.

ერთმმართველობა წარმოებას გააჯანსაღებს

რკინის გზის საკავშირო დარგის მესამე უბნის უჯრედმა უპარტიო მუშებთან ერთად იმსჯელა პარტიის დადგენილებაზე ერთპიროვნული მმართველობის შესახებ.

ამხ. ვარლამოვი — ერთმმართველობის შემოღება წარმოებაში საჭიროა და აუცილებელი; მაგრამ ამასთანავე აუცილებელია ერთმმართველობის შემოღებასთან ერთად მტკიცედ დაისვას საკითხი ადმინისტრატორების შერჩევის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ერთპიროვნული მმართველობის დროს უღირს და წარმოებისათვის შეუფერებელმა ადმინისტრატორმა წარმოების საზიანოთ გამოიყენოს თავისი უფლებები.

ამხ. მილინი — ჩვენ გვაქვს მაგალითები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ წარმოებაში ადმინისტრაციის ფუნქციებში არავინ ერეოდა და ისინი ნება-სურვილისამებრ განაგებდნენ წარმოების საქმიანობას. ასეთმა მდგომარეობამ ის შედეგი გამოიღო, რომ წარმოება დანგრევის გზას დაადგა. ჩვენის აზრით აუცილებელი იქნება ერთპიროვნული მმართველობის შემოღების დროს გაძლიერდეს მასების კონტროლი ადმინისტრაციის მუშაობაზე.

ამხ. ჯავახაძე — ადმინისტრაციის ხშირი ცვლა, რასაც აქვს ადგილი ჩვენს სინამდვილეში უთუოდ აფერხებს წარმოების საქმეს. ამიტომ მიღებული უნდა იქნეს ზომები ასეთი მოვლენების აღმოსაფხვრელად.

ამხ. თნიკაშვილი — ერთპიროვნული მმართველობა ყველა წარმოებაში აუცილებლად შემოღებული უნდა იქნეს. ჩემის აზრით ეს გააუმჯობესებს წარმოების საქმეს.

კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც სავსებით იწონებს და უერთდება პარტიის დადგენილებას ერთმმართველობის შესახებ. ამასთანავე ერთად კრებამ მიიღო მთელი რიგი პრაქტიკული ხასიათის წინადადებანი, რომლითაც კრება ავალებს უჯრედს ბიუროს, რომ მან თვითკრიტიკის საშუალებით გამოიკვლიოს, თუ პრაქტიკაში რამდენად ამართლებს პარტიის დირექტივებს წარმოების ადმინისტრაცია, ქარხკომი და კომუჯრედი; მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე ხშირად უნდა ისმებოდეს განსახილველად წარმოების მუშაობის და კერძოდ ხელმძღვანელობის საკითხები. კომუჯრედის ბიურომ უახლოეს ხანში უნდა შეამუშაოს საწარმოო თათბირებისა და კომისიების მუშაობა და შემოწმების შედეგების შესახებ ანგარიში ჩააბაროს უჯრედის ღია კრებებს. საწარმოო თათბირების დადგენილებათა ცხოვრებაში გატარებლობისათვის ადმინისტრაციას უნდა მოეთხოვოს სასტიკი პასუხი. საბჭოთა აპარატის წმენდის დროს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს უვარგის ადმინისტრატორების და ტეხ-კადრებიდან წარმოების განთავისუფლებას.

მარტო რეზოლიუციის მიღებით საქმე არ გაკეთდება

ამხ. სტალინის სახელობის ქარხნის სალითონო-სამქრ. კომუჯრედის ღია კრებაზე განხილულ იქნა საქ. კპ. (ბ) ცეკას დადგენილება ერთმმართველობის შემოღების შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათიდან გამოირკვა, რომ უჯრედს ჯერ კიდევ არა აქვს ნათელი და სწორი წარმოდგენა ერთმმართველობის შესახებ. მას არა აქვს შეთვისებული ერპიროვნული მმართველობის პრინციპი. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ ზოგიერთ ამხანაგები ერპიროვნულ შემოღებას წარმოების დაბრკოლებათ სთვლიდენ. ერთმმართველობა მათის აზრით სარგებლობას მოუტანდა მხოლოდ წარმოების ადმინისტრაციას.

მომხსენებელს უჯრედის სხდომაზე ხელახლა დასჭირდა განმარტების მიცემა პარტიის დადგენილებაზე ერთმმართველობის შესახებ —მუშებისათვის. ამის შემდეგ უჯრედის განწყობილება საკითხისადმი საკმაოდ შეიცვალა. მუშებმა უკვე მოიწონეს და საჭიროთ ჩასთვალეს ერთპიროვნული მმართველობის შემოღება. დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომლითაც იგი სავსებით უერთდება პარტიის დადგენილებას ერთმმართველობის შესახებ.

საჭიროა შემდეგისთვის სისტემატიურად სწარმოებდეს საუბრების ჩატარება და ახსნა-განმარტებები ერთმმართველობის შესახებ მუშებში. არ არის საკმარისი მხოლოდ თითის აწევა და რეზოლიუციის მიღება თუ არ ვიქნებით ჩვენ დარწმუნებული ერთპიროვნულ მმართველობის სარგებლიანობაში და მისი შემოღების საჭიროების აუცილებლობაში. კომუჯრედის ბიუროს მართებს თვითონაც კარგად გაერკვეს ერთპიროვნული მმართველობის საკითხებში და სწორად უხელმძღვანელოს წარმოებაში ამ საქმეს.

ალი.

ერთმმართველობა აუცილებელი პირობაა ხუთწლიანი გეგმის განსახორციელებლად

(ს.მ.უ. საბჭოს მასალებიდან)

5 წლიანი პერსპექტიული გეგმის შესრულების ამოცანა მოითხოვს ყველა იმ მოვლენათა აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლიან მშენებლობის განვითარებას. ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის განხორციელება ხდება მეტად რთულ პირობებში, როდესაც ადგილი აქვს სოციალისტური მშენებლობის ახალი მეთოდების შემოღებას. სოციალისტური შეჯიბრების წარმოება, შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის ბრძოლა, განუწყვეტელ საწარმოო წელიწადზე გადასვლა და სხვ. მიმდინარე კამპანიების დანიშნულებას შეადგენს ის, რომ გაადვილდეს ხუთწლიან გეგმის დასახულ ვადაზე უფრო ადრე შესრულება.

ასეთ მდგომარეობაში საჭიროა შემოღებულ იქნეს ისეთი მმართველობა, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების დისციპლინის განმტკიცებას და ამ გზით სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნას.

დღემდე მრეწველობის მმართველობა ხდებოდა ე. წ. „სამკუთხედის" პრინციპით, ესე იგი ადგილობრივი პარტიული ორგანო ფაბრიკო-საქარხნო კომიტეტი და წარმოების ადმინისტრაცია. ერთმართველობის შემოღებით სამკუთხედის პრინციპი ისევ რჩება, ხოლო ადმინისტრაციას უფლება ეძლევა მისი აზრით, საჭირო ღონისძიება გაატაროს ცხოვრებაში და ამისათვის საჭირო არ იქნება ადგილობრივ პარტ. და პროფ. ორგანოს სანქცია. მიღებული ღონისძიებების შესახებ ადმინისტრაციამ ინფორმაციისათვის უნდა აცნობოს მხოლოდ სამკუთხედის დანარჩენ წევრებს. თუ ადგილობრივ პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციას ადმინისტრაციის ესა თუ ის ღონისძიება მიაჩნია მიზანშეუწონლად, ამის შესახებ შეუძლია რჩევა მისცენ მას, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში დასვან საკითხი ზემდგომ ორგანოებში.

ამგვარად წარმოების ადმინისტრაცია პასუხისმგებელი ხდება მთლიანად მთელი წარმოების მდგომარეობისათვის. ერთმმართველობის შემოღებით სამკუთხედის პრინციპი კვლავ რჩება მმართველობის საერთო საფუძვლად, მხოლოდ ხდება სამკუთხედის თვითეული წევრის კომპეტენციის უფრო ზუსტი განსაზღვრა და მათ უფლება-მოვალეობათა ჩამოყალიბება.

ფართო მასების დახმარებით

ქიმიურ-ლაბორატორიული საგნების წარმოებათა სამმართველოს გამგემ ამხ. ვ. ანდლულაძემ განაცხადა:

— ჩვენი წარმოებების პრაქტიკაში (მწვანე საპნის ქარხ. სიღუხის ზეთის წარმოება და ფარმაცევტიული პრეპარატების ქარხანა) გაუგებრობას იწვევდნენ მხოლოდ სხვადასხვა კონკრეტული საკითხები. ხშირად რომელიმე უბრალო პრაქტიკული საკითხის გადაწყვეტა იწვევდა მთელ აყალ-მაყალს, საქმე ჭიანურდებოდა და წარმოება ზარალობდა.

ერთმმართველობის შემოღება მრეწველობაში მე მიზანშეწონილ და დროულ ღონისძიებად მიმაჩნია. მხედველობაში უნდა მივიღოთ მხოლოდ ის გარემოება, რომ ამჟამად მთელ რიგ წარმოებებს ხელმძღვანელობენ დაწინაურებული მუშები, რომლებსაც ფართო დახმარება უნდა აღმოუჩინონ თვით წარმოების მუშათა მასებმა. უნდა ჩატარდეს ფართო ახსნა-განმარტებები ერთმმართველობის შესახებ, რათა ყველამ გაიგოს, რომ ერთმმართველობის შემოღება აუცილებელია სოციალისტურ აღმშენებლობის განვითარებისათვის.

დავაჩქაროთ ერთმმართველობის შემოღება წარმოებაში

საქართველოს მრეწველობის წარმოებისა და ტრესტების ხაზით უკვე დაწყებულია ახსნა-განმარტების ჩატარება მრეწველობაში ერთმმართველობის შემოღების შესახებ. აღნიშნული საკითხის დამუშავება ხდება წარმოებების მუშათა მასიურ კრებებზე, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში ჯერ-ჯერობით არ არიან ჩაბმული მუშათა ფართო ფენები.

ერთმმართველობის შემოღების შესახებ კრებები მოწვეული იყო: თბილისის ბამბის ქარხანაში, ძაფის ფაბრიკაში, ფეხსაცმელების ფაბრიკაში და მთელ რიგ სხვა წარმოებებში. ყველგან მუშები ერთხმად იწონებენ მრეწველობაში ერთმმართველობის შემოღების რეფორმას და მოითხოვენ მისი ცხოვრებაში გატარების დაჩქარებას.

გავაძლიეროთ რელიგიასთან ბრძოლა

ნაცუმცირესობათა შორის

საქართველოში მოსახლე ეროვნულ-უმცირესობათა შორის რელიგიურ რწმენათა დიდ სხვადასხვაობას ვხედავთ. ამჟამად არსებობენ: მართლმადიდებელთა, მაჰმადიანთა, ებრაელთა, კათოლიკეთა, ლუთერანთა და სომეხ-გრიგორიანთა ეკლესიები; ბაპტისტებისა, დუხობორებისა, ადვენტისტებისა, სახარების ქრისტიანებისა, სულიერი ქრისტიანებისა („პრიგუნები"), მიურიდებისა და სხვა წვრილი სექტები. ყველა სექტაში ითვლება დაახლოებით [illegible] ათასი კაცი.

ამ სექტებს შორის ვითარდება, განსაკუთრებით, სახარების ქრისტიანებისა, ბაპტისტებისა და მიურიდების სექტები, რადგან მათ ხელი მიუყავს რელიგიის „განახლებას" და მის შეფარდებას თანამედროვეობასთან.

კლუბებისა და სამკითხველოების კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას სექტები უპირდაპირებენ თავის დრამატიულ, საგუნდო-სასიმღერო, მუსიკალურ წრეებს და მართავენ რელიგიურ წარმოდგენებს. რამდენადაც სექტანტების წრეები ამ ფორმებს რელიგიურ შინაარსს აძლევენ, იმდენად ისინი ხელს უშლიან მშრომელთა მასების კულტურული დონის ნამდვილ ამაღლებას. უყურადღებოდ არ სტოვებენ ახალგაზრდათა და ბავშვთა ორგანიზებასაც. სექტანტები აწყობენ ეგრეთწოდებულ ბავშვთა „ჯგუფებს", სადაც ბავშვებს „ღვთის მოშიშობას" უნერგავენ. სადელეგატო კრებების, ქალთა წრეების გავლენის მოსასპობად ისინი ჰქმნიან ქალთა წრეებს, საკუთარ „ქალთა განყოფილებებს", რომლებიც ქადაგებენ, რომ ქალი შეიძლება თანასწორუფლებიანი იყოს მხოლოდ სარწმუნოების საქმეებში.

ამიტომ ანტირელიგიური ბრძოლა ამჟამად უნდა გავაჩაღოთ არა იმდენად ეკლესიის მსახურთა, რელიგიის მარჯვენა ფრთის წინააღმდეგ, რამდენადაც მისი „მარცხენა" ფრთის სექტანტობის წინააღმდეგ.

იზრდება სექტებისა და სამლოცველო სახლების რიცხვი, თანდათან ძლიერდება აგრეთვე მეჩეთებისა და სინაგოგების აღდგენა. საქართველოში ითვლება დაახლოებით 50 სამლოცველო სახლი მხოლოდ ბაპტისტებისა და სახარების ქრისტიანებისა.

გერმანელთა სოფელ გნადენბერგში (აფხაზეთი) ადგილობრივი კულაკის, მეფის ყოფილი მამასახლისის, ხოლო შემდეგ ლიუტერანთა პასტორის თაოსნობით შარშან ჩამოყალიბდა ბაპტისტების სექტა. მოკლე ხნის განმავლობაში სექტაში ჩაება 4 სოფლის მოსახლეობის დაახლოებით 50 პროცენტი.

სექტების ზრდასთან ერთად ვითარდება მათი გახრწნის პროცესიც. შინაური უთანხმოება ზოგჯერ ცემა-ტყეპასაც კი იწვევს, როგორც ეს მოხდა ამას წინათ ყარაიაში, გერმანელთა შორის. უნდა ითქვას, რომ სექტები დიდ ორგანიზაციულობასა და მთლიანობას იჩენენ თავის გამოსვლებში კომუნისტების წინააღმდეგ და იმ აგიტაციაში, რომელსაც მიზნად აქვს წევრების მიზიდვა.

თითქმის ყველა სექტა და რელიგიური ორგანიზაცია, იმ მიზნით, რომ გააძლიერონ და განამტკიცონ თავისი გავლენა მასებზე, აწყობენ მატერიალურ „დახმარებას" ღარიბი გლეხობისათვის, აგიტაციას ეწევიან წითელ არმიაში სამსახურის წინააღმდეგ (დუხობორები ახალქალაქში), სასოფლო-სამეურნეო გადასახადებისაგან განთავისუფლებისათვის (აფხაზეთი), აგიტაციას ეწევიან კოლექტიურ-მეურნეობათა მშენებლობის იდეისა და თვითდაბეგვრის წინააღმდეგ და სხვ.

რელიგიის გავლენას ემორჩილებიან აგრეთვე ზოგიერთი კომუნისტი და კომკავშირელი. არა სრული ცნობებით, 6 თვის განმავლობაში რელიგიური წესების შესრულებისათვის ორგანიზაციიდან გამორიცხულია ეროვნულ უმცირესობათა შორის 50-ზე მეტი კომკავშირელი.

ანტირელიგიური პროპაგანდა ჩვენში ჯერჯერობით სათანადო სიმაღლეზე არა დგას. მას ჯერ კიდევ კამპანიის ხასიათი აქვს, ჩვენ ვერ ვაწარმოებთ სისტემატიურ პროპაგანდას რელიგიის წინააღმდეგ როგორც სასწავლებლებში, ისე პროფკავშირების კულტგანყოფილებების, კომფრაქციების, კომკავშირის, ქალთა შორის მუშაობის და წითელი არმიის ხაზით. ამავე დროს არსებობენ და მუშაობენ რელიგიური სკოლები.

კონსერვატიზმი და რელიგიური ფანატიზმი ძალიან ძლიერია ყველა ეროვნულ უმცირესობაში. ამერიკიდან მოსულმა დუხაბორმა ქალმა, რომელმაც იქ უმაღლესი სასწავლებელი გაათავა და მასწავლებლობა გადასწყვიტა, ლიუქსემბურგში საზოგადოებრივი აზრის ზეგავლენით უარი სთქვა მასწავლებლობაზე, ევროპიული ტანისამოსიც კი გაიხადა და ჩაიცვა დუხაბორული ტანისამოსი (ბაშკირეთი).

გერმანელთა შორის დღევანდლამდე არსებობს ძველი რელიგიური ნაშთი—კონფირმაცია.

ერთხელ, ამხანაგ ლუნაჩარსკისთან კამათის დროს, მიტროპოლიტმა ვვედენსკიმ განუცხადა მას: თქვენი ანტი-რელიგიური მუშაობა იმიტომ არის ასე სუსტი, რომ თქვენ რელიგიას ფეხებსა და ხელებში უმიზნებთ, და არ ამჩნევთ, რომ მას გული აქვსო. დადგა დრო, როცა რელიგიას მოწესრიგებული პროპაგანდის საშუალებით შიგ გულში უნდა დავასვათ მეცნიერული ლახვარი.

ანტი-რელიგიური მუშაობა ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის განვითარებული. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ არ გვყავან ანტირელიგიური მუშაკები ეროვნულ უმცირესობათაგან, არ არსებობს ლიტერატურა, მოუწესრიგებელია უღმერთოთა კავშირის მუშაობა, ვერ ვხედავთ ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის დიფერენციაციას, საბჭოთა ინტელიგენცია სრულიად არ არის ჩაბმული ანტირელიგიურ მუშაობაში, განათლების სახ. კომისარიატის პროგრამებში არ არის შეტანილი ანტირელიგიური აღზრდის საკითხები, არ ხდება რადიო-გადაცემა ეროვნულ უმცირესობათა ენებზე და სხვ.

დროა ბოლო მოეღოს ასეთ მდგომარეობას. ეროვნულ უმცირესობათა შორის უნდა გაძლიერდეს ანტირელიგიური მუშაობა, რომლის წარმატების ძირითად პირობას შეადგენს გარკვეული კლასობრივი ხაზის გატარება და მედგარი ბრძოლა მემარჯვენე-შემარიგებელ გადახრასთან და „მემარცხენეობასთან" ამ ფრონტზე.

ვ. ფითოევი.

საქ. სახკომსაბჭოში

სახკომსაბჭოსთან არსებულ საექსპორტო თათბირის 1929-30 წ. შემდგენილობის დამტკიცება

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა 1929-30 წლისათვის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული საექსპორტო თათბირის შედგენილობა შემდეგი სახით: ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), გ. მგალობლიშვილი, ივანოვ-კავკასიელი, სააკიანი, გონგაძე, გუგუშვილი, ვაშაძე (ფინსახკომი), გ. ყურულიშვილი, ს. ჯულელი, ა. ბუაჩიძე, (საგეგმო კომისია), იჟ. ალშიბაია, ვ. ქურდაძე, აბეზგაუზი, ლაქტიონოვი, პანიევი, ქ. მოდებაძე, ვ. ავაქოვი, ბ. მახაიძე; ნ. ლაკობა (აფხაზეთი), ზ. ლორთქიფანიძე (აჭარისტანი) და აბაევი (სამ.-ოსეთი).

ღარიბ გლეხების გადმოსახლება აჭარისტანის მთიან ადგილებიდან

სახკომსაბჭომ დაამტკიცა აჭარისტანის სახკომსაბჭოს მიერ წარმოდგენილი აჭარისტანის მთიან ადგილებიდან ქობულეთის და ბათომის მაზრებში ღარიბ გლეხების გადმოსახლების გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა.

ფიზკულტურის დარგში სამკურნალო კონტროლის [illegible] შესახებ

სახკომსაბჭომ დაავალა ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს [illegible] ადგილობრივ ორგანოებს, მოაწყონ ფიზკულტურის დარგში სამკურნალო თვალყურისდევნება და იმ ადგილების სანიტარული ზედამხედველობა, სადაც მეცადინეობა სწარმოებს.

თათბირის მოწვევა მეცხვარეობაზე

სახკომსაბჭოს დადგენილებით 1929 წ. ნოემბრის 20-სათვის მოწვეული იქნება თათბირი მეცხვარეობის შესახებ.

დაევალა კომისიას ამხ. ბუაჩიძის (თავმჯდომარე), კაჭარავას, რუხაძის და ქურციკაშვილის შედგენილობით გამოარკვიოს თათბირის შემადგენლობა და შეიმუშაოს მისი სამუშაო გეგმა.

თადარიგის მეთაურთა გადამზადება

მიმდინარე წელს პირველად ამიერ-კავკასიაში ჩატარებული იქნება თადარიგის მეთაურთა და წითელ არმიელთა რეგულიარული სამხედრო გადამზადება, რომელსაც ხელმძღვანელობს გაუწევს თავდაცვა-ავიაქიმი.

გადამზადებას ექნება სავალდებულო ხასიათი. ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმმა უკვე შეიმუშავა მეთაურების და წითელ არმიელების სამხედრო გადამზადების პროგრამა და წესრიგი და დაუგზავნა რესპუბლიკანურ ორგანიზაციებს.

წინასწარი სამზადისი მეთაურთა და წითელ არმიელთა გადამზადებისათვის უკვე ჩატარებულია და მეცადინეობა დაიწყება არა უგვიანეს 1-ლი დეკემბრისა.

გადამზადება იწარმოებს სამხედრო უწყების წერტებზე და სამხედრო კუთხეებთან. ინსტრუქტორებათ გამოყენებული იქნებიან თადარიგის მეთაურნი. იმ ადგილებში, სადაც დაბანაკებული არიან სამხედრო ნაწილები, ინსტრუქტორებათ მიზიდულ იქნებიან ამ ნაწილების მეთაურები.

მეთაურთა და წითელ არმიელთა გადამზადებაში უახლოეს მონაწილეობას მიიღებენ წითელი არმიის ნაწილები და თბილისის წითელი არმიის სახლი, სადაც მოეწყობა სპეციალური ბიურო, რომელიც მიაწოდებს ავიაქიმის ორგანიზაციებს და მეთაურებს სახელმძღვანელო მასალას, ლიტერატურას და რომელიც აწარმოებს საკონსულტაციო მუშაობას.

როგორ ჰყიდდა შეშას არტელი „ულელტეხილი"

როგორც ჩვენს გაზეთში გვქონდა აღნიშნული, მოსალოდნელია შეშის მწვავე კრიზისი, რადგან რკინის გზის სამმართველომ არ შეასრულა პირობა შეშის გადმოზიდვის შესახებ. ვაგონები საჭირო რაოდენობით არც ეხლაა გამოყოფილი შეშის გადმოსაზიდათ.

რაც გადმოზიდული იქნა დღემდე—მისი განაწილებაც არ სწარმოებს წესიერად. შეშის დამამზადებელი ორგანიზაციები მომხმარებლებზე შეშის მიწოდების საქმეში პირდაპირ სისხლის სამართლის დანაშაულს ჩადიან. გარდა იმისა, რომ შეშა ხშირად პირველ რიგში კერძო პირებს ეძლევათ, —მუშა-მოსამსახურეებს აწვდიან ცუდ ღირსების და ნაკლები რაოდენობის შეშას.

თბილისის აღმსკომის ვაჭრობის განყოფილებამ მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და მოახდინა შეშის საწყობების გამორკვევა. გამოირკვა, რომ არტელი „ულელტეხილი" მომხმარებლებს ატყუებდა. არც ერთი დადგმული კუბ. საჟენი შეშა არ აღმოჩნდა სწორად. შეშა ისე იყო დაწყობილი, რომ მომხმარებელს კუბ საჟენის ნაცვლად მიჰქონდა საჟენის სამი მეოთხედი. მეოთხედი ნაწილი კი აკლდებოდა.

ამრიგად არტელ „ულელტეხილს" გაყიდულ საჟენ შეშაზე რჩებოდა საჟენის მეოთხედი.

როცა ვაჭრობის მომწესრიგებელი განყოფილების წარმომადგენელი შეეკითხა არტელ „ულელტეხილის" გამგეს პაიჭაძეს, ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ ამას ჩადიოდა არა პირადი, არამედ არტელის სასარგებლოდ.

კლასობრივი მტრების თავხედობა

კულაკები თავს ესხმიან ახალი სოფლის მშენებლებს

ნუ შევასუსტებთ ბრძოლას კლასობრივი მტრების წინააღმდეგ

კულაკები არ სცხრებიან

(საგარეჯოს რაიონი)

არა ერთხელ იყო აღნიშნული, რომ კულაკებმა თავი წამოჰყვეს და ათასგვარი მეთოდებით იბრძვიან კოლექტივიზაციის და სოფლის ახალ საფუძვლებზე გარდაქმნის წინააღმდეგ.

კოლექტივების ძნების და ბინებისათვის ცეცხლის წაკიდების გარდა, კლასიური მტერი სოფლად ტერორსაც მიმართავს ცალკე სოფლის აქტიური მუშაკების მიმართ და უშენს მათ ტყვიებს ქურდულად.

ასეთ ტერორისტულ აქტს ადგილი ჰქონდა 8 ოქტომბერს სოფ. გიორგი-წმინდაში (საგარეჯოს რაიონი). ამ სოფლის აქტივისტს და სკოლის აშენების ინიციატორ-ხელმძღვანელ გლეხს ამხ. ბურჯანაძეს გზაში ქურდულად ესროლეს ტყვია. საბედნიეროდ ტყვია მიზანში არ მოხვდა.

რისთვის ესროლეს ამხ. ბურჯანაძეს? ვის რა დაუშავა მან?

ის სოფლის აქტივისტია, ყოველგვარი ახალი წამოწყებანი და მუშაობის წარმოება სოფლის განახლებისათვის მისი საქმეა, იგი ყოველი ახალი საქმის სული და გულია, ღარიბთა ჯგუფების ორგანიზატორი და კოლექტივიზაციის იდეების პროპაგანდისტი.

ეს ხომ ნიადაგს უთხრის კულაკობას. ამით აიხსნება, რომ იგი მათ ეჯავრებათ და კბილს ილესავენ მასზე. კულაკები სუსტნი არიან ახალი სოფლის მშენებლების წინააღმდეგ ბრძოლაში და აი, კიდეც ამისთვის მიმართავენ ტერორს.

ამის საბაბიც თითქოს იპოვნეს: სკოლის ასაშენებლად საჭირო იყო აგური. ვინმე ნაცვლიშვილმა (მეაგურე) დასდო ხელშეკრულება სკოლის აღმშენებლობასთან აგურის მიწოდებაზე. ჩაბარების დროს აგური უვარგისი აღმოჩნდა. ბურჯანაძემ უარი სთქვა მის მიღებაზე. ნაცვლიშვილი და კომპანია დიდხანს ეხვეწებოდნენ მას მიეღო აგური, ქრთამიც კი შეაძლიეს, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. ბურჯანაძე ურყევი იყო.

იმედგაცრუებულმა ნაცვლიშვილმა მოისყიდა ვინმე იაგორ ქაჯარაშვილი, რომელსაც დაჰპირდა ალბად დიდ ჯილდოს და მიანდო „ჯიუტი" ბურჯანაძის მოკვლა.

ქაჯარაშვილი ჩაუსაფრდა „მსხვერპლს" და ორჯერ ესროლა ტყვია. მსროლელმა ორთავეჯერ აცდინა მიზანს. საგამომძიებლო ორგანო უფრო ფხიზელი „მსროლელი" აღმოჩნდა, „ტერორისტი"-ს კვალს მან მალე მიაგნო და დაპატიმრა როგორც იგი, ისე მისი წამქეზებელი ნაცვლიშვილი.

ახლო მომავალში ისინი წარსდგებიან პროლეტარულ სამსჯავროს წინაშე.

უნდა ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია გარეკახეთის რაიონში. ამ მოკლე ხნის განმავლობაში ადგილი ჰქონდა მსგავს შემთხვევას გომბორში, სადაც მოკვლის მიზნით თავს დაესხნენ მოჯამაგირეთა კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. სიმონ ბადიაურს. ამ შემთხვევაშიაც კულაკების „მსხვერპლი" უვნებლად გადარჩა. ამ საქმის გამოც დაპატიმრებულია ორი კაცი.

თავდამსხმელები შესაფერისად უნდა დაისაჯონ და ამით ვაგრძნობინოთ კლასიურ მტერს, რომ ახალი სოფლის მშენებელთ პროლეტარიატის ხელისუფლება მედგრად იცავს და ყოველი ბინძური ხელი, რომელიც აღიმართება ამ მშენებელთა წინააღმდეგ უმალვე ძირში მოიკვეთება.

მახვილი.

კულაკ ჩოხელის პროვოკაციულ ქორებს შეცდომაში შეყავს მშრომელი გლეხობა

(თიანეთის თემი, თბილ. ოლქი)

ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია მწვავე კლასთა ბრძოლის პირობებში მიმდინარეობს. სოფლად, კულაკური ელემენტები მეტად სამარცხვინო და ბნელ საშუალებებს მიმართავენ ოღონდ ამით, რაიმე ზიანი მიაყენონ კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობების გარშემო შემოკრებილ ღარიბ და საშუალო გლეხობას.

თიანეთის თემის სოფ. ცხვარი-ჭამიის გლეხობა კარგათ იცნობს იმავე სოფლის კულაკს ბერა ჩოხელს, მაგრამ მის წინააღმდეგ ხმის ამოღებას ვერავინ ბედავს. ხსენებული კულაკის „მოღვაწეობა" მოკლედ შემდეგში გამოიხატება:

ბერა ჩოხელი ყოველნაირად სცდილობდა ხელი შეეშალა თესვის კამპანიისათვის, ამ მიზნით მან გაავრცელა ქორი, თითქოს გასულ წელს სოფ. საგარეჯოში მთავრობას მიეცეს გლეხობისათვის სათესლე მასალა და შემდეგ მოსავლის 60 პროც. მათთვის წაერთმიოს. გლეხობა წამოეგო ჩოხელის პროვოკაციას და მიწები დღემდე დაუთესავი რჩება.

ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე ხელისმოწერის კამპანიასაც არ მოაკლო თავისი ყურადღება ბერა ჩოხელმა. მან ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციები ნახევარ ფასად შეისყიდა გლეხობისაგან და არწმუნებდა მათ: მე, რომ არ შემესყიდა თქვენი ობლიგაციები მთავრობა მაინც გააუქმებდაო, ამიტომ მოსალოდნელია მესამე სესხის გაუქმებაცო. ამრიგად ჩოხელმა საგრძნობი ზიანი მიაყენა სახ. სესხების რეალიზაციის საქმეს სოფ. ცხვარი-ჭამიის გლეხობაში.

კულაკი ჩოხელი სდევნიდა იმავე სოფლის მასწავლებელ ორაგველიძეს, რომელიც აწარმოებდა მუშაობას კოლექტივების შექმნისათვის ღარიბ გლეხობაში. მან თავისი ჯგუფით ერთხელ თავდასხმაც მოაწყო ორაგველიძეზე, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანეს.

კულაკ ბერა ჩოხელის თავხედობამ იმ ზომამდე მიაღწია, რომ მან სცემა რამოდენიმე ღარიბ გლეხს. ერთმა იმათგანა შრომის უნარი დაკარგა.

ბერა ჩოხელი სიკვდილით დაემუქრა შვებულ წითელ-არმიელებს, რომლებსაც კოლექტივის დაარსება უნდოდათ. იგი გააფთრებულ აგიტაციას აწარმოებს გლეხობაში იმისათვის, რომ გლეხობამ ბავშვები სკოლაში არ გაგზავნონ, ვიდრე იქ მასწავლებლათ ორაგველიძე იქნება. მისვე „მოღვაწეობა"-ს შედეგია ის, რომ სკოლისათვის გადადებული — 1500 მან. დღემდე გამოუყენებელი რჩება.

ამრიგად კულაკ ჩოხელის ალვირახსნილობას საზღვარი აღარ უჩანს.

ბერა ჩოხელი უნდა განიდევნოს თიანეთის თემიდან, რადგანაც მის დატოვებას შეუძლია დიდი ზარალი მოუტანოს სოფ. ცხვარი-ჭამიის გლეხობას.

ვ. ლეჟავა.

კულაკები იარაღით კოლექტივის წინააღმდეგ

ღარიბ გლეხთა შეკავშირება, მათი გაერთიანება კოლექტივებში, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნა, რაც სოფლად ჩვენი პოლიტიკის ქვა-კუთხედს წარმოადგენს,—დიდ განგაშს და არევ-დარევას იწვევს ჩვენი კლასობრივი მტრების ბანაკში. ძლევამოსილმა სოციალისტურმა შეტევამ გონება დაუკარგა კულაკებს, რომლებიც ვერ შერიგებიან ღარიბ გლეხებზე ბატონობის სადავეების ხელიდან გამოცლას და თავის წინანდელ პოზიციების შესანარჩუნებლად არ ერიდებიან არავითარ საშუალებას. როცა ბრძოლის „ჩუმი" მეთოდები: ქონებრივი ზეგავლენა ღარიბებზე, საბჭოს წევრებს მოსყიდვა, სოფლის აქტიური მუშაკების ჩაჩუმება მუქარით არ სჭრის, კულაკები თარაღს მიმართავენ. კულაკების კონტრ-შეტევის ფაქტი ბევრი ვნახეთ. ეს ფაქტიც, რომელიც ამა წლ. სექტემბერში მოხდა ახალციხის მაზრაში ს. ორპოლაში უსათუოდ მრავალმეტყველია და მთელი ჩვენი რევოლიუციონური კანონიერების სისასტიკე უნდა გამოვაყენოთ იმისათვის, რომ ასეთი ამბების განმეორების შესაძლებლობა საბოლოოდ მოვსპოთ.

ა.-წ. გაზაფხულზე ახალციხის მაზრაში ს. ორპოლაში ღარიბი გლეხების ინიციატივით და სამაზრო ხელისუფლების დახმარებით ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი. კოლექტივის ჩამოყალიბებას, რასაკვირველია, მტრულად შეხვდენ კულაკები. მათ გაბოროტებას ხელი შეუწყო კიდევ იმ გარემოებამ, რომ ის მსუქანი მიწების ნაწილი, რომელთაც მანამდე კულაკები ამუშავებდნენ, გადაეცა კოლექტივს.

კულაკები დაირაზმნენ კოლექტივის წინააღმდეგ. გააჩაღეს აგიტაცია, მიმართავდნენ ცილისწამებას და ათასგვარ ხერხებს, რომ „უდლი ჩამოეგდოთ კოლექტივის წევრებს შ.რის, შეეტანათ დეზორგანიზაცია კოლექტიურ მშენებლობაში. მაგრამ ხელისუფლება მტკიცედ ამოუდგა მხარში კოლექტივს, კულაკების პროვოკაციულმა მუშაობამ ნაყოფი ვერ გამოიღო, კოლექტივი გაძლიერდა, მან მაგრად მოიკიდა ფეხი.

როცა დარწმუნდნენ, რომ სიტყვიერი ქაქანით და ცილისწამების საშუალებით კოლექტივს ვერ ჩაშლიდნენ, კულაკებმა გადასწყვიტეს ტყვიით გასწორებოდნენ კოლექტივის ხელმძღვანელებს.

პირველი მსხვერპლი კულაკების გადაწყვეტილებით უნდა გამხდარიყო სოფლის საბჭოს წევრი ბადირ მავლიუდ-ოღლი, რომელიც განსაკუთრებულ აქტივობას იჩენდა კოლექტივის მოწყობაში.

ამა წლის 27 სექტემბერს საბჭოს წევრი ბადირ მავლიუდ-ოღლი დილიდანვე სესხის ობლიგაციებს არიგებდა გლეხობაში. როცა მუშაობას მორჩა, ბადირმა შეიარა თავის ნათესავთან კადიმ ასლან-ოღლისთან, სადაც იმ დროს იმყოფებოდნენ კოლექტივის თავმჯდომარე ბაშირ ჩეჩო-ოღლი, კოლექტივის წევრი ღარიბი გლეხები რაზა ასლან-ოღლი, აივაზ ტაარ-ოღლი და სხვები.

მათ ისაუბრეს კოლექტივის მდგომარეობაზე, შეექცნენ შემწვარ სიმინდს.

კულაკი ალი-ფაშა-აზიზ-ოღლი დილიდანვე უთვალთვალებდა ბადირს. როცა გაიგო, სად იმყოფებოდა ბადირი, მან თავისი რაზმი ჩასაფრა კადიმ ასლან-ოღლის სახლის მახლობლად.

კოლექტივის წევრებმა გამოაცილეს ბადირ მავლიუდ-ოღლი. როცა უკანასკნელი მათ დაშორდა, კოლექტივის წევრები ავიდნენ სახლის სახურავზე და იქ დასხდნენ.

ბადირი უახლოვდებოდა თავის სახლს, როცა გავარდა თოფი... ერთი, ორი სამი... სამივე ასცდა ბადირს, რომელიც მაშინვე გადახტა კლდეში და მიიმალა.

— ეს ხომ ჩავაძაღლეთ, ეხლა დანარჩენებს გავუსწორდეთ,—დაიძახა მეორე კულაკმა ნიაზ მაილ-ოღლიმ, რომელიც ალი-ფაშა აზიზ-ოღლისთან ერთად იყო ჩასაფრებული. ამ დაძახებაზე გაწვიმდა ტყვია. ისროდა 7 კაცი იმ სახლის სახურავისაკენ, სადაც კოლექტივის წევრები ისხდნენ. პირველი გასროლისთანავე გლეხები გადაცვივდნენ სახურავიდან და დაიმალნენ ისე, რომ უვნებლად გადარჩა სულ ყველა.

ბადირ მავლიუდ-ოღლიმ, რომელიც უკვე მოკლული ეგონათ კულაკებს, მოახერხა კლდიდან ამოსვლა, მოიძებნა მიყრუებული ადგილი, საიდანაც იარაღით გამოსული კულაკები სათანადოთ გამოიცნო.

ხელისუფლებამ იმ დღესვე შეიპყრო შვიდივე ბოროტმოქმედი: ალი-ფაშა აზიზ-ოღლი, აგალი აზიზ-ოღლი, ატამშა ასლან-ოღლი, ალა-ფაშა-აზიზ-ოღლი, მამედ ემინ-ოღლი, ნიაზ მაილ-ოღლი, მაადინ ჰუსეინ-ოღლი, თემურ ზეიზარ-ოღლი.

კულაკების ტყვია ასცდა მიზანს. რევოლიუციონური კანონიერება კი ნიშანში კარგად სცემს. საქართველოს უზენაესი სასამართლო, რომელიც ამ საქმეს გაარჩევს, სათანადო სასჯელს მიუზღავს გათავხედებულ კულაკებს.

ბრალდებულთ წარდგენილი აქვთ სისხლის სამართლის კოდექსის 58^8 მუხლი, რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასჯელს—დახვრეტას.

მერ.

დებულება სასოფლო საბჭოების შესახებ

> **სასოფლო საბჭო იარაღია სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისათვის.**
>
> **სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, კაპიტალისტურ ელემენტებზე შეტევა და სოფლად კლასობრივი ბრძოლის გამწვავება—ყოველივე ეს ახალ ამოცანებს აკისრებს სასოფლო საბჭოებს.**
>
> **სასოფლო საბჭოების დებულების შემოღება ახალი საფეხური იქნება საბჭოთა ძირითადი აპარატის აღმშენებლობის საქმეში.**
>
> **დებულების პროექტი უნდა გულდასმით განხილული იქნეს მშრომელთა მასებისა და საბჭოთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ.**

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

1. პროექტი დებულებისა სასოფლო საბჭოების შესახებ მიღებულ იქნეს საფუძვლად და გამოქვეყნდეს ცაკ-ის ორგანო გაზ. „კომუნისტ"-ში.

2. ვინაიდან მშრომელთა ფართო მონაწილეობით საბჭოების მორიგი ამოცანების განხილვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა აგრეთვე ახლო მომავალში საბოლოოდ უნდა იქნეს დამტკიცებული თანდართულ პროექტის საფუძველზე ახალი დებულება სასოფლო საბჭოების შესახებ,—წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ-ს, აჭარისტანის ავტ. ს. ს. რ. სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საოლქო და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს, რათა:

ა) ფართო მსჯელობა ჩაატარონ სასოფლო-საბჭოების დებულების პროექტის გარშემო, სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, სექციებზე და პრესაში —ამ მსჯელობაში მუშათა, გლეხთა და საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მთელი აქტივის ჩაბმით;

ბ) ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტების, სარაიონო, საოლქო და სამაზრო აღმასკომების მორიგ პლენუმებზე და მათი პრეზიდიუმის სხდომებზე მოაწყონ მსჯელობა დებულების პროექტის შესახებ;

გ) ყველა წინადადება და შენიშვნა საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების და აგრეთვე ცალკე ამომრჩევლებისა შეაჯამონ და წარმოადგინონ თავისი დასკვნით ს. ს. ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილებაში ა.-წ. ნოემბრის 15-სათვის.

3. წინადადება მიეცეს ყველა სახალხო კომისარიატს, ცენტრალურ ორგანიზაციებს და საქართველოს ცაკ-ის წევრებსა და კანდიდატებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა პროექტის განხილვაში და თავისი მოსაზრებანი აცნობონ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს ა.-წ. ნოემბრის 15-სათვის.

4. დაევალოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებას გახსნას ფართო დისკუსია დებულების პროექტის გარშემო პრესაში და მთელი მასალა პროექტის შესახებ შეაჯამოს ა-წ. ნოემბრის 25-მდე და წარმოუდგინოს ცაკ-ის პრეზიდიუმს განსახილველად და დასამტკიცებლად.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

5 ოქტომბერი 1929 წ.
თბილისი—სასახლე.

დებულება

თავი I.

ზოგადი დებულებანი

1. სასოფლო საბჭოები თავიანთ გამგებლობის ფარგლებში სათანადო ტერიტორიაზე არიან ხელისუფლების უმაღლესი ორგანოები და აერთიანებენ მშრომელ მოსახლეობას ადგილობრივ და სახელმწიფო მართველობაში და მშენებლობაში მონაწილეობის მისაღებად.

2. სასოფლო საბჭოებს მიზნად აქვთ:

ა) სოფლის კულტურული და სამეურნეო განვითარება და მოსახლეობის მდგომარეობისა და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება.

ბ) სოფლის სოციალისტურად გარდაქმნის ხელმძღვანელობა და ამ მიზნით ამხოკართა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ორგანიზაცია;

გ) ადგილობრივ მრეწველობის განვითარების უზრუნველყოფა;

დ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ გლეხთა და გლეხ-ქალთა, მუშათა და მუშა-ქალთა, ამხოკართა და ამხოკარ-ქალთა უფლებების დაცვა;

ე) ხელისუფლების სათანადო უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა განხორციელება;

ვ) სასოფლო საბჭოს ქვემდებარე ყველა დაწესებულების მოქმედების გაერთიანება და მათთვის ხელმძღვანელობის გაწევა;

ზ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე რევოლიუციონური კანონიერების უზრუნველყოფა;

თ) სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;

ი) სასოფლო საბჭოს ბიუჯეტის შედგენა, განხილვა, დამტკიცება და ასრულება; აგრეთვე ამ ბიუჯეტის ასრულების ანგარიშის დამტკიცება;

კ) ყველა იმ საკითხის გადაწყვეტა, რასაც უწყებული ტერიტორიისათვის აქვს ადგილობრივი მნიშვნელობა;

ლ) საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხების განხილვა; როგორც საკუთარი, ინიციატივით, ისე ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების წინადადებით;

3. სასოფლო საბჭო მოეწყობა ისეთ სოფელში, სადაც 1.000 მცხოვრები მაინც არის, ხოლო ისეთი სოფლები, სადაც 1.000 მცხოვრებზე ნაკლები მოსახლეობაა გაერთიანდებიან ერთ სასოფლო საბჭოში, უკეთუ ცენტრალურ დასახლებულ პუნქტიდან დაშორებულ არიან არა უმეტეს, ვიდრე სამი კილომეტრით.

სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ, სასოფლო საბჭო შეიძლება მოეწყოს ისეთ სოფელშიაც, სადაც 1.000 მცხოვრებზე ნაკლები მოსახლეობაა, ხოლო არა ნაკლებ 500 მცხოვრებისა, უკეთუ, ადგილობრივი პირობების მიხედვით, რამდენიმე სოფლის გაერთიანება ერთი სასოფლო საბჭოს მოსაწყობად უხერხული იქნება მოსახლეობისათვის, აგრეთვე იმ სოფელშიაც, სადაც ბინადრობენ ნაციონალური უმცირესობანი, რათა მოეწყოს თანაგვარი სასოფლო საბჭოები ნაციონალური შედგენილობის მიხედვით.

შენიშვნა: სასოფლო საბჭო და მისი აღმასრულებელი ორგანოები ისეთ სოფელში, რომელიც სარაიონო ცენტრია, მოეწყობიან საერთო საფუძვლებზე.

4. სათანადო წესისამებრ დადგენილი მუდმივი სამყოფელი ადგილი იმ სასოფლო საბჭოსი, რომელიც აერთიანებს რამდენსამე დასახლებულ პუნქტს, შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წარდგენით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნას სათანადო საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

5. სასოფლო საბჭოს წევრთა არჩევის უფლება და აგრეთვე უფლება თვით იქნეს არჩეული, აქვს სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა მოქალაქეს, რომელსაც, საქართველოს სსრ კონსტიტუციის თანახმად, აქვს საარჩევნო უფლება.

6. სასოფლო საბჭო აირჩევა ისეთი ვარაუდით, რომ ერთი დეპუტატი მოდიოდეს მოსახლეობის თვითეულ 100 კაცზე.

7. სასოფლო საბჭოების არჩევანი მოხდება თანახმად სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციისა „მუშათა, გლეხთა და წითელ-არმიელთა დეპუტატების საბჭოების არჩევისა და საბჭოთა ყრილობების მოწვევის შესახებ".

8. სასოფლო საბჭოს ესა თუ ის დეპუტატი გამორიცხება მისი შედგენილობიდან:

ა) თანახმად იმ საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა მიერ მიღებული დადგენილებისა დეპუტატის უკან გაწვევის შესახებ, სადაც არჩეულ იქნა ეს დეპუტატი;

ბ) თანახმად დეპუტატის საკუთარი სურვილისა, რასაც იგი განუცხადებს სასოფლო საბჭოს ან მის პრეზიდიუმს;

გ) თანახმად სასოფლო საბჭოს დადგენილებისა, უკეთუ დეპუტატი, საქართველოს სსრ კონსტიტუციის 98 მუხ. ძალით და საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, დაჰკარგავს საარჩევნო უფლებას, აგრეთვე, უკეთუ იგი გადასახლდება სასოფლო საბჭოს ტერიტორიის ფარგლებიდან.

შენიშვნა: სასოფლო საბჭოს შედგენილობიდან გასული წევრის ადგილს საბჭო შეავსებს წევრათ კანდიდატით იმავე საარჩევნო უბნიდან რიგობის წესით; ხოლო, უკეთუ ასეთი კანდიდატი არ მოიპოვება, საბჭო დანიშნავს ნაწილობრივ არჩევნებს სათანადო საარჩევნო უბანში.

9. სასოფლო საბჭო აირჩევა ერთი წლის ვადით.

10. ბოროტმოქმედებისა ან კანონების სისტემატიური აუსრულებლობისათვის, აგრეთვე, უკეთუ საბჭოს შემადგენლობიდან გავა არა ნაკლებ, ვიდრე მის წევრთა ნახევარი რიცხვი, სასოფლო საბჭო შეიძლება დაშლილ იქნას მისი უფლებამოსილობის ვადის გასვლამდეც და დაინიშნოს საბჭოს არჩევნები.

ვადამდე სასოფლო საბჭოს დაშლა და არჩევნების დანიშვნა მოხდება სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, რაც დამტკიცებულ უნდა იქნეს საოლქო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

11. სასოფლო საბჭო პასუხისმგებელია საბჭოთა ზემდგომი ყრილობისა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე.

12. სასოფლო საბჭოს აქვს იურიდიული პირის უფლებები.

13. რათა მშრომელთა ფართო მასებმა ფაქტიური კონტროლი გაუწიონ სასოფლო საბჭოს საფინანსო-სამეურნეო მოქმედებას, აგრეთვე გაუწიონ ზედამხედველობა სასოფლო ბიუჯეტის ასრულებასა და ადგილობრივი სახსრისა და ქონების მიზანშეწონილად, კანონიერად და ეკონომიურად გამოყენებას, სასოფლო საბჭოს არჩევასთან ერთად და იმავე ვადით მოქალაქეთა საარჩევნო კრება აარჩევს სასოფლო სარევიზიო კომისიას, რომელიც მოქმედობს განსაკუთრებული დებულების თანახმად.

14. სასოფლო საბჭოს აქვს დადგენილი სახის სახელმწიფო ღერბი ან ბეჭედი.

თავი II.

სასოფლო საბჭოს გამგებლობის საგნები

15. საორგანიზაციო სფეროში სასოფლო საბჭო:

ა) მოაწყობს საბჭოთა არჩევნებისათვის სასოფლო საარჩევნო კომისიას და მიიღებს მონაწილეობას არჩევნების ხელმძღვანელობასა და ჩატარებაში საბჭოთა არჩევნების კანონმდებლობის თანახმად;

ბ) აწარმოებს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესისამებრ იმ პირთა სიას, რომელთაც აქვთ საარჩევნო უფლებები და აგრეთვე იმ პირთა სიას, რომელთაც ჩამოერთვათ საარჩევნო უფლებები, ამასთანავე ყველა ამ სიას საჭირო დოკუმენტებით იგი გადასცემს სასოფლო საარჩევნო კომისიას მისი მოწყობისთანავე;

გ) სასოფლო საარჩევნო კომისიის დაშლისას, მიიღებს მისგან ყველა საარჩევნო მასალას და აგრეთვე განიხილავს საარჩევნო უფლებაჩამორთმეულ პირთა საჩივრებს;

დ) მოახდენს საბჭოს ნაწილობრივ არჩევნებს ამა დებულების მე-8 მუხლის შენიშვნით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

ე) აარჩევს დეპუტატებს საბჭოთა სარაიონო ყრილობისათვის;

ვ) აარჩევს სასოფლო საბჭოს წევრთა რიცხვიდან სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს და დანიშნავს სასოფლო საბჭოს სხვა ხელქვეით თანამდებობის პირთ;

ზ) საჭირო შემთხვევაში ვადამდე ხელახლად აარჩევს სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმს ან მის ცალკე წევრებს თავისი ინიციატივით ან ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების წინადადებით, რასაც აცნობებს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს;

თ) მოაწყობს სასოფლო საბჭოს სექციებს, გაანაწილებს მათ შორის სამუშაოს, განსაზღვრავს თვითეული სექციის წევრთა რიცხვს და დაამტკიცებს სექციებზე საბჭოს წევრთა განაწილებას;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს და შეათანხმებს სასოფლო საბჭოს სექციების მოქმედებას და სასოფლო დაწესებულებათა და საწარმოთა მუშაობას;

კ) საერთო მეთვალყურეობას გაუწევს იძულებითი მუშაობის ადგილობრივ ბიუროს;

ლ) თვალყურს ადევნებს სასოფლო საბჭოს ქვემდებარე ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულებათ და საწარმოთ, ხოლო არ ერევა მათ ოპერატიულ მოქმედებაში, მოისმენს მათ მოხსენებებს და, უკეთუ აღმოაჩენს ამ დაწესებულებათა და საწარმოთა უკანონო და არამიზანშეწონილ მოქმედებას, აცნობებს ამას სათანადო ცენტრალურ ორგანოებს; აგრეთვე თვალყურს ადევნებს ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების მიერ სოფლად მუშაობისათვის დანიშნულ თანამდებობის პირთ და უკეთუ საჭიროება მოითხოვს, წარუდგენს ამ ორგანოების განცხადებას აღნიშნულ პირთა მოხსნის შესახებ;

მ) შეათანხმებს კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გეგმებს იმ მიზნით, რათა აღნიშნული ორგანიზაციების მუშაობა სოფლის სოციალისტურად გარდაქმნისაკენ იქნეს მიმართული;

ნ) საჭირო შემთხვევაში შეუფარდებს სასოფლო საბჭოს წევრებს სადისციპლინო ხასიათის გადასახდელს; გაფრთხილებას და საყვედურს—იმ უფლებით, რომ დადგენილება ამის თაობაზე გამოცხადებულ იქნას ამომრჩეველთა კრებაზე; აგრეთვე დაადებს სასოფლო საბჭოს ხელქვეით თანამდებობის პირთ სადისციპლინო გადასახდელს იმ წესით, რაც გათვალისწინებულია თანამდებობის პირთა სადისციპლინო პასუხისმგებლობის დებულებით;

ო) მოიწვევს ამომრჩეველთა კრებებს და წარუდგენს მათ მოხსენებებს სასოფლო საბჭოს და საბჭოთა უმაღლესი ორგანოების მუშაობის შესახებ; აგრეთვე გამოაცხადებს და განმარტავს მუშათა და გლეხთა მთავრობის კანონებსა და ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების განკარგულებებს; ჩააბამს ამომრჩევლებს საბჭოს მიერ განსახილველი საკითხების დამუშავებაში და საბჭოს პრაქტიკულ მუშაობაში სექციებისა და კომისიების მეშვეობით;

პ) ხელს შეუწყობს ღარიბთა ჯგუფების მუშაობას და მათ განსახილველად დასვამს საბჭოს მუშაობის ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხს;

ჟ) წარუდგენს საბჭოთა სარაიონო ყრილობას და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს თავისი მოქმედების ანგარიშს;

რ) წარავლენს ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების სხდომებზე მომხსენებლებს სასოფლო საბჭოს საქმეების გამო;

ს) აღძრავს შუამდგომლობას სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის წინაშე, ხოლო, უკეთუ საჭირო იქნება,—სარაიონო კომიტეტის მეშვეობით,—ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების წინაშე—ზემდგომი ორგანოების იმ დადგენილებათა და განკარგულებათა გაუქმებისა ან შეცვლის შესახებ, რაც ადგილობრივი პირობების მიხედვით მას არამიზანშეწონილად მიაჩნია.

16. რათა სასოფლო საბჭოს ტერიტორიაზე უზრუნველყოფილ იქნას რევოლიუციონური კანონიერება და სახელმწიფოებრივი წესრიგისა და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა,—სასოფლო საბჭოს ეკისრება:

ა) გამოაცხადოს საყოველთაო ცნობისათვის ხელისუფლების ზემდგომი ორგანოების კანონები და დადგენილებანი, რაც სოფლის მოსახლეობას შეეხება; თვალყური ადევნოს ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ყველა დადგენილებისა და განკარგულების ასრულებას და მიიღოს საჭირო შემთხვევაში ღონისძიებანი მათი შესრულებისათვის;

ბ) გამოსცეს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სავალდებულო დადგენილებანი;

გ) დაადოს დამნაშავეთ გადასახდელი ადმინისტრატიული წესით სასოფლო საბჭოს მიერ გამოცემულ და სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დამტკიცებულ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის; აგრეთვე იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, რასაც გამოსცემენ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი და ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები, უკეთუ სამისო უფლება მინიჭებული აქვთ სასოფლო საბჭოებს თვით სავალდებულო დადგენილებებით;

დ) დაადოს დამნაშავეთ, განსაკუთრებული დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ, ადმინისტრატიული გადასახდელი იმ სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, რაც გამოცემულია ტყეების მტაცებლობისაგან და განადგურებისაგან დასაცავად (სისხ. სამ. კოდ. 85 მუხლის მე-2 ნაწ.), აგრეთვე სოფლად ბაღებისა, ვენახებისა, ბოსტნებისა, და სხვ. განზრახ მოძოვებით წახდენაში დამნაშავე პირი (იმავე კოდ. 105 მუხ.), უკეთუ უკანონოდ მოძოვებულისა და მიყენებული ზიანის ღირებულება ხუთმეტ მანეთს არ აღემატება;

ე) განიხილოს, იმავე დებულებით გათვალისწინებული წესისამებრ, სათანადო ორგანოებისა და კერძო პირების განცხადებანი — მოძოვებით და ტყის წესების დარღვევით მიყენებული 15 მანეთზე არა უმეტესი ზარალის ანაზღაურების შესახებ;

ვ) შეასრულოს დადგენილებანი ადმინისტრატიული გადასახდელის [illegible] შესახებ;

ზ) გამოიტანოს დადგენილებანი შემდეგი საკითხების გამო, სათანადო კანონმდებლობის თანახმად ადგილობრივი საგზაო მშენებლობის [illegible]

(გაგრძელება იქნება)

ქრონიკა

ქალაქის კომენდატისაგან

ქალაქის კომენდატი იტყობინება, რომ 26, 27, 28, 29 და 30 ოქტომბერს მდ. ორხევის და ბაქო-კახეთის რკინის გზის რაიონში იწარმოებს სროლა.

ახალი კოლექტივები

თბილისის შრომის ბირჟის კომიტეტმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა დაარსოს საშტამპო-საზეინკლო კოლექტივი, რომელშიაც პირველ ხანებში იმუშავებს 50 კაცი. კოლექტივში დამზადდება ბოქლომები, რადიატორები და სხვა.

შრომის ბირჟის კომიტეტი ხსნის სამოსწავლო კოლექტივს, სადაც იმეცადინებენ მოწაფეები მე-7-დე ჯგუფის ზევით. კოლექტივში მიიღებიან მშრომელი ელემენტები.

პროლეტარულ მწერალთა კრება

კვირას, 27 ოქტომბერს, დილის სრულ 11 საათზე, ხელოვნების სასახლეში დანიშნულია პროლეტარულ მწერალთა კრება. დღის წესრიგში სდგას პროლეტარულ მწერალთა სწავლის საკითხი (მომხ. შ. რადიანი).

კრებას უნდა დაესწროს ყველა პროლეტარული და კომკავშირული მწერალი.

თერმომეტრები

უკანასკნელ ხანებში ადგილი ჰქონდა თერმომეტრების ნაკლებობას, რაც დაბრკოლებას ქმნიდა როგორც საავადმყოფოებში, ისე ბინებზე აქიმობის საქმეში.

ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად ჯანმრთელობის კომისარიატმა უცხოეთიდან გამოიწერა თერმომეტრები საჭირო რაოდენობით. ჯერ-ჯერობით უკვე მიღებულია 4.000 ცალი თერმომეტრი, რომლებიც გაუნაწილდება საავადმყოფოებს და სააფთიაქო მაღაზიებს.

საქ. უნივერსიტეტში

◆ **განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე**— სახ. უნივ. ალმასბიურომ მიზანშეწონილად სცნო უნივერსიტეტის გადაყვანა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

◆ **ჭადრაკი.** სახელმ. უნივერსიტეტის სტუდენტთა შორის დაიწყო მუშაობა საჭადრაკო წრემ.

სხვადასხვა

◆ **კომკავშირელ მწერალთა წრეში.** კვირას, 27 ოქტომბერს, დილის 8 საათზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" ბინაზე შესდგება „კომკავშირულ მწერალთა წრის" ბიუროს სხდომა. უნდა გამოცხადდენ ამხ. აკ. მახათაძე, ვ. ლუარსამიძე, ს. წვერავა, ნაროუშვილი, სულავა და კაჭახიძე.

◆ **პროფსაბჭოს მცირე დარბაზში** კვირას მოწვეულია ფიზკულტურის აქტივის და საკლუბო ბიუროების წევრთა თათბირი.

◆ **მომთაბარეთათვის საექიმო დახმარების** გაძლიერების მიზნით ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიმუშავა ცალკე 4 წლიანი გეგმა.

◆ **სახელმძღვანელოების ავტორთა თათბირი** შესდგება კვირას, დღის 12 ს. განათლების კომისარიატში.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

თბ. სატირის თეატრი

თბილისის სატირის თეატრი ხელოვნების მთ. მმართველობამ შეიტანა თავის ქსელში და დაამტკიცა თეატრისათვის საჭირო ხარჯთაღრიცხვა 3.000 მ. რაოდენობით. აქედან თეატრისათვის 1.500 მანეთს გაიღებენ პროფკავშირები, 1.000 მან.—პოლიტგანათლების მთ. სამმართველო, ხოლო 500 მ.—ხელოვნების მთ. სამმართველო.

—:—

◆ **სახალხო არტისტი.** ხელოვნების მთავარ მმართველობის კოლეგიამ თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა: აღძრას შუამდგომლობა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა კომპოზიტორ დ. არაყიშვილს მიენიჭოს სახალხო არტისტის სახელწოდება.

◆ **დამსახურებული მსახიობები.** ხელოვნების მთავარ სამმართველომ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე ვ. გუნიასა და გ. ჯაბაურისათვის დამსახურებულ მსახიობის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

◆ **კერძო საცეკვაო სკოლების დახურვა.** ხელოვნების მთ. მმართველობამ დაადგინა მთელ რესპუბლიკაში დაიხუროს კერძო ხასიათის საცეკვაო სკოლები.

თათბირი ვადაგადაცილებული სესხების აკრეფის შესახებ

ა.-კ. სას.-სამ. ბანკში შესდგა—სოფლად ვადაგადაცილებულ სესხების ლიკვიდაციისა და მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის კამპანიის ჩასატარებლათ გამოყოფილი ამხანაგების თათბირი.

თათბირზე ვადაგადაცილებული სესხების ლიკვიდაციის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ა.-კ. სას.-სამ. ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ჩხენკელმა.

მომხსენებელმა დაწვრილებით დაახასიათა ჩვენი სას.-სამ. საკრედიტო სისტემა. მან აღნიშნა:

ჩვენი სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები მეტად დატვირთული არიან სხვადასხვა ოპერაციებით, როგორიცაა; კრედიტის გაცემა ვადაგადაცილებული სესხების აკრეფა, სახ. სესხების რეალიზაცია და სხვა. ეს ხდება იმ დროს, როდესაც მთავრობის დადგენილებით სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა მუშაობა მხოლოდ საკრედიტო ოპერაციებით უნდა განისაზღვრებოდეს.

ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ სესხები მთლიანად ვერ აღწევენ თავის დანიშნულებას და ნაწილობრივათ ხმარდება საკრედიტო ამხანაგობის სხვადასხვა ოპერაციების საჭიროებებს.

გარდა ამისა, არიან ისეთი ამხანაგები, რომელთაც თავის დანიშნულებას გადაუხვიეს. ისინი ხშირათ ბანკიდან მიღებულ გრძელვადიან სესხს გლეხობას მოკლე ვადიანი სესხების სახით აძლევენ. მოკლევადიან სესხში გლეხმა მეტი პროცენტი უნდა გაიღოს და იმავე დროს სესხის დაბრუნებისათვის მეტად მოკლე ვადა აქვს დანიშნული. ეს გარემოება იწვევს დავალიანებას გლეხობაში, ხოლო თუ, რომელიმე გლეხმა დააბრუნა სესხი, ამხანაგობის მიერ დაწესებულ ვადაში, ამხანაგობა აღნიშნულ სესხს არ უბრუნებს ბანკს, რადგანაც მის განკარგულებაში რჩება ის ზედმეტი დრო, რომელიც უნდა მიეცა გლეხისათვის, მაგრამ მან თავის სავაჭრო საქმიანობისათვის მოიხმარა.

არის შემთხვევები, როდესაც სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა მთლიანად არ იძლევა ბანკიდან მიღებულ თანხას. ნაწილს საკრედიტო დანიშნულებით მიღებულ თანხისას იგი იყენებს სხვადასხვა სავაჭრო ოპერაციებისათვის.

გარდა ამ მიზეზებისა დავალიანებას ხელს უწყობენ თვით კრედიტორებიც,—მათ ხშირად შეჰყავთ შეცდომაში ამხანაგობები იმით, რომ დანიშნულების მიხედვით არ იყენებენ მიღებულ სესხებს. აქ ნაწილობრივათ ბრალი მიუძღვით ზოგიერთ ამხანაგებსაც.

ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც საკრედიტო ამხანაგობას არა ჰყავს აღრიცხული. ღარიბი და საშუალო გლეხობა. ამით ისარგებლეს კულაკებმა და ღარიბი გლეხობის ხარჯზე შესძლეს სესხების მიღება. ასეთი მდგომარეობა არ უნდა განმეორდეს.

ყურადღება უნდა მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ ხშირად ერთი ოჯახიდან რამოდენიმეს ერთად გამოაქვთ სესხები. ან ერთ პირს რამოდენიმეჯერ და სხვა ასეთ ფაქტებს.

რაც შეეხება დავალიანების გამორკვევისა და ლიკვიდაციის საკითხს—პირველ რიგში უნდა მოხდეს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობაში მომუშავე პირთა დავალიანების ლიკვიდაცია.

ვადაგადაცილებულ სესხების აკრეფის გარდა, ვადამდე უნდა ავკრიფოთ ისეთი სესხები, რომლებიც მიღებული აქვთ კულაკებს, მოსამსახურეებს, ვაჭრებს, ხელოსნებს და იმ პირებს, რომლებმაც არ შეასრულეს კონტრაქტაცია და აგრეთვე ცრუ კოლმეურნეობებს.

ამხ. ჩხენკელის მოხსენების გარშემო გაიმართა გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ცენტრალურ სას.-სამ. ბანკის წარმომადგენელმა ამხ. შაფერევიჩმა ილაპარაკა მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის და ვადაგადაცილებულ სესხების ლიკვიდაციის შესახებ.

თათბირის დასრულების შემდეგ, დამსწრეთ დაურიგდა ინსტრუქციები და თეზისები ვადაგადაცილებულ სესხების ლიკვიდაციისა და მოსახლეობის სახსრების მობილიზაციის შესახებ.

მიწსახკომის აპარატის რეორგანიზაცია

(მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სპეციალისტების თათბირი)

მიწათმოქმედების სახ. კომისარიატში გაიხსნა სპეციალისტთა თათბირი, რომელზედაც მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის სტრუქტურის შესახებ მოხსენება გააკეთა მიწათმოქმედების სახ. კომისარის მოადგილემ ამხ. ალ. კაჭარავამ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სოფლის მეურნეობის წინაშე დღეს წამოჭრილია მეტად დიდი და რთული ამოცანები, (მისი სოციალისტურ ნიადაგზე გარდაქმნა—კოლექტივიზაცია, მეურნეობის სხვადასხვა დარგების გაძლიერება-გაფართოება და სხ.), რომლების წარმატებით გადაჭრა აუცილებლად მოითხოვს ამ მეურნეობის ხელმძღვანელ აპარატის მუშაობის ტემპის გაძლიერებას და გამარტივებას.

მეურნეობის ცალკე დარგებში (მეაბრეშუმეობა, მესაქონლეობა, მემინდვრეობა, მევენახეობა და სხ.) ახალ ღონისძიებებს პრაქტიკულად ანხორციელებენ სპეციალური ოპერატიული ორგანიზაციები („საქართველოს აბრეშუმი", „საქართველოს ღვინო", კოლმეურნეობათა ცენტრი და სხ.), რომლებიც დამოუკიდებლად ამუშავებენ თავის დარგში გასატარებელ ამა თუ იმ საკითხს და შემდეგ უდგენენ მას განსახილველად მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, რომლის დასტურის გარეშე სოფლის მეურნეობაში არ უნდა განხორციელდეს არც ერთი ღონისძიება. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის ეხლანდელი აპარატი ისეთია, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ყველა აღძრული საკითხების ზედმიწევნით დამუშავება, მათში კორექტივების შეტანა და მით უმეტეს თუ წარმოდგენილი პროექტი ვერ აკმაყოფილებს მეურნეობის მიზნებს, ამავე საკითხზე ახალი (კონტრ) პროექტის შემუშავება, ეს მას არ შეუძლია ჯერ ერთი მის განკარგულებაში მყოფ სპეციალისტების სიმცირის და შემდეგ იმის გამო, რომ თითქმის ყოველი საკითხი იყრის თავს ამა თუ იმ სამმართველოს უფროსებთან, რომლებიც გადატვირთული არიან მუშაობით და საშუალება არ აქვთ ზედმიწევნით დაიმუშაონ რომელიმე ცალკე საკითხი. ამიტომ საჭიროა თვითეული სამმართველოს ნაცვლად მოეწყოს რამოდენიმე ცალკე განყოფილება—სპეციალური საკითხებით, თვითეულ განყოფილებას მიეცეს უფლება უშუალოდ დაამუშაოს ცალკე საკითხები და შემდეგ შეუთანხმონ ეს საკითხები მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის საგეგმო კომისიას, რომელიც ამრიგად შეაკავშირებს ცალკე განყოფილებებს და ყოველ ახალ ღონისძიებას შეუფარდებს როგორც მთლიან სასოფლო მეურნეობის, ისე მისი ცალკე დარგების ამოცანებს. ამასთანავე მომხსენებელი საჭიროდ სცნობს სპეციალისტების კადრის გაძლიერებას ყოველ ცალკე განყოფილებაში.

რაც შეეხება მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის დამოკიდებულებას იმ ორგანიზაციებთან, რომლებსაც კავშირი აქვთ სოფლის მეურნეობასთან (მაგალითად, სას.-სამ. ბანკი), მომხსენებელი საჭიროდ სცნობს, რომ ამ ორგანიზაციების მუშაობა მთლიანად აგებული იქნეს მიწათმოქმედების გეგმაზე. მაგალითად, სას.-სამ. ბანკი ღებულობს მიზნობრივ კრედიტებს, ამ კრედიტების ჯამი და დანიშნულება წინასწარ უნდა ეცნობოს მიწად-მოქმედების სახ. კომისარიატს, რომ მას საშუალება მიეცეს კრედიტები გაანაწილოს მეურნეობის განვითარების მთლიან გეგმასთან შეფარდებით და სხ.

მოხსენების გარშემო გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა. კამათში გამოსული სპეციალისტების ნაწილი გამოსთქვამს აზრს, რომ ცალკე განყოფილებების მოწყობას შეიძლება მოჰყვეს ამ განყოფილებათა მუშაობის შეუთანხმებლობა. კომისარიატის თანამედროვე სტრუქტურის მთავარ ნაკლს ამ აზრის მომხრენი ხედავენ იმაში, რომ სამმართველოების უფროსები არ არიან აღჭურვილი სათანადო უფლებებით და მათ უხდებათ თითქმის ყოველი წვრილმანი საკითხის კომისიასთან შეთანხმება. მათ საჭიროდ მიაჩნიათ სამმართველოების უფროსების უფლებათა გაფართოება, სპეციალისტების კადრის გაძლიერება და თვითოეული მუშაკის უფლება-მოვალეობათა ზედმიწევნით განსაზღვრა. ამ აზრის მოწინააღმდეგენი აღნიშნავენ, რომ ცალკე განყოფილებების მოწყობა დადებით გავლენას მოახდენს, ვინაიდან გააძლიერებს მუშაკების ინიციატივას და თვითმოქმედებას.

იყო აგრეთვე გამოთქმული მოსაზრება, რომ უპირველეს ყოვლისა უნდა მოხდეს ჩვენი სასოფლო მეურნეობის გენერალური გამოკვლევა. მტკიცეთ და ვარკვევით დაისახოს მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების პერსპექტივები და შემდეგ მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის სტრუქტურა შეეფარდოს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარების შესაძლებლობასა და პერსპექტივებს.

შემთხვევები

ბანდიტების თავდასხმა მუშკოოპის ხორცის სექციის კანტორაზე

ა. წ. 24 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, რევოლვერებით შეიარაღებული ორი ბანდიტი **შოთა კონსტანტინესძე მასხულია, და მამია მირიანსძე ჩიგოგიძე** თავს დაესხა მუშკოოპის ხორცის სექციის კანტორას. (ბაზრის ქ.) ბანდიტებმა კანტორაში შესვლისთანავე ჩაიკეტეს კარები და გაეშურენ მოლარისკენ. მათ მოულოდნელად გზაზე გადაეღობა კანტორის მოდარაჯე მილიციონერი **ბეპიევი.** მაგრამ მათ მოახერხეს მისი განიარაღება. სალაროში იყო ოცი ათას მანეთზე მეტი. ფულის ნაწილი ელაგა მაგიდაზეც. მასხულიამ, რომელიც სალაროსთან მოშორებით იდგა, უბრძანა ჩიგოგიძეს ფულები ჯიბეში ჩაედო, მაგრამ ჩიგოგიძემ ამ საქმის შესრულება მიანდო თვით მასხულიას. როდესაც ბანდიტები ერთმანეთს ედავებოდენ, მილიციონერმა ბეპიევმა სცადა ხელი წაევლო თავის რევოლვერისათვის, ეს შენიშნა მასხულიამ, რომელმაც მოკვლის მიზნით რევოლვერი ესროლა მილიციონერს. მილიციონერი დაიჭრა, ტყვია მოხვდა აგრეთვე ბანდიტ ჩიგოგიძესაც; როცა მასხულიამ დაინახა თავისი ამხანაგის დაჭრა, თვით შეეცადა გაეტაცებია ფული, მაგრამ ველარ მოასწრო. ხმაურობაზე მიცვივდნენ გამვლელები, აცნობეს თბილისის სისხლის სამართლის მილიციას, რომლის წარმომადგენლები საჩქაროდ გამოცხადნენ შემთხვევის ადგილზე. დაჭრილმა ჩიგოგიძემ განიზრახა მიმალვა, მაგრამ იგი იქვე დააპატიმრეს. მასხულია კი მიიმალა.

ბანდიტი მასხულია გუშინ დააპატიმრა სისხლის სამართლის მილიციამ. გამოირკვა, რომ იგი იმალებოდა ხუდადოვის ტყეში.

როგორც ირკვევა, მასხულიამ და ჩიგოგიძემ იცოდნენ, რომ თავდასხმის დღეს სალაროში დიდი თანხა იქნებოდა. სისხლის სამართლის მილიციის მუშაკებს აქედან ის დასკვნა გამოჰყავთ, რომ ბანდიტები მოქმედებდნენ წინასწარ შემუშავებული გეგმით; დადიოდნენ კანტორაში და თვალყურს ადევნებდნენ სალაროს მდგომარეობას.

ორივე ბანდიტს თბილისში აქვთ აზიური ფეხსაცმელების სახელოსნო.

მცირეწლოვანის გახრწნა

გუშინწინ საღამოს, კოჯორის გზაზე ავტომობილით მიმავალმა შოფერმა ლადო კიპაროიძემ შეამჩნია, რომ ვიღაც უცნობი პირები სქესობრივ კავშირს იჭერდენ მცირეწლოვან ბავშვთან. შოფერმა გააჩერა ავტომობილი; ბოროტმოქმედებმა შენიშნეს ეს და მიიმალენ. მცირეწლოვანი პ. კ—ი (მცხ. დიდუბეში) უგრძნობ მდგომარეობაში გადაგზავნეს მე-4 სამილიციო კომისარიატში. საექიმო შემოწმებით იგი მთვრალი აღმოჩნდა. როგორც ირკვევა, კ—ი ბოროტმოქმედებმა გაიტყუილეს კოჯორის გზაზე, დაათვრეს და დაიკავეს მასთან სქესობრივი კავშირი. მიღებულია ზომები ბოროტმოქმედთა დასაპატიმრებლად.

ქურდების დაპატიმრება

დაპატიმრებულია ანდრონიკ გრიგოლისძე ჩირადაღიანი, რომელმაც ამიერ-კავკასიის საგზაო-სატრანსპორტო კოოპერატივის მაღაზიიდან (საბაჟოს ქ.), მოიპარა სხვადასხვა ნივთები.—დაპატიმრებულია აგრეთვე მცირეწლოვანი სერგო ჩახიანი და სურენ არტაშესძე გრიგორიანცი, რომელთაც ბრალდებათ ქურდობა და ჯიბგირობა.

დედის დაჭრა

არაქელა ენუქოვმა ჩხუბის დროს ხანჯლით მძიმედ დასჭრა თავისი დედა მონასი სარქისის ასული ენუქოვი (მცხ. რიყის ქ., 81), რომელიც გადაგზავნეს საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

სახელგამში

წიგნის გავრცელების კამპანია

ს. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ცირკულიარის თანახმად სახელგამი შეუდგა სოფლად წიგნის გავრცელების კამპანიას. ამ მიზნით მან გაგზავნა კახეთის ოლქში ექვსი ინსტრუქტორი, ინსტრუქტორებს ევალება წიგნის გავრცელების კამპანიის ჩატარება და წიგნის დამტარებელთა ინსტიტუტის მოწყობა.

წიგნის დამტარებელთა ორგანიზაციებით უნდა მოიფინოს საქართველოს რესპუბლიკის ყველა კუთხეები, რომ მათი საშუალებით, უშუალოდ ხდებოდეს ფართო მოსახლეობისათვის საჭირო ლიტერატურის მიწოდება. წიგნის დამტარებელთა მოსამზადებლად ინსტრუქტორები მოაწყობენ რაიონებში მოკლევადიან კურსებს, სადაც მსმენელებს გააცნობენ მუშაობის მეთოდებსა და პირობებს. ინსტრუქტორებს ევალებათ აგრეთვე დააჩქარონ პარტიულ კომიტეტების მიერ წიგნის ორგანიზატორების გამოყოფის და „წიგნის მეგობართა საზოგადოების" შექმნის საქმე.

ეროვნულ უმც. რაიონების ლიტერატ. და სასწავლო ნივთებით უზრუნველსაყოფად სახელგამმა ახალციხეში და ლიუქსემბურგში გახსნა თავის განყოფილებები, სადაც გადაგზავნილია წიგნები ქართულ, რუსულ, თურქულ და სომხურ ენებზე.

განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე

სახელგამის თბილისის მაღაზიები, სახელოსნო და სამმართველო, ა. წ. 20 ოქტომბრიდან გადავიდენ განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები

სახელგამმა დაბეჭდა სასწრაფო წესით და დაუგზავნა ყველა სამაზრო პოლიტგანებს წ.-კ. უც. სკოლების სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

—:—

— მომავალი 1930 წლის იანვარში სრულდება 15 წელი მგოსან აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან. სახელგამი ამ დღისათვის ამზადებს ვრცელ მონოგრაფიას მგოსნის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 26 ოქტომბერი

დღეს თბილისის რადიო-ცენტრი გადასცემს შემდეგ რადიო-პროგრამას:

საღამოს 5 საათიდან—რადიო-გადაცემა ბავშვებისათვის; კონცერტი; რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე; სოფლის საათი—ქართული მუსიკის კონცერტი; ექიმის საუბარი—„მუცლის ტიფი"—რუსულ ენაზე; ინფორმაციისა და ცნობების გადაცემა; რადიო-გაზეთი—რუსულ ენაზე; კონცერტი; უკანასკნელი ამბები.

შრომის ბირჟაში

ჩამოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევრებს:

რკინისგზელთა სექციიდან: ალექსანდრე ქოთანაშვილი, გიორგი აბაშვილი, ამალია სავიცკაია, აოუსიაკ მელიქ-გრიგორიანცი, თამარა დევდარიანი, ალექსანდრა გიცალსკაია, ელენე ისინკალელი.

გონებრივ მუშაკთა სექციიდან: ნადეჟდა სამელევსკი, ალექსანდრე ბარამიძე, შალვა წულაია, გენცი ლუსაბერიძე, ანა ბუხნიკაშვილი, მიხეილ გურგენიძე, ოტია ზანდუკელი, გიორგი სუხიშვილი, დავით პაიჭაძე, სერგო ხასარაძე, ალექსანდრე ზარაფოვი, არსენ ტურასატოვი, აკაკი რუხაძე, სოფიო ჯანაშვილი.

კვალიფიციურ მუშათა სექციიდან: მიხეილ მირზოევი, ანტონ ანთაძე, შალვა ხუციშვილი, რუბენ ტატიევი, ელენე გრიშინა, მნაცაკ აკოფოვი, მიხეილ მკაშიანი, არმენ კოპჯანოვი, გიორგი ჩიხლაძე, დავით კარსონიძე, ანტონ არჩვაძე, ბესარიონ მალდვინაშვილი, რუბენ სამჩიანცი, ივანე ხიზელაშვილი, ნიკოლოზ მიქელაძე, მიკირტიჩ გრიგორიანცი, გიორგი ავაქოვი, გიორგი აბავიაშვილი, იოსებ ვეზერაშვილი, რუბენ ზურაბოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. კ. ცკას სოფლად მუშაობის განყოფილებაში, (ოთახი № 4), დღეს, დილის 9 საათზე **შესდგება თათბირი,** რომელზედაც მიწვეული არიან შემდეგი ამხანაგები: „**კომუნისტის**" რედაქციიდან—ამხ. **კიკნაძე, ჭყონია, გვაზავა, ელიაძე,** სოფ. მუშ. განყოფილებიდან—ამხ. **არუთინოვი, ხოშტარია, მესხი, კვირიკაშვილი;** ცკას აგიტპროპგანყოფილების სიტყვის განყოფილებიდან—ამხ. **ბედია;** მიწსახკომიდან—ამხ. **კაჭარავა,** ცაკიდან—ამხ. **ქუჩულორია,** მიწა-ტყის კავშირიდან—ამხ. **სიხარულიძე,** სოფლის კავშირიდან—ამხ. **გვარამია.**

—:—

დღეს, 26 ოქტომბერს, დღის სრულ 12 საათზე შესდგება **სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის** (მეოთხე უჯრედის) **ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს** გაფართოებული სხდომა—უჯრედის აქტივისა და პედ. ფაკ. პროფკომის კომფრაქციასთან ერთად.

სხდომაზე აუცილებლად უნდა დაესწრონ პედ. ფაკულტეტის სამეცნიერო-აკადემიური წრეებში მომუშავე კომუნისტ კომკავშირელი ამხანაგები.

—:—

ხა.ლ.კ.კ. თბილისის საოლქო კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა შესდგება კვირას, 27 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე. სხდომას უნდა დაესწრონ მიმღები კომისიის ყველა წევრები და ის ამხანაგები, რომლებიც უნდა დაამტკიცოს ს.ა.ლ.კ.კ თბილისის საოლქო კომიტეტმა.

—:—

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის საოლქო კომიტეტის საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება, სთხოვს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, შაბათს—26 ოქტომბერს, შუადღის 12 საათისათვის გამოცხადდენ ამხ. **ავეტისოვთან** (ოთახი № 66).

კამკამიძე (მთავ. ტელეგრაფი), კუპრავა (მთავარი ფოსტა), ეოისთავი (მუშკოოპი), მარკმანი (პროფსაბჭო), უნგიაძე, ავაქოვი (თბ. აღმასკომი), დვარელიძე (საბინაოკოოპ. კავშირი), მარიამიძე (ტრამვაი), ფანცხავა (თბ. აღმასკ. ჯანმრთ. განყოფილება), დარახველიძე (იუსტ. სახ. კომისარიატი), კაჭარავა (მიწსახკომი), ხმალაძე (თბ. აღმ. ადმ. განყ.), თხილავა (თბ. ადგ. მრეწ. განყოფილება), სიხაშვილი (მეხანძრეთა რაზმი), ბირიუკოვი (თელასი), ელიაშვილი (კომუნალ. სახ. სამართ.) და თავდგირიძე (წყალსადენი).

—:—

დღეს, 26 ოქტომბერს, საღ. 5 საათზე შესდგება **ს. ს. ა. ი. მექანიკური ფაკულტეტთან არსებულ ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიუროს სხდომა.** სხდომაზე უნდა გამოცხადდენ აგრეთვე შემდეგი ამხანაგები: ნეფარიძე ერასტი, ეორდანია ივანე, ჩიგოგიძე შ., შენგელია გ., რევლიშვილი არჩილ, მამულაშვილი შ., ხუბუტია შ., ხუსკივაძე, მხაჩიან ვართან.

საქ. კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი იუწყება ძველი რევოლიუციონერ-ბოლშევიკის საქ. კომპარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის და სომხეთის კომპარტიის (ბ) ცკას პრეზიდიუმის წევრის

ამხ. ა. მრავიანის

უდროოდ გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები: არჩილ, თამარ, ირაკლი, ქეთო, ნინო, რუსუდანი, გიორგი და ელო, რძლები: ბარბარე, ლიუდმილა და ნინა, სიძეები: ივანე ეპიტაშვილი და გოგი გუგუნავა და შვილიშვილები აუწყებენ საზოგადოებას, რომ

ნიკოლოზ იაკობის-ძე ავალიშვილის

ხსოვნის აღსანიშნავათ 27 ოქტომბერს, 4 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. ნ. 3311

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დავითი და ელენე, დები: ქეთევანი და გოცა, ძმები: ვახტანგი და სანდრო შენგელიები, ბაბუა იოსებ ტყაბლაძე, დეიდა პაშა გევიშიძისა, ბიძები: საბა და თედორე, ბიცოლა ნატაშა, ბიძაშვილები: ოთარი და ნუნუ შენგელიები აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს, რომ ა. წ. 25 ოქტომბერს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ნინო შენგელია

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 4 საათზე, ბორჯომის ქუჩა, № 12. გასვენება ქუთაისში საღამოს 6 საათზე. 3620

განათლების სახალხო კომისარიატის რკინის გზის სოცაღზრდის განყოფილება ღრმად მწუხარებას გამოსთქვამს თბილისის რ/გ. მე-8 დასაყრდენ სკოლის საუკეთესო მასწავლებელ

ნინო შენგელიას

გარდაცვალების გამო. 3622

რკ. გზ. მე-8 სკოლის პედსაბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მასწავლებელი

ნინო შენგელია

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 5 საათზე ბორჯომის ქუჩა, № 12, გამოსვენება ბინიდან ქუთაისში წასასვენებლად 6 საათზე 3618

რკ. გზ. მე-4 შრ. სკოლის პედაგოგიური საბჭო და ადგილკომი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას რკ. გზ. მე-8 სკოლის მასწავლებლის

ნინო შენგელიას

უდროოდ გარდაცვალებას. (ე)

დამწუხრებული შვილები გიორგი, ტროფიმე, სიმონ, ნინო და გედეანი, რძლები ეპრაქსი, ელენე და თამარი შვილებითურთ იუწყებიან, რომ მათი საყვარელი მამის

ირაკლი შევარდენის-ძე ხუნდაძის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ვერის ახალ სასაფლაოზე კვირას, 27 ოქტომბერს, 12 საათზე. 3617 2—1

დამწუხრებულნი მეუღლე ეკატერინე, რძლები: ნინა, ქეთო და შვილიშვილი ივანე მიქელაძეები, ძმა გიორგი, დები: თეკლე, ანა, და ირინე, დისწულები: ლიზა, კეკულია, სამსონ, მაკარა და ნიკოლოზ მასიძეები, გარსევან და გიორგი თოთაძეები, იულია გაბრიელოვი, ელისაბედ ხარატოვი, მარიამ სიდამონიშვილი, ივანე და გიორგი გორგაძეები, ნატო ხადურიშვილი, ძმისწულები: გიორგი, მოსე მიქელაძეები, კატო ტარასოვა, დეიდაშვილები გიორგი და ბაგრატი ნათენაძეები, მარო ჯავახიშვილი და ილია მაღრაძე იუწყებიან, რომ უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

სტეფანე მოსეს-ძე მიქელაძე

გამოსვენება კვირას, 27 ოქტომბერს, 10 საათზე—ბინიდან ირაკლის ქ., № 11. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 3614

დამწუხრებულნი მეუღლე მარიამ ბურჯანაძისა შვილებით: კიკილა და ბუკური, დები: გულჩინა ხაზარაძისა შვილებით, თეო ზურაბოვისა შვილიშვილით და ნიფადორა კვიცარიძისა ქმრით, ძმა სამსონი, დისშვილი კალინკა და პახუმი მარგველაშვილი ოჯახობით იუწყებიან, რომ 23 ოქტომბერს, ტრაღიკულად გარდაიცვალა

იასონ გაიოზის-ძე ბურჯანაძე

სამოქალაქო პანაშვიდი ლენინის ქ. № 55, 5 საათზე. დაკრძალვა საფირჩხის სასაფლაოზე კვირას, 27 ოქტომბერს 4 საათზე. ნ. 3307

ღრმათ დამწუხრებულნი დედა ანეტა, ბიძა ვასილ ნასიძე მეუღლე თამარით, დეიდა სოფო ჟუკოვისა მეუღლე პეტრეთი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტი

შალიკო ნაცვლიშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე საკუთარ ბინაზე—საბჭოს ქ. № 59. დაკრძალვა 28 ოქტომბერს, ვერის ახალ სასაფლაოზე. გამოსვენება 4 საათზე. (ე)

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი დედა ელპიტი, ძმა კოლია (გიორგი), დისწული ეთერი აუწყებენ საზოგადოებას საყვარელ

ფოდო კუკულაძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება მოხდება კვირას, 27-ს, ოთხ საათზე ქ. ოზურგეთში. (ა)

დამწუხრებულნი მშობლები: მინაგო და მარიამ, მეუღლე არიადნა შვილებით, ძმა საშიკო, რძალი სოფიო, დები: ფაცია და გალინა, სიძე ივანე ჩხეიძე შვილებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ვლადიმერ (ლადიკო) კანდელაკი

დაკრძალვა კვირას, 27 ოქტომბერს, სოფ. ბზვანში. 3624

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930
ნ. 3309

კვირას, 27 ოქტომბერს, პრემიერა ვ. კირშონი **ქართა ქალაქი** სერია ბ 1-ლი აბონემენტის 1 წარმოდგენა 3 ნაწ. დ 16 სურ. თარგ. ს. შანშიაშვილის და ალ. ბოკერიასი. დადგმა ალ. ახმეტელის. მუსიკა—გოკიელის. რეჟ. თანაშემწე—ია ქანთარია. მხატვარი—ირ. გამრეკელი. დირიჟორი—გრ. კილაძე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

თეატრის დირექტორი, სამხატ. ნაწილის გამგე და მთავარი რეჟისორი ალ. ახმეტელი.
დარჩენილი ბილეთები თეატრის სალაროში.

რუსთაველის თეატრი სეზონი 1929-30 წ.წ.

სეზონის გახსნა

შაბათს, 26 ოქტომბერს,
სერია „ა" 1-ლი აბონემენტის 1-ლი წარმოდგენა.
პრემიერა **ვ. კირშონი**

„ქართა ქალაქი"

3 ნაწილად და 16 სურათად, თარგმანი ს. შანშიაშვილის და ა. ბოკერიასი
მუსიკა ივ. გოკიელის.
დადგმა—ალ. ახმეტელის
მხატვარი—ირ. გამრეკელი
მუსიკალური ნაწილის გამგე—გრ. კილაძე
რეჟ. თანაშემწე—ია ქანთარია.
დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე.

თეატრის დირექტორი, სამხატვრო ნაწ. გამგე და მთავარი რეჟისორი
ალ. ახმეტელი

თეატრის ინსპექტორი ქ. ცელმს. ნ. 3303 2—2

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—64.

დღეს, შაბათს, 26 ოქტომბერს
სადებიუტო წარმოდგენა
სამ დიდ განყოფილებათ
განახლებული პროგრამა. თბილისში პირველად გამოდიან გლადიატორები ტრიო კორადო. პირველად პა-დე-დე კალისისა და ალექსანდრეს პლასტიური ცხენოსნობა.
ა. ვ. ლაპიადოს მიერ ახლად გაწვრთნა, დ აგრეთვე ცირკის შემადგენლობის სხ. ნომრები.
წარმოდგენის დასაწყისი საღამოს 8 ნახ. საათზე. აბონენტები და ყველა შეღავათიანი ბილეთები გამოდგება.
კვირას, 27 ოქტომბერს, დიდი საბავშვო დილა.
დასაწყ. ნაშუადღევის 2 საათზე. ბავშვებს, რომლებიც მოზრდილთ მოჰყვება, შესასვლელი ფული არ გადახდებათ.
ნ. 3301 3—2 **დირექცია.**

— თბილისში —

ამ.-კავკ. მებამბეობის კომიტეტთან

ა. წ. 25 ნოემბრიდან

იხსნება

ერთწლიანი კურსები

(6 თვე თეორია და 6 თვე საწარმოო პრაქტიკა) **მებამბეობის აგრონომ-სპეციალისტების მოსამზადებლად** იმ პირთა წრიდან, რომელთაც აქვთ დამთავრებული სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი განათლება (შეიძლება მიღებულ იქნან დიპლომანტებიც). კონტრაქტაციის საფუძვლებზე (120 მან. თვეში). თბილისის გარედ მცხოვრებ პირებს აუნაზღაურდებათ თბილისამდე ჩამოსვლის ხარჯი და საშუალება ეძლევათ ისარგებლონ საერთო საცხოვრებლით. კურსების დამთავრების შემდეგ აგრონომებმა ერთი წლის განმავლობაში უნდა იმსახურონ მებამბეობის ორგანიზაციებში, სადაც მათ ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი დანიშნავს.

განცხადებები მიიღება ა. წ. 10 ნოემბრამდე

განცხადებები უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: თბილისი, ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი, სასოფლო-სამეურნეო განყოფილება. ნ. 3306 3—1

ექიმი
კ. ს. ფონ-ირტელი
(პლეხანოვის პროსპ., № 10).
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება), ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს, კანის და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე, ბუასილი). ელექტრომკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფი მამაკაცების და ქალების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და საღამოს 4-დან 8 საათამდე.
13—6

თვალის ექიმი
მ ა ლ ა ე ვ ი
ღებულობს ავადმყოფებს საღ 6—7 ს. კლარა ცეტკინის ქ. (ყ. ელისაბედის) № 47.
ტელ. № 590. 25—1

აპოლო	ოლღა ჟიზნევა თანამედროვე კინო სატირაში **უცხო ქალი**
პალასი	პრემიერა—მხატვრული ფილმი **უკანასკნელი ატრაქციონი**
ხოლეი	ნინალი სურათში **მონასტრის ზღუდეებს შორის**
არფასტო	დუგლას ფერბენქსი სურათში **ზეროს ვაჟი**
მინიონი	პრემიერა **სოლოვკი** (სოლოვკის განსაკუთრებული დანიშნულების ბანაკი)
დარბაზი	უცხოეთის მხატვრული დრამა **ცათამჯენი** პროგრამის გარეშე ავტორ-იუმორისტი სავოიაროვი.

მალე: „წინა დღით" დ „დიდებით მოჭარბენი".

კინო-სოლეი
ორშაბათიდან
28
ოქტომბრიდან
გრანდიოზულად დადგმული ფილმი

მებადურის შვილი

დადგმა რეჟისორ **ივანოვსკის**
ნ. 3308

ა. წ. 25 ოქტომბერს ბათომიდან თბილისში მიმავალ მატარებელში **მოიპარეს ჩემოდანი** ნივთებით და პარტიული დოკუმენტებით. თხოვნაა: დაგვიბრუნონ დოკუმენტები შემდეგი მისამართით: ერევანი, „ბიგიუხკოოპი" **ნიკოლოზ რაზნოგლაზი-დადივანოვს.**
3621

მათემატიკოს მასწავლებელი
ივ. მაჩაიძე
ამზადებს გერმანულში, რუსულსა და მათემატიკაში
(არითმეტ., ალგებ., გეომეტ., ტრიგონ., სიმწიფ. მოწმ. უმაღლ. სასწავ. მე-9 და მე-10 ჯგუფ. შესასვლელად და ყველა საგნებში 7-წლედის ყველა ჯგუფ., მუშფაკ., სპეც. ტეხნიკ. (ინდუსტ. ქიმ. და ფარმაც.), ვასწორებ სუსტსა და ჩამორჩენილ მოწაფეებს. შესავალი პლეხანოვის პრ. № 25 და ჩერნიშევის ქუჩის კუთხიდან № 5. 9—12 საათ. 4—6 საათ.
8—2 3583

ექიმი
არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა და ღებულობს ქალთა ავადმყოფებს დილის 8 ს.—12 საათამდე, საღამოს 4 ს.—7 საათამდე. ლენინის ქუჩა № 35 (ყოფილი ოლღას). 3219 25—1

გამოვიდა და დაურიგდება ხელის მომწერლებს ჟურნალი

„საქართველოს ეკონომისტი" № 9

(ქართულ და რუსულ ენაზე)

შინარსი:

I სტატიები:

როგორ მიმდინარეობს სოციალისტური შეჯიბრება ჩვენში.
ს. გერასიმოვი—განუწყვეტელი საწარმოო წელიწადი და მისი განხორციელება საქართველოს მრეწველობის პირობებში.
ირ. მიქელაძე—საქართველოს სრ-ის მრეწველობის ენერგეტიული რეკონსტრუქციის საკითხისათვის.
პროფ. ი. ქუთათელაძე—ფარმაკო-ქიმიური მრეწველობის პერსპექტივები საქართველოში.
გ. სარუხანოვი—კოლმეურნეობის მშენებლობის პირველი შედეგები.
პროფ. პ. ვინოგრადოვ-ნიკიტინი—კავკასიის მოცვი, როგორც ჩაის სუროგატი.
შ. აბულაძე—მატყლის სტანდარტიზაცია და ფასების პოლიტიკა.

II. თეორიული განყოფილება:

კ. ორაგველიძე—პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები გარდამავალი პერიოდის პირობებში.

III. ადგილობრივი მეურნეობა:

გ.—საზაფხულო საძოვრები შორაპნის მაზრაში.

IV. პრესა, ინფორმაცია:

V. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია:

1) ი. ლაპიდუსი და ოსტროვიტიანოვი. პოლიტიკური ეკონომია საბჭოთა მეურნეობის თეორიასთან დაკავშირებით—ვ. ს. ბახტაძე. 2) გოდაბრელიძე. სახალხო მეურნეობის 5 წლიანი გეგმა. მრეწველობის მართ. მოწესრიგებისა დ ერთმმართველობის შემოღების შესახებ—გ.-კე. 3) ჟურნალი „Проблема Китая" № 1—ი. ნ. 3310

---

100 **КАРТИН**

Подпишитесь на „Художественные сокровища СССР", состоящие из 100 больших многокрасочных картин и представляющих собой точные копии с лучших мировых произведений, хранящихся в Третьяковской галлерее и других государственных музеях. „Художественные сокровища СССР" выходят выпусками по 4 картины. Все картины печатаются на прекрасной бумаге, наклеенной на паспарту, размером 36×47 см. К каждой картине дается об'яснительный текст, биография и гравюра автора.

ХУДОЖЕСТВЕННЫЕ СОКРОВИЩА СССР

Цена за все 100 картин и ящиком прочном переплете—75 рублей. Условия рассрочки: при подписке—5 рублей, а остальная сумма взносами по 3 руб. 50 коп. по получении каждого выпуска (первый выпуск высылается немедленно) пересылка 38 коп. за выпуск. Уплатившие всю подписную плату вперед получат переплет с первым выпуском и за пересылку не платят. Подписку адресовать: Москва, 6, Цветной бульв., 25, Художественному Акционерному Издательскому Обществу АХР.
2—1

კბილის ექიმი
ა. ზ. სოლოლაშვილი
დაბრუნდა.
რუსთაველის გამზირი № 122

დაიკარგა ცხენი

შემდეგი ნიშნების: მარცხენა თვალი ამოშრეტილი აქვს, ოქროს ფერი, მსუქანია. გთხოვთ თუ ვინმემ ამის შესახებ იცის რამე, აცნობონ კოლა მიხეილის-ძე როსტიაშვილს სოფ. ძეგვში. 3614

ქვემო ჩამოთვლილი დოკუმენტები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- საფინანსო კურსების 2 წლიანი მოწმობა № 10 და აბაშის ტეხნიკუმის დამთავრების მოწმობა № 56—ნიკოლოზ გრიგოლიას სახელზე. 3389
- საამშენებლო კავშირის წიგნაკი № 13/28807 სანდრო გიორგის-ძე ფხაკაძეს სახელზე. 3612
- კომკავშირის მოწმობა № 37786 და სასწავლებლის მოწმობა, გაცემული წინამძღვრიანთკარის სასოფლო სამეურნეო სკოლის მიერ, № 29/274—ნიკოლოზ ჩხუტიშვილის სახელზე. 3615
- „ზაკტპოს" საწევრო წიგნაკი—კლემენტი არსენის-ძე ცინცაძეს სახელზე. 3616
- მუშკოოპის წიგნაკი № 35909—ნ. მგელაძეს სახელზე. 3616
- კავშირის წიგნაკი № 2472—ლევან მიხეილის-ძე ციმაკურიძეს სახ. 3619
- მარნის თემაღმასკომის მიერ მოცემული № 21 და № 22 ხარების მოწმობები გიორგი ჯღამაძეს სახელზე. 3623
- სამხედრო სააღრიცხვო ბარათი № 122/116 გრიგოლ უფლისას-ძე კამიძეს სახელზე. 3623

სავალდებულო დადგენილება № 112

თბილისის საბჭოს პრეზიდიუმისა

1929 წ. ოქტომბრის 22, ქ. თბილისი.

ძაღლებისა და სხვა შინაურ ცხოველთა ცოფიანობის მოსპობის და საწინააღმდეგო ზომების მიღების შესახებ და თავდაცვის საჭიროებისათვის სამხედრო-საგუშაგო ძაღლების მოშენების წასაქეზებელი ზომების შესახებ.

ძაღლებისა და სხვა შინაურ ცხოველთა ცოფიანობის მოსპობის და საწინააღმდეგო ზომების მიღების მიზნით, და აგრეთვე სამხედრო-საგუშაგო ძაღლების მოშენების წასაქეზებლად თბილისის საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

I.

1) ევალება შინაურ ცხოველთა ყველა პატრონს, როგორც ცხოველის ცოფით დაავადების, ისე მისი სხვა ცოფიან ცხოველის დაკბენის შემთხვევაში და იმ შემთხვევაშიაც, თუ ეჭვი იბადება, რომ ის დაკბენილია ცოფით ავადმყოფი ცხოველის მიერ, დაუყოვნებლივ აცნობოს ერთ-ერთ ქვემოთ აღნიშნულ დაწესებულებას:

ა) ადგილობრივ საუბნო ვეთიალს;
ბ) თბილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების სავეთილო ქ.-განყოფილებას;
გ) მილიციის ადგილობრივ განყოფილებას.

2) ძაღლების პატრონებს ევალებათ:

ა) გაატარონ თავისი ძაღლები რეგისტრაციაში თბილისის აღმასკომის სამიო სექციაში (მადათოვის ქ. № 1) ორი კვირის ვადაში დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა და მიიღონ დაწესებული თუნუქა (ბლიახა).

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება სამხედრო საგუშაგო ძაღლებზე, რომელნიც ტარდებიან რეგისტრაციაში § 3-ის მიხედვით;

ბ) ეზოებში კიბეზე და ქუჩაზე უმეთვალყუროდ გაშვება შეიძლება მხოლოდ დრუნჩაკრულ ძაღლებისა;

გ) დრუნჩაკრულ ძაღლების გარეთ გამოშვება შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ისინი უკავიათ ხელში ჯაჭვზე მიბმული;

დ) ეზოს ძაღლები უნდა იყვენ მოთავსებული ეზოში და მიბმული მაგრად მოკლე ჯაჭვზე. ჯაჭვი უნდა იყოს იმ სიგრძის, რომ ძაღლმა ხელი არ შეუშალოს სადგომში თავისუფალ შესვლას.

II.

3) სამხედრო-საგუშაგო ძაღლების რეგისტრაცია უნდა გატარდეს თავდაცვა ავიაქიმის თბილისის საბჭოში, სადაც ძაღლების მეპატრონეები მიიღებენ განსაკუთრებულ მოწმობებს (დასაცველი სიგელი) და ამის გარდა სპეციალურ ნომრებს, რომელნიც უნდა იქნენ ყელსაბამზე მიმაგრებული.

შენიშვნა 1. რეგისტრაციაში უნდა იქნენ გატარებული შემდეგი ჯიშის ძაღლები: 1) ლაიკები, 2) კავკასიის, რუსული, გერმანიის, შოტლანდიის (კოლი) სამწყსური ძაღლები, 3) დობერმან-პინჩერები, 4) ერდელ-ტერიერები, 5) რიზენ-შნაუცერები, 6) როტვეილერები, 7) დოგები, 8) ბოქსიორები, 9) სენბერნარები, 10) მასტიფები.

შენიშვნა 2. რეგისტრაციაში არ ტარდებიან ძაღლები შემდეგ ძაღლის საშენების: სახელმწიფო - პოლიტიკურ სამმართველოსი, სამხედრო-უწყების, შინაგან საქმეთა კომისარიატის, საგუშაგო ჯარის და თბილისის სისხლის სამართლის მილიციისა.

4) სამხედრო-საგუშაგო ძაღლები, რომელნიც აღჭურვილნი არიან § 3-ში ნაჩვენები ნიშნებით, უნდა იქნენ განსაკუთრებულად დაცულნი დარაჯების, მეეზოვეების და მილიციის უწყების მიერ. აღნიშნული პირები ვალდებულნი არიან დაჭერილი სამხედრო-საგუშაგო ძაღლი დაუყოვნებლივ წარადგინონ მილიციის უახლოეს რაიონში, საიდანაც მორიგმა უნდა აცნობოს თავდაცვა-ავიაქიმის სამდივნოს დაჭერილ ძაღლის ნომერი პატრონის მოსანახავად.

5) სამხედრო-საგუშაგო ძაღლები დაჭერისთანავე უნდა იქნენ წარდგენილი დამჭერებას მიერ მილიციის უახლოეს რაიონში ან და გადაცემული პატრონისადმი თუ უკანასკნელი წარმოადგენს § 3-ში აღნიშნულ მოწმობას.

6) საერთო ბინებში სამხედრო-საგუშაგო ძაღლების ყოლა-შენახვა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ თავდაცვა-ავიაქიმის მიერ მიცემული იქნება ცნობა, რომ დასახელებული ძაღლი საკმაოთ დაგეშილია და მცხოვრებთათვის უვნებელია.

III.

7) სახლების სამმართველოებს ევალებათ თვალყური ადევნონ ამ სავალდებულო დადგენილების 1, 2, 3 §§-ის შესრულებას და ამ მუხლების ყოველგვარი დარღვევა აცნობონ § 1-ში აღნიშნულ ერთ-ერთ დაწესებულებას.

8) ძაღლები სანადირო და სამხედრო-საგუშაგოების გამონაკლისის, რომლებიც აღმოჩნდებიან საზოგადო მნიშვნელობის ადგილებზე (ბაზრები, მოედნები, ბაღები, ქუჩები და სხ.) და არ ექნებათ სადრუნჩე, ან ჯაჭვით არ ეკავებათ ხელში, უნდა ჩაითვალოს მაწანწალა ძაღლებათ თუნდაც მათ ჰქონდეთ საყელური და დაუყოვნებლივ უნდა იქნენ დაჭერილი და გადაგზავნილი მოსასპობათ.

შენიშვნა. სანადირო და სამხედრო-საგუშაგო ძაღლები, თუ თავის დროზე არ იქნენ მოთხოვნილი პატრონების მიერ, შესაძლოა გადაეცეს დაინტერესებულ სახელმწიფო დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ან და შესაძლოა იქნენ გაყიდული.

9) მაწანწალა ძაღლების დაჭერა და მოსპობის საქმის მოგვარება ევალება თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებას.

10) დაჭერილ უნდა იქნეს ყველა მაწანწალა ძაღლები, ე. ი. ისეთი, რომლებიც გამოჩნდებიან ქუჩებზე, მოედნებზე, საბაზრო ადგილებზე, ბაღებში და სხვა საზოგადოებრივ მნიშვნელობის ადგილებზე თუ მათ არ აქვს სადრუნჩეები ან თუ ისინი ჯაჭვით არ ეკავებათ ხელში.

11) მაწანწალა ძაღლების დაჭერა სწარმოებს ყოველ დღე 1-ლ აპრილიდან 1-ლ ოქტომბრამდე დილის 4-დან საღამოს 7 საათამდე, ხოლო 1-ლ ოქტომბრიდან დილის 5 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

შენიშვნა: რაიონებში, როგორც, მაგალითად, საბაზრო ადგილებზე, სადაც დაგროვილი იქნება მაწანწალა ძაღლები, ან იქ, სადაც შენიშნულია ცოფიანობის შემთხვევები, ძაღლების დაჭერა შეიძლება ყოველ დროს დღე და ღამის განმავლობაში.

12) საუბნო ვეთილის განკარგულებით და აგრეთვე, მილიციისა და სახლის სამმართველოს წინადადებით, ძაღლების დაჭერა შეიძლება ეზოებშიაც და ყოველ დროს. ამასთანავე სახლის სამმართველოებს და საბაზრო კომიტეტებს ევალებათ აცნობონ რეგისტრაციაში გაუტარებელ და მაწანწალა ძაღლების შესახებ, რომელნიც იმყოფებიან ეზოებში ან საბაზრო-მოედნებზე, § 1-ში აღნიშნულ რომელიმე დაწესებულებას.

13) ძაღლების დაჭერა სწარმოებს ბადეების, მარყუჟების, რკინის გაზების და სხვ. საშუალებით.

14) დაჭერილი ძაღლები უნდა წარდგენილ იქნენ ქალაქის სასაკლაოს საუტილიზაციო ქარხანაში.

15) 1, 2, და 3 §-ის შეუსრულებლობისათვის ძაღლების პატრონები და აგრეთვე სახლების სამმართველოების და საბაზრო კომიტეტების პასუხისმგებელნი პირნი, რომელნიც არ შეასრულებენ ამ სავალდებულო დადგენილებით მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დაისჯებიან იძულებითი მუშაობით ერთ თვემდე ან დაჯარიმებით 100 მანეთამდე.

16. აღნიშნულ დადგენილების ცხოვრებაში გატარება ევალება თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიულ განყოფილებას.

17) ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის ორი კვირის შემდეგ დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

18) ამ სავალდებულო დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან, გაუქმებულია თბილისის საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ს სავალდებულო დადგენილება № 27.

თბილისის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ვ. ავაკოვი.**

თბილისის საბჭოს საქმეთა მმართველი— **შ. კილურაძე.**

ტირაჟი—42.748
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩ. № 68.
მთავლიტი № 904